

ქართალმწერელი

ასწლოვანი მაცგიანე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და
ლექსიკონი დაურთო
რევაზ კიკნაძე



თბილისი
1987

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის წყაროები

48



ქართული

საისტორიო მწერლობის

ძეგლები

VI



«მეცნიერება»

მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე,
რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი,
გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური,
ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე

სერიის რედაქტორი რ. ძიპნაძე
ტომის რედაქტორი ზ. სარჯველაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი ზ. ალექსიძე,
ისტორიის მეცნ. კანდიდატი თ. ენუქიძე

წიგნში იბეჭდება შუა საუკუნეთა ქართული ისტორიული მწერ-
ლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლის, XIV საუკუნის უსახელო
ისტორიკოსის, ეამთაღმწერლის, „ასწლოვანი მართიანის“ კრიტიკუ-
ლი ტექსტი გამოკვლევით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებ-
ლებით.

ეამთაღმწერლის თხზულება საყურადღებო წყაროა XIII—XIV
ს-ის დამდგის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიი-
სათვის.

საქართველოს ისტორიის წყაროების
კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვ. IV. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატეიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდლაძემ. თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.

10. ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавелл. Мученичество Шушанк. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сუმბატ Давითის-ძე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ., 1981.

25. პ ა ვ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი, საძიებლები დაურთო ე. ცაგარეი-შვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებ-ლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა. თბ., 1981.

27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართუ-ლი ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნუ-ლიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩი-შვილმა. თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავ-ლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებ-ლებით მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.

33. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მი-ქიაშვილმა. თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. არჩილის წამება. შემდგენ-ლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყო-შია. თბ., 1986.

37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარ-გმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ., 1985.

39. Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзенишвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, II. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაქომია. თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншеряни. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блгстательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий, указатели Д. Л. Пурцеладзе (в производстве).

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქამთალმწერელი და მისი „ასწლოვანი მათიანე“	10
ქამთალმწერელი. ასწლოვანი მათიანე. ტექსტი	37
შენიშვნები	221
ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვის განმარტება	240
«Столетняя летопись» грузинского анонимного историка XIV века.	
Резюме	244
“The Chronicle of One Hundred Years” by a Georgian Anonymou 14th-century Historian. Summary	247
საძიებლები	251

ჟამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მახიანა“

„ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ე. წ. „მცხეთური“ ციკლის¹ ნუსხებში თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების შემდეგ მოთავსებულია ვრცელი ნაწარმოები (მარიამისეულ ნუსხაში მას უჭირავს 722—932 გვერდები), რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია გიორგი IV ლაშას ტახტზე ასვლიდან 1317 წლამდე. თხზულების ავტორი, ისევე როგორც მისი სათაური და შედგენისა და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის დრო, უცნობია და ამ საკითხებთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს თხზულებას მოაკვეციეს შესავალი და მთელი დასაწყისი ნაწილი, რომელშიც მოცემული იქნებოდა თხრობა წინანდელ მეფეთა მოღვაწეობის შესახებ². ბუნებრივია, რომ მაშინ უნდა დაკარგულიყო ნაწარმოების სათაური³ და მისი ავტორის სახელიც. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ეს თხზულება, ისევე როგორც „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, საგანგებოდ დაიწერა „ქართლის ცხოვრებისათვის“, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ გაგრძელება და, ამდენად, ცვლილებები არ უნდა განეცადა „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს⁴.

¹ ყველა ეს ნუსხა, სახელდობრ, მარიამისეული, 1697 წლისა და მჩაბლისეული, ე. წ. „მცხეთური ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს და დაახლოებით ერთნაირ ტექსტს შეიცავს (იხ. ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — მაცნე, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 49—50). ამავე თხზულების ძველი რედაქციის ტექსტს შეიცავს აგრეთვე თეიმურაზისეული ნუსხა, რომელიც ნაწილობრივ (თამარის ცხოვრების ნახევარამდე) არის რედაქტირებული ვახტანგის კომისიის მიერ.

² ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 248—249.

³ არსებობს შეხედულება რომ შუა საუკუნეთა ქართულ ისტორიოგრაფიაში, XVIII საუკუნემდე, საერთოდ არ არსებობდა თხზულებათა დასათაურების ტრადიცია (Г. Г. Аласаниа. Классификация грузинских письменных исторических источников. Тб., 1986, с. 124).

⁴ Р. К. Кикнадзе. Очерки по источниковедению истории Грузии. Тб., 1980, с. 37, 39; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სა-

იმის გამო, რომ ტექსტში შემონახული არ არის არავითარი მინიმუმ-ნება, ივ. ჭავჭავიძელს არ უცდია თხზულების საყარაუდოდ დასათუ-რება. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ჩვენი ავტორი ისტორიასა და ისტორიის წერას „ეპითაღმწერლობას“ ეძახის“, რაც შეიძლება ბერძნულ „ხრონოგრაფიას“ უდრიდეს³. ამავე ცნობის საფუძველზე პ. ინგოროყვამ თხზულების სათაურად ივარაუდა „ეპითა-აღმწერელობა“ (ხრონოგრაფია)⁶, ზოგი სხვა ავტორი კი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში მას უწოდებს „ხრონოგრაფიას“ (Хронография), „ხრონოგრაფს“ (Хронограф) და „ხრონიკას“ (Хроника)⁷.

თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს საკმაოდ მარჯვედ დაასათურა ეს თხზულება და „ასწლოვანი მათიანე“ უწოდა მას⁸. სამწუხაროდ, თ. ჟორდანიას ეს ნაშრომი დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 1967 წელს გამოქვეყნდა, როცა უკვე საფუძვლიანად ფეხმოკიდებული იყო შეხედულება თხზულების უსათაურობის თაობაზე. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ახალი სათაურის გავრცელება ისტორიოგრაფიაში. ამავე დროს, ეს მოხდენილი სათაური თითქმის ზუსტად ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. მართლაც, თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს ისტორია ასზე ცოტა მეტი ხნისა. ქართველ მეცნიერთ (ივ. ჭავჭავიძელი, კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი) არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ეს სწორედ ასი წლის ისტორიაა⁹.

რა თქმა უნდა, „ასწლოვანი მათიანე“ სრულიად პირობითი სათაურია, ისევე როგორც პირობითია „მატიანე ქართლისა“ და „ძეგლი

კითხვი, I. თბ., 1982, გვ. 25, 27. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თხზულების ავტორისეულ დასათაურებაზე საუბარიც ზედმეტად გამოიყურება.

⁵ ივ. ჭავჭავიძელი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249.

⁶ პ. ინგოროყვა. რუსთველიანა. — თხზულებათა კრებული, I. თბ., 1963, გვ. 118—119.

⁷ В. Н. Г а б а ш в и л и. Грузинская исторнография. — В кн.: Очерки истории исторической науки в СССР, I. М., 1955, с. 144—145. М. Д. Л о р д-к и п а н и д з е. Картлис цховреба. — Советская историческая Энциклопедия, т. 7. стб. 76; о н а ж е. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение. — В кн.: Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Тб., 1979, с. 10. Г. В. Ц у л а я. Грузинская книжная легенда о Чингисхане. — Советская этнография, 1973, № 5; о н ж е. Грузинский «Хронограф» XIV в. о народах Кавказа. — Кавказский этнографический сборник, т. VII. М., 1980.

⁸ თ. ჟორდანიას კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა. — წიგნში: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III. თბ., 1967, გვ. 563—567.

⁹ ივ. ჭავჭავიძელი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 215, 255; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1958, გვ. 301-5. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX. თბ., 1979, გვ. 201.

ერისთავთა“, ანდა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და თვით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ეს პირობითი დასათაურებანი საჭიროა იმისათვის, რომ გადავიღდეს ისტორიულ წყაროთა გამოყენება და ციტირება. ჩვენ საჭიროდ ვცანით გავვეზიარებინათ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული სათაური¹⁰ და წინამდებარე გამოცემაშიც „ასწლოვანი მათიანე“ ვუწოდეთ თხზულებას. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს სათაურის უფრო სწრაფად დამკვიდრებას ისტორიოგრაფიაში.

თხზულების ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით ასევე რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული. თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ სამცხის გამგებელმა სარგის ჭაყელმა თვითონ დაწერა თხზულების პირველი ნაწილი, დაახლოებით 1285 წლამდე, ხოლო მისმა ვაჟმა და მემკვიდრემ, ბექამ — მეორე ნაწილი. ბექას გარდაცვალების შემდეგ (1306 წ.) „ასწლოვანი მათიანე“ ხელში ჩაუვარდა ვილაც ვარძიელ წინამძღვარს თუ ბერს, რომელმაც შეავსო და გააგრძელა თხრობა. ეს უნდა მომხდარიყო, თ. ჟორდანიას ვარაუდით, გიორგი V-ისა და კათალიკოს ექვთიმეს ზეობის პერიოდში, დაახლოებით, 1310—1320 წლებში¹¹.

მ. ჯანაშვილმა მონღოლთა ბატონობის ხანის თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო 1222—1289 წლებით განსაზღვრა, მის ავტორად კი ცნობილი ქართველი მოღვაწე აბუხერიძე ივარაუდა¹².

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ანონიმი ავტორი ისტორიას და ისტორიის წერას უამთააღმწერლობას ეძახის, ხოლო ისტორიკოსს — უამთააღმწერელს. ამის გამო მკვლევარმა პირობითად „უამთააღმწერელი“ შეარქვა მას, ხოლო რუსულად XIV საუკუნის ქართველ ანონიმურ ისტორიკოსს უწოდებდა¹³. ეს პირობითი სახელი ერთხმად გაიზიარა და თითქმის საკუთარ სახელად აქცია

¹⁰ Р. К. Кн и к н а д з е. Очерки по источниковедению истории Грузии, с. 46; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 58—59.

¹¹ თ. ჟორდანიას კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, გვ. 577—584.

¹² მ. ჯანაშვილი. ქართველთა მათიანე, 1903, გვ. 12, 27; М. Г. Джанаши в и л и. Картелис цховреба — Жизнь Грузии. — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXXV. Тифлис, 1905. с. 124—125, 143.

¹³ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249; И. А. Джавахишвили. Об одном анонимном грузинском историке XIV века. — თხზულებანი, VIII. იხ. აგრეთვე: Б. Я. Владимирцов. Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке. — Известия Российской АН, VI серия. № 17. Петроград, 1917.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ზოგჯერ რუსულში უცვლელად გადააქეთ ის (Жамтаагмцерлин).

პ. ინგოროყვამ და კ. გრიგოლიამაც გამოთქვეს თავიანთი აზრი თხზულების ავტორის ვინაობის გამო. კერძოდ, პ. ინგოროყვას აზრით, ანონიმი დიდგვარიან ფეოდალთა, თორელების, საგვარეულოს ეკუთვნოდა და მმართველ წრეებთან დაახლოებული პირი იყო. თხზულების დაწერის დროისათვის ის ბერად შემდგარი ჩანს, შესაძლებელია, ოპიზის მონასტერში¹⁴. კ. გრიგოლიას მიხედვით, თხზულების ავტორი სასულიერო პირი იყო, მაღალ სამღვდელოებას ეკუთვნოდა და მაწყვერელი ან, უფრო, ოპიზარ-მაწყვერელი უნდა ყოფილიყო¹⁵.

ამ ბოლო დროს ვ. კიკნაძემ განიხილა „ასწლოვანი მატიანის“ ცნობები მონღოლთა ურდოში დაბარებულ დიმიტრი II-ის თანმხლებ, მისსავე „გაზრდილ“, მღვდელ-მონაზონ მოსეზე და დაასკვნა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო თხზულების ავტორი¹⁶.

„ასწლოვანი მატიანის“ მრავალი რეალია მოწმობს, რომ მისი ავტორი მესხეთიდან იყო. მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მემატიანე საგანგებო გულისხმიერებით ეკიდება ჭაყელთა საგვარეულოს და, საერთოდ, მესხებს, შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ საგანგებოდ არ გაუსვას ხაზი მათ დამსახურებას ყოველგვარ საქმიანობაში, სამხედრო სფერო იქნება ეს თუ სამოქალაქო.

მკვლევართა ვარაუდები იმის თაობაზე, რომ „ასწლოვანი მატიანის“ ავტორი აბუსერიძეთა, ჭაყელთა ან თორელთა საგვარეულოდან იყო, რომ ის იყო კონკრეტულად სარგისი. ბექა ან მოსე, მეცნიერულად დაუსაბუთებელი და მიუღებელია. საქართველოში მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის პერიოდის ისტორიისადმი მიძღვნილი თხზულების ავტორი (როგორც ჩანს, მართლაც სასულიერო პირი) კვლავაც ეამთააღმწერლის სახელით მოიხსენიება ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

„ასწლოვანი მატიანეში“ არ მოიპოვება პირდაპირი ცნობა მისი ავტორის მოღვაწეობის ხანასა და თხზულების დაწერის დროზე. იმის გამო, რომ მემატიანემ კარგად იცის გიორგი V-ის ამბები, ივ. ჭავჭავიძის მის თანამედროვედ მიაჩნდა ეამთააღმწერელი¹⁷. ეს შეხედულება ერთხმად არის გაზიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. რაც შეეხება „ასწლოვანი მატიანის“ დაწერის თარიღს, სავარაუდოდ, ის XIV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

¹⁴ პ. ინგოროყვა. რუსთველიანა, გვ. 119.

¹⁵ კ. გრიგოლია. ეამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. — კრებ.: ქართული ისტორიოგრაფია, I. თბ., 1968, გვ. 80.

¹⁶ ვ. კიკნაძე. ვინ არის ეამთააღმწერელი? — მნათობი, 1984, № 5.

¹⁷ ივ. ჭავჭავიძისილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 248.

უთუოდ საინტერესოა, თუ როდის უნდა იყოს „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი „ასწლოვანი მატთანე“. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები შესაძლებელია ჯერ კიდევ კრებულში შეტანამდე ყოფილიყო გაერთიანებული, რამდენადაც ფ. გორგიჯანიძეს XVII ს-ის მიწურულს ისინი ერთმანეთზე გადაბმული ჰქონია ხელთ¹⁸. ამავდროს, მეცნიერი შემდეგნაირად მსჯელობდა: რაკი ეს ორი ნაწარმოები არ არის „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში, ხოლო მარიამისეულში კი არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ არ ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლომდე¹⁹ და მხოლოდ XVI საუკუნეში (იქნებ 1500—1638 წლებში) შეუტანიათ კრებულში²⁰.

უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი რამდენადმე გადაჭარბებით აფასებდა ანასეული ნუსხის მნიშვნელობას და ფიქრობდა, რომ თუ რომელიმე თხზულება არ გვხვდება ამ ნუსხაში, ის საერთოდ არ ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლომდე. ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩებოდა ის გარემოება, რომ ანასეული ნუსხა თავისებური შედგენილობის კრებულია, მეორე ნაწილში ის განსხვავებულია მარიამისეული და ჭალაშვილისეული ნუსხებისაგან და, ამდენად, მისი შინაარსის მიხედვით მთელ კრებულზე მსჯელობა გამართლებული არ არის.

ასევე მიუღებელია მოსაზრება, თითქოს თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო შეერთებული და ამ სახით არსებობდა XVII ს-ის დასასრულამდე. მართალია, ფ. გორგიჯანიძემ გამოიყენა ეს თხზულებები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი „ქართლის ცხოვრების“ გარეშე არსებობდნენ XVII საუკუნეში. ფარსადანი როსტომ მეფის კარზე იმყოფებოდა იმ წლებში, როცა ხდებოდა „ქართლის

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308—309.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი 1479—1495 წლებით თარიღებდა ანასეულ ნუსხას (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 305). ამჟამად, პალეოგრაფიული მონაცემებით, ეს ნუსხა XVI ს-ის მიწურულთა და XVII ს-ის დამდეგით თარიღდება: С. С. Какабадзе. Установление критического текста начальной части «Картлис цховреба». — Палестинский сборник, 15 (78). М., 1968, с. 172 (შენიშვნაში მოტანილია სარგის კაკაბაძის მოსაზრება მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან); ს. კაკაბაძე. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — მაცნე, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 48; ნ. შოშიაშვილი. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი. — შრავალთავი, V. თბ., 1975, გვ. 45—55.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308—310.

ცხოვრების“ გადანუსხვა და სრული შესაძლებლობა ჰქონდა მთელ კრებულს გასცნობოდა²¹. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მის მიერ გამოყენებული სამივე ქართული წყარო — სუმბატ დავითის ძის²², თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები, სწორედ მარიამისეულ ნუსხაშია შესული. შესაძლებელია მოგვიანებით, როცა ისფაჰანში წერდა თავის „საქართველოს ცხოვრებას“, მას ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ არასრული ხელნაწერი, სადაც მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა ტექსტები იყო მეტნაკლებად სრულად შემორჩენილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თამარის მემკვიდრეების, გიორგი ლაშას ან რუსუდანის დროს, XIII ს-ის პირველ ნახევარში შეიტანეს „ქართლის ცხოვრებაში“.

დაახლოებით XIV საუკუნის მეორე მეოთხედში, გიორგი V ბრწყინვალის დროს უნდა იყოს შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მათიანე“, რომელიც ალბათ საგანგებოდ არის დაწერილი კრებულისათვის და უშუალოდ აგრძელებს თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობას. XV—XVII საუკუნეებში „ქართლის ცხოვრების“ შევსება აღარ მომხდარა.



მონღოლთა შემოსევებმა და მათი მფლობელობის დამყარებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელს მაშინდელ კულტურულ სამყაროში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არაბულ, სპარსულ, სომხურ, ქართულ, რუსულ, ლათინურ ენებზე იქმნება თხზულებები. რომლებშიც აღწერილია მონღოლთა ურდოების შემოსევების საშინელებანი, ნაჩვენებია მათი მფლობელობის დამლუპველი გავლენა დაპყრობილი ქვეყნების მეურნეობაზე. ამ მდიდარ ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი უჭირავს ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მათიანეს“, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ისტორიის შესასწავლად.

საყოველთაო აღიარებით, ჟამთააღმწერელი განათლებული ადამიანია. ის განსწავლულია ბერძნულ და აღმოსავლურ ენებში, კარგად იცნობს ძველბერძნულ და ბიზანტიურ მწერლობას, აღმოსავლურ,

²¹ იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 25.

²² იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — მაცნე, ისტორიის სერია, 1971, № 2.

კერძოდ, სპარსულ და, შესაძლებელია, არაბულ, ისტორიულ ლიტერატურას, ერკვევა ძველი სამყაროსა და თავის თანამედროვე ხალხების ისტორიაში.

✓ XIII საუკუნის დამდეგს მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის შექმნამ ხალხთა დიდი მასების ამოძრავება და გადაადგილება გამოიწვია. ამას მოჰყვა საქარავნო ვაჭრობის გამოცოცხლება და მონღოლთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ორბიტაში მოხვედრილი ხალხების გეოგრაფიული თვალსაწიერის გაზრდა. კერძოდ, მონღოლთა ბატონობის ხანაში ახლად დამყარდა ან გაძლიერდა საქართველოს ურთიერთობა კავკასიის ქვეყნებთან, ირანთან, ერაყთან, მცირე აზიის სახელმწიფოებთან, შუა აზიასთან, მონღოლეთთან, სირიასა და ეგვიპტესთან. საესებით ბუნებრივია, რომ ჩვენს ავტორს, გარდა საკუთრივ საქართველოსი, სხვა მახლობელი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაც აინტერესებს და შეძლებისდაგვარად მოგვითხრობს მათ შესახებაც.

ყამთააღმწერელი სასულიერო პირია და, ბუნებრივია, რომ მის მსოფლმხედველობას ქრისტიანული რელიგია და მისი საღვთო წიგნი — ბიბლია განსაზღვრავენ. ისტორიკოსს ძალზე მძიმე ხანაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა და ამან უთუოდ თავისი დალი დაასვა მის შეხედულებებს. ყამთააღმწერლისთვის დამახასიათებელია პროვიდენციალიზმი — საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების განვების ძალით ახსნა, რწმენა იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული ღვთის ნებით. სწორედ ამ თვალსაზრისით ცდილობს ისტორიკოსი ახსნას ის დიდი უბედურება, რაც თავს დაატყდა საქართველოს ხორეზმელებისა და მონღოლების შემოსევების სახით.

ძველს ისტორიოგრაფიას უკვე ჰქონდა შემუშავებული მეცნიერული მეთოდის ჩანასახები: თხრობის უტყუარობის მოთხოვნა, რეალური ფაქტის გამოყოფა გამონაგონისაგან, განსხვავების ძიება მოვლენის გარეგან საბაბსა და მის ნამდვილ მიზეზს შორის და სხვ. უნდა ითქვას, რომ ქართველი ყამთააღმწერლის მუშაობის მეთოდს ახასიათებს ყველა ეს ნიშანი, რაც შუა საუკუნეთა საუკეთესო ისტორიკოსთა რიგში აყენებს მას.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება მძლავრად დაამუხრუჭა მონღოლთა შემოსევებმა და საუკუნოვანმა ბატონობამ, მაგრამ მთლიანად ვერ შეაჩერა ის. ერთგვარ პარადოქსად გამოიყურება, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მონღოლთა მფლობელობის შეებნელმა ხანამ წარმოშვა შუა საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი მოაზროვნე ისტორიკოსი. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ „კულტურა და იდეოლოგია ის მოვლენებია, რომლებიც როგორღაც ეგუება ისტორიულ ინერციას და მაშინაც კი, როცა სახელმწი-

ფოებრიობა. როგორც მათი ისტორიული გამოვლენის ჩარჩო, გატეხილია. ისინი მაინც ახერხებენ ერთხანს არსებობას, თუ განვითარებას არა²³.

ქართველი ეპითალმწერელი შეიარაღებულია გარკვეული თეორიით ისტორიული ცოდნის დარგში, ითვალისწინებს თავის წინამორბედ მემკვიდრეთა და მეზობელი ხალხების ისტორიკოსთა ტრადიციულ გამოცდილებას. ამ ცოდნის განზოგადების საფუძველზე მან შეიმუშავა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ისტორიას ანუ „ეპითალმწერლობას“ პირველ რიგში ჭეშმარიტების სამსახური ევალება. „ეპითალმწერლობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს და არა თულახმა ვისიმე“, — აცხადებდა ჩვენი ისტორიკოსი (იხ. ქვემოთ ტექსტი, გვ. 82). სხვა საქმეა, რამდენად ახერხებდა მემკვიდრე ამ პრინციპის დაცვას. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ეპითალმწერლის ფილოსოფიური დებულება, რომ ისტორია ჭეშმარიტების სფეროა²⁴.

ამავე დროს ეპითალმწერელი ქადაგებდა ობიექტურობასა და პირუთვნელობას²⁵. მისი აზრით, ისტორიის წერა „კეთილისა“ და „ბოროტის“ ცნებათა განსხვავებისაგან უნდა ამოდიოდეს, „შუამდებარე“ უნდა იყოს, რაც მიუღღგომელ, მიუკერძოებელ განსჯას ნიშნავს²⁶. რა თქმა უნდა, ისტორიკოსი ყოველთვის ვერ ახერხებს ობიექტურობის დაცვას, მასვე, ზოგ შემთხვევაში არასაკადრისად მიაჩნია მეფეებზე აუგის თქმა („არა საკადრებელ არს თხრობა მეფეთათვის უშუერსა რასზე“). — გვ. 82). მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართველ ავტორს გამოთქმული აქვს ზოგადი დებულება ისტორიის, ისტორიკოსის პირუთვნელობის, სამართლიანობის თაობაზე.

ეპითალმწერელი ცდილობს მოვლენათა მიზეზების ძიებას და ახსნას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაპოკიდებულება მონღოლთა შემოსევებისა და მფლობელობისადმი. ამ უბედურებათა მიზეზს ისტორიკოსი ხედავს სამეფო კარის უღარდელობასა და აღვირახსნილობაში. სამღვდელოების გადაგვარებაში („დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალეობა, სიყუარული, სიწრფოება, სიმშვედი, სიმართლე, და ამის წილ მოიპოვეს ამჰარტავანება, ზაკვა, შური, კდომა, სიძულილი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწყისობანი“). — გვ. 63. ანდა: „ყოველი ასაკი ბეროა და ყრმათა, მე-

²³ შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II. — წიგნები, ტ. IX. თბ., 1985. გვ. 182.

²⁴ იქვე. გვ. 184.

²⁵ ივ. ჭავჭავაძის საგანგებოდ აღნიშნავდა ეპითალმწერლის მიუღღგომლობასა და პირუთვნელობას (ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 261).

²⁶ შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 185

ფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა. რამეთუ დაუტევეს სიმართლეს და ქვეშაირიტება, ვინათგან თვთ მღდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა“. — გვ. 70).

▲ მაღალი რანგის ისტორიული ნაწარმოების დამახასიათებელ ამგვარ ადგილებთან ერთად „ასწლოვან მატიაწეში“ გადმოცემულია ზოგიერთი დაუჯერებელი ამბავიც. ხშირად მოგვითხრობს ავტორი სასწაულთა შესახებაც. თ. ყორდანიამ სასწაულთა აღწერები გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია²⁷, ივ. ჭავჭავიძემ კი მემატიაწის გულუბრყვილობა. რაც ზოგიერთი მართლაც საარაკო ამბის მოთხრობაში გამოიხატა, მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართველთა აზროვნების დაცემით ახსნა. თუმცა ამავე დროს ისიც სვამდა კითხვას, მერმინდელი გადამწერის ჩამატებული ხომ არ არისო ეს ადგილები²⁸.

უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეთა მორწმუნე ისტორიკოსისათვის ამგვარი წარმოდგენები სულაც არ უნდა იყოს უცხო და მოულოდნელი და. ყოველ შემთხვევაში, არ მეტყველებს აზროვნების დაქვეითებაზე. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქრისტიანობას სასწაული თავისი მოძღვრების აუცილებელ ნაწილად მიაჩნია, ჩვენს ისტორიკოსს კი, სასულიერო პირს. უდავოდ სწამდა მათი ქვეშაირიტება²⁹. მსგავსი სასწაულები და ზღაპრული ამბები, როგორც ივ. ჭავჭავიძე ილიც შენიშნავს, მრავლად გვხვდება ბევრ სხვა, როგორც ქართულ. ისე სხვა ენებზე დაწერილ თხზულებებშიც³⁰.

სამაგიეროდ, უიღურთა შესახებ ზღაპრული ამბები ქართველმა ავტორმა დაუჯერებლად მიიჩნია და არ შეიტანა „ასწლოვან მატიაწეში“ (მათი „გუარისა საქმენი განსაკრვებელ არიან, ვითა ზღაპარნი და არიან ზღაპარ და ცუდ. ამისთვის უჯერო არს აწ თქუმა“. — გვ. 47).

ამ ცნობის საფუძველზე ივ. ჭავჭავიძემ დაასკვნა, რომ „ხალხურ ზღაპრებს. „გვართა საქმეებზე“ ზეპირ-გადმოცემას, საგმირო პოეზიის ნაწარმოებებს ჩვენი ეპითალმწერელი, მამასადამე, ისტორიისათვის დამამცირებლად და უჯეროდა სთვლიდა“³¹.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ზღაპრული ამბავი უიღურთა სარწმუნოების შესახებ მათსავე წიგნებში ამოიკითხა XIII საუკუნის ირანელმა ისტორიკოსმა ალა აღ-დინ ათა მალიქ ჭუფეინიმ. არ მიიჩნია.

²⁷ თ. ყორდანიამ კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, გვ. 566 შმდ.

²⁸ ივ. ჭავჭავიძე ილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 251, 260.

²⁹ ვ. კიკნაძე. ვინ არის ეპითალმწერელი? გვ. 150.

³⁰ ივ. ჭავჭავიძე ილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 251.

³¹ იქვე, გვ. 250.

სარწმუნოდ, მაგრამ მაინც შეიტანა თავის „ქვეყნის დამპყრობის ისტორიაში“. ეპითაღმწერელი ჭუვეინის თხზულების საშუალებით ვაცნო უღელურთა ტომის საკვირველ საქმეებს და სავარაუდოდ არ სცნო მათი გამეორება³². ამგვარად, აქ საქმე გვაქვს ქართველი ისტორიკოსის კრიტიკულ დამოკიდებულებასთან წერილობითი და არა ზეპირი წყაროს მიმართ.

განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეპითაღმწერელი ადამიანის დახასიათების პრობლემას. ამასთან, როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე ადამიანთა ჯგუფების და მთელი ხალხებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა ძველ ქართულ ისტორიულ ნაწარმოებში არ ექცევა ისეთი ყურადღება ადამიანის დახასიათებას, მისი პირობითი თვისებების წარმოჩენას, როგორც „ასწლოვან მატყანეში“. აღმაშენებლისა და სრული განუკითხაობის პირობებში, რაც სდევდა მონღოლთა ბატონობის ხანას, საესებით ბუნებრივი ჩანს, რომ მემატყანე საგანგებოდ დაინტერესდა პიროვნების სულიერი თვისებებით და წინ წამოსწია ადამიანის ყოველმხრივი შეფასება-დახასიათების პრობლემა.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ისტორიკოსი, რძე შემთხვევაში, აქაც ცდილობს ობიექტურობისა და პირუთენელობის დაცვას. ყოველ შემთხვევაში, ის ხელაღებით არ აქებს ქართველ მეფე-მთავრებს, როგორც ეს მეტწილად გვხვდება სხვა ისტორიულ თხზულებებში, არამედ აღნიშნავს მათი პიროვნების თუ საქმიანობის უარყოფით მხარეებსაც (გავიხსენოთ, მაგალითად, გიორგი ლაშას, რუსუდანიის, დავით VII ლაშას ძის, დიმიტრი II-ის, ეგარსლან ბაკურციხელის დახასიათებები). ამავე დროს, ისტორიკოსი ახსენებს დამპყრობელთა ცალკეული წარმომადგენლების ზოგიერთ დადებით თვისებასაც (აბლა-ხანის, ყაზან-ხანის დახასიათებები).

რა თქმა უნდა, ასეთი ვრცელი ისტორიული ნაწარმოების ფურცლებზე, სადაც ასობით სხვადასხვა პიროვნებაა გამოყვანილი და რამდენიმე ათეული დახასიათებაა მოცემული, ავტორმა ვერ აიცილია გარკვეული შტამები, ტრადიციული გამოთქმები, მაგრამ ამავე დროს უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ყოველი ცალკე პიროვნებისთვის მან განსხვავებული ეპითეტებიც მოძებნა და ამით გამოარჩია ის სხვებისაგან.

³² დაწვრი. იხ. რ. კვიციანიძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროება. ჭუვეინი.-- კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II. თბ., 1962, გვ. 144.



როგორც ითქვა, „ასწლოვანი მატინაე“ გიორგი IV ლაშას გამეფებით იწყება და წყდება ილხან ოლჯეთუ ხოდაბანდას გარდაცვალების ამბებზე. თხზულება ერთი ავტორის მიერ, ერთდროულად არის დაწერილი³³. ისტორიკოსს კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი მიზანი და საგანი და წინასწარ იცოდა რის დაწერას აპირებდა. ამას მოწმობს ის შინაგანი კავშირები, რაც მრავლად გვხვდება ეპითალომწერლის თხზულებაში. ავტორს კარგად ახსოვს ისიც, რაც უკვე თქვა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და წინასწარ იცის ისიც, თუ შემდგომში რაზე ექნება საუბარი თავისი ნაშრომის ფურცლებზე.

ხშირად ეპითალომწერელი, რომელიმე მოვლენის აღწერის დროს ისწენებს, რომ ამ ამბის შესახებ უკვე ჰქონდა საუბარი და საგანგებოდ აღნიშნავს: „ვითარცა მითქუამს“ (იხ. ტექსტი, გვ. 42, 51), „ვითარცა ეოქუ“ (გვ. 52), „ვითარ ზემო თქმულ არს“ (გვ. 145), „ვითარ ზემორე ეოქუთ“ (გვ. 155). „საქმენი სარგისისნი ზემორე აღგვწერია“ (გვ. 162).

ამა თუ იმ პირის დასახელების დროსაც არაერთხელ გვამცნობს ჩვენი ავტორი. რომ მის შესახებ ზემოთ უკვე ჰქონდა საუბარი. მაგალითად: ჩინგიზ ყაენმა „წარმოავლინა ორნი თავადნი ზემოკსენებულნი. იაზა და სანპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჩებობით უწოდიან“ (გვ. 50). სხვადასხვა კონტექსტში „ზემოკსენებულნი“ არიან აგრეთვე ბათო (გვ. 86), ეგარსლან ბაკურციხელი (გვ. 94), ჩორმალონი (გვ. 140), ჩინგიზ ყაენი (გვ. 144), ალინაყი (გვ. 152), თეგუთარი (გვ. 153), არლუნ ამირი (გვ. 167), ილხანი აჰმადი (გვ. 174), ნავროზი, არლუნ-აღას შერლი (გვ. 192).

იგივე გამოთქმა ზოგჯერ იხმარება ადამიანთა ჯგუფის („პირველ-კსენებულნი იგი სპარსნი ხუარაზმელნი“. — გვ. 57; „დაებანაკა ზემო-კსენებულთა მათ მთავართა“. — გვ. 72; „ზემოკსენებულნი მთავარნი საქართველოსანი“. — გვ. 122), ხოლო ზოგჯერ გეოგრაფიული სახელების მიმართაც („აოკრებდეს ქუეყანათა ამათ ზემოკსენებულთა“. — გვ. 62; „არბევდეს ქართლსა და ზემოკსენებულთა ქუეყანათა“. — გვ. 196; „დადგეს ზემოკსენებულთა ადგილთა“. — გვ. 198; „ქუეყანა ქართლისა ზემოკსენებული“. — გვ. 200). გვხვდება შემთხვევებიც, როცა ისტორიკოსი „ზემოკსენებულ“ ამბებსა და მოვლენებს შეაბსენებს მკობხეულს: „ზემოკსენებულთა მათ განსაცდელთა მსგავსოვან უმეტესიცა მძკნვარენი განსაცდელნი აღიძრვოდეს საქართველოსა საზღვართა“ (გვ. 70).

³³ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 246.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ასწლოვანი მატიანის“ ის ადგილები, სადაც ავტორი პირდება მკითხველს, რომ ესა და ეს საკითხი ქვემოთ იქნება გაშუქებული. ისეთი გამოთქმები, როგორცაა „ვითარცა (რომელ) ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს“ (გვ. 40, 41); „ვითარ (რომელი) ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს“ (გვ. 55, 119, 192, 197) თვალნათლივ მოწმობენ, რომ ჩვენი ისტორიკოსი საგანგებოდ გააზრებული გეგმით წერდა თავის თხზულებას და წინასწარ ჰქონდა მოდტიქრებული. რა ამბები და მოვლენები როდის და როგორ გადმოეცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თხრობა ერთ ძირითად ხაზს მისდევს და, როცა ისტორიკოსი იძულებულია გადაუხვიოს მთავარ თემას და რაიმე ეპიზოდი ჩართოს, არასოდეს ივიწყებს ძირითად მოსათხრობს, კვლავ უბრუნდება მას და მკითხველსაც აუწყებს ამას: „რამეთუ ზემოდატევებული ამბავი აღმართმაბიჯებელთა კულად ვიწყით“ (გვ. 64); „ხოლო ჩუენ დაშთოპილისა სიტყუსა მიმართ აღვიდეთ“ (გვ. 82); „ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებელნი, კულად მოგზაურ ვიქმნეთ“ (გვ. 143); „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუსა აღვიდეთ“ (გვ. 209).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი თხზულებას კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს, ხოლო მის ავტორს დაკვირვებულ, გამოცდილ, განსწავლულ მწიგნობრად წარმოგვიდგენს.

*

* *

ჯერ კიდევ ივ. ჭავჭავიძე იღონებდა, რომ „ჩვენს ისტორიკოსს ასი წლისა და მეტის ამბები ზეპირ გადმოცემით და „თვით თვისით“ არ შეეძლო დაეწერა. უეჭველია მას საისტორიო წყაროები ექმნებოდა და მის თხზულებითგანაც ჩანს, რომ ჰქონია კიდევ“³⁴. ზოგიერთ თავის წერილობით წყაროს ეამთაღმწერელი ასახელებს კიდევ „ასწლოვან მატიანეში“. ამას გარდა, ივ. ჭავჭავიძე ვარაუდობდა, რომ მას ზეპირი გადმოცემებითაც უნდა ესარგებლა³⁵.

როგორც ითქვა, „ასწლოვანი მატიანე“ გიორგი IV-ის გამეფების ამბის თხრობით იწყება და 1317 წ. ამბებზე წყდება. მისი ავტორი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, გიორგი V ბრწყინვალის უმცროსი თანამედროვე ყოფილა და XIV ს-ის პირველ ნახევარში დაუწერია თავისი თხზულება. ამდენად, ეამთაღ-

³⁴ ივ. ჭავჭავიძე. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 255.

³⁵ იქვე, გვ. 256; იხ. აგრეთვე: ა. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1958, გვ. 302.

მწერლის თხზულების მოზრდილი ნაწილი კომპილაციურია და, არსებითად, ისტორიოგრაფიული ძეგლია. მიუხედავად იმისა, რომ „ასწლოვანი მატიაწი“ მოლიანად კარგად არის შეკრული და არ იგრძნობა სტალინური და კომპოზიციური ხარვეზები (თუ ასეთად არ ჩათვლით ჟამთააღმწერლის ანაქრონიზმებს — ზოგიერთი მოვლენის დროში ვაჟააფხაფილებას), მისი ძირითადი ნაწილი მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი. თავის ზოგიერთ წყაროს ავტორი თვითონვე ასახელებს. მის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ საუბარი აქვთ აგრეთვე ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ს. ყაუხჩიშვილს და კ. გრიგოლიას³⁶. მაგრამ ამ ნაშრომებში გახსნილი არ არის ჟამთააღმწერლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი ისტორიული წყაროებით სარგებლობის დროს. ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დროს მიექცა ყურადღება. როცა საგანგებოდ იქნა შესწავლილი თუ როდის, რა შემთხვევებში და რა მეთოდით იმოწმებს წყაროებს ლეონტი მროველი³⁷. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიაწის“ ამ კუთხით შესწავლა მეტად საგულისხმო შედეგს იძლევა.

ქართველ ისტორიკოსს ვრცლად აქვს აღწერილი ხორეზმელთა შემოსევები საქართველოში და ის საშინელი ნგრევა-განადგურება, რაც იქნა სდევდა ამ თარეშს. ცხადია, ყველაფერი ეს წყაროს (ან წყაროთა) საფუძველზე უნდა ჰქონდეს ჟამთააღმწერელს მოთხრობილი, მაგრამ ის არსად ასახელებს გამოყენებულ წყაროებს. შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიცია არ მოითხოვდა ამას. მხოლოდ ერთხელ არის თხზულების ამ ნაწილში ნახსენები ისტორიული წყარო.

ჯალალ ად-დინი რომ საქართველოსკენ დაიძრა, მეფე რუსუდანი იმერეთში გადავიდა, თბილისის დაცვა კი მემნა და ბოცო ბოცოს ძეებს მიაწდო. 1226 წ. 9 მარტს ქალაქის მუსლიმან მცხოვრებთა ლალატის შედეგად ხორეზმელებმა აიღეს თბილისი, ციხე კი კიდევ დიდხანს უწევდა მტერს წინააღმდეგობას. „ხოლო ვინათგან არღარა იყო ღონე და ლხინება ქალაქისა მცველისა ბოცოს და სხუათა მცველთა ქალა-

³⁶ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 255; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 301—302; ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 035—036; კ. გრიგოლია. ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, გვ. 86—92. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული ანალოგიებისათვის ჟამთააღმწერელი იყენებს აგრეთვე ძველ ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებსაც.

³⁷ მ. ჩხარტიშვილი. წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. — მაცნე, ისტორიის სერია, 1982, № 2.

ქისათა, წარმოუვლინა მეფემან რუსუდან კაცნი ბოცოსა და სხუათა მტკვლთა ქალაქისათა, რათა დაუტევონ ისანი და წარვიდენ. და ვითარ მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა, ძალთა დაარწმუნა ბოცოს წარსლვა. ვითარცა სწერს ვინმე ბერი მღვმელი“ (გვ. 61).

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ჯალალ ად-დინის შემოსევების ვრცლად აღწერისას ეპითაღმწერელმა საჭიროდ არ ჩათვალა დაესახელებინა წყარო, საიდანაც ამოიღო მთელი ეს მასალა. მან წყარო დაასახელა მხოლოდ იქ, სადაც ბოცოს მიერ თბილისის ციხის მტრისათვის დათმობაზე იყო საუბარი. თანაც სავარაუდებელია, რომ რამდენიმე წყაროდან მხოლოდ ერთი მოიხსენია სახელდებით, კერძოდ, ის. სადაც ნათქვამია, ციხის დათმობა რუსუდანის ბრძანებით მოხდაო. ამ შემთხვევაში ეპითაღმწერელს უთუოდ სურს ბოცოს, სამცხის დიდგვარიანი ფეოდალის, რეაბილიტაცია. ამიტომაც არის, რომ წყაროს დამოწმებისას ყურადღების ცენტრში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცნობაა მოქცეული.

ჩინგებ ყაენის უმცროსი ვაჟის, თულის, დასავლეთში ლაშქრობის შესახებ რომ მოგვითხრობს. ეპითაღმწერელი აღნიშნავს: „გამოვლო ჯეონი და მივიდა ნიშაბურს, სადაც ნიშაბურელთა სამგზის წყობა-ყვეს ბრძოლისათვის. პირველსა ომსა კელად-იგდო ქალაქი, სადა-იგი სამასი ათასი კაცი თავ-დაკუთითო მოკლა, ხოლო მეორესა ჯერსა — ასი ათასი, და მესამესა ომსა — ოცდათორმეტი ათასი. უკეთუ არა ჯერ-ხართ. სამართლადცა არს, დიდისა საჰიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოოჯრებასა“ (გვ. 66).

ცნობები მონღოლთა შემოსევების შესახებ ქართველ ანონიმს ამოღებულ აქვს XIII საუკუნის ირანელი სახელმწიფო მოღვაწისა და ისტორიკოსის ათა მალიქ ჯუვეინის თხზულებიდან³⁸. ის მასალითაც უხვად სარგებლობს და ზოგიერთ ფრანსასაც პირდაპირ თარგმნის. მაგრამ საჭიროდ არ თვლის წყაროს დასახელებას. ჯუვეინის თხზულებას ეპითაღმწერელი იმეორებს მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველი სურს დაარწმუნოს, რომ ნიშაბურის აღების დროს მონღოლებმა მართლაც რამდენიმე ასეული ათასი მცხოვრები გამოასალმეს სიცოცხლეს. შესაძლებელია მას თვითონაც ეპკვი ეპარებოდა ამ ცნობის სისწორეში.

წყაროს ხსენების კიდევ ერთი შემთხვევა მონღოლთა ურდოდან ორი დავითის დაბრუნებას ეხება. ეპითაღმწერლის ცნობით, მონღოლთა უზუნაესი ყაენის რეკომენდაციის საფუძველზე ილხანმა ჰულაგუმ

³⁸ ი. კიკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები. გვ. 152.

თითქოს ორივე დავითი დაამტკიცა მეფედ³⁹. აქვე ჩვენი ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხოლო მოწვევულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყვს. ვითარმედ: „ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუიუქ ყანმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ. და ესრეთ წარმოავლინა. და რუსუდანისა ძე. დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს“. და მე არა შევიწყნარებ ამას“ (გვ. 107).

ამგვარად, ამ შემთხვევაში ისტორიკოსს მეცნიერული ობიექტურობის დაცვით მოაქვს მის მიერ მოთხრობილი ვერსიის საწინააღმდეგო ცნობა „ყოველთა აღმწერელისა“ და არ ეთანხმება მას⁴⁰.

დასასრულ, დავით VI ნარინის წინააღმდეგ რომ შეითქვენნ მონღოლი დაღღური და რაჭის ერისთავი კახაბერი, ისინი „წარვიდეს ყაენს აბალას წინაშე. და ეზრახნეს აღინაყს ბაღურს, რომელი დგის მათთა ჭავახეთისათა, და მან აცნობა ყაენსა. ხოლო მან ნიჭნი დიდნი აღუთქუნა. და წარვიდა დაღღური და კახაბერის ძე, კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გუაუწყებს წიგნი მეფეთა. ბაღურისთა და ნათესავთა მისთა“ (გვ. 157).

როგორც ვხედავთ, ქამთაღმწერელმა აქ მხოლოდ იმისთვის დაიმოწმა წყარო, რათა ეჩვენებინა, საიდან ჰქონდა აღებული კახაბერის ასეთი მკაცრი დახასიათება, რომ ის იყო „თესლით ბოროტი“⁴¹.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ქამთაღმწერელი ფართოდ სარგებლობს თავის წინამორბედ, როგორც ქართულ, ისე უცხოელ მემატრიანეო თხზულებებით (თავისი „ასწლოვანი მატრიანის“ უდიდესი ნაწილი მას სწორედ წყაროების მიხედვით აქვს დაწერილი). შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის ტრადიციისამებრ, ის მხოლოდ განსაკუთ-

³⁹ სინამდელიში ეს ამბავი ჰელაგუ-ხანის ირანში მოსვლამდე ათი წლით ადრე მოხდა.

⁴⁰ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ყოველთა აღმწერელი არის XIV საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ექიმი და ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი, რომლის „ისტორიათა კრებული“ მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაა (რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 155). რაშიდ ად-დინს, ისევე როგორც ჭუვეინისაც, მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ გუიუქ ყაენმა საქართველოს მეფედ დავით ლაშას ძე დაამტკიცა, ხოლო დავით რუსუდანის ძე მის ბრძანებას დაუმორჩილა (ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შუაგული წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1974, გვ. 25; Рашид ад-Дин. Сборник летописей, II. М.-Л., 1960, с. 120).

⁴¹ ქ. გრაგოლია ფიქრობდა, რომ ეს წყარო იყო „ქართლის ცხოვრების“ ის მონაკვეთი, რომელიც „მატიანე ქართლისას“ პირობითი სათაურით არის ცნობილი მეცნიერებაში (ქ. გრაგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათურების საკითხისათვის. — ივ. ჭავჭავიძელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 223—225).

რებულ შემთხვევებში იმოწმებს ამ წყაროებს. ქართველ ისტორიკოსს შემუშავებული აქვს საკუთარი პრინციპები და მათი დაცვით, მსოლოდ გარკვეული მიზნით, რომელიმე კონკრეტული ცნობისთვის ასახელებს გამოყენებულ წყაროებს: როდესაც სურს მკითხველს აუწყოს, რომ ესა თუ ის ცნობა რომელიღაც წყაროდან აქვს ამოღებული. როცა მკითხველს ურჩევს, თვითონ შეამოწმოს წყაროში ცნობა და დასასრულს, როცა არ ეთანხმება წყაროს მონაცემებს.

სავანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ უამთაღმწერელი დოკუმენტურ წყაროებსაც იყენებს და მათი მონაცემებით ცდილობს „სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელის“ ცნობის გაბათილებას. ის მოგვითხრობს, რომ დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანიას ძე „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თვთ მე მინახავს, რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიანნი“, და „ნებითა ღრთისათა, დავით და დავით“, და კელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“ (გვ. 108).

ამით დასტურდება, რომ ქართველი ისტორიკოსი თხრობით წყაროებთან ერთად დოკუმენტურსაც იყენებდა და კრიტიკულად ამოწმებდა მათ ცნობებს ერთმანეთთან შედარებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მას ხელთ უნდა ჰქონოდა აგრეთვე ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრებიც და გადასახადისა და ბაჟის წიგნები⁴². ეს პირველი შემთხვევაა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტური მასალის გამოყენებისა.

*
* * *

„ასწლოვანი მატიანე“ ოსტატურად შედგენილი თხზულებაა. აქ არ იგრძნობა განსხვავება კომპილაციურ და ორიგინალურ ნაწილებს შორის. მთელი მასალა მარჯვედ არის გაერთიანებული როგორც კონცეფციის მიხედვით, ისე სტილისტურად და შინაარსობრივად.

უნდა ითქვას, რომ ფორმის მხრივ უამთაღმწერელს არაფერი შეუქმნია ახალი. მის თხზულებაშიც ისევე არ არის გამახვილებული ყურადღება ნაწარმოების სტრუქტურაზე, როგორც სხვა ძველ ქართულ ისტორიულ ძეგლებში. „ასწლოვან მატიანეში“ სულ ორი სათაურია გამოყოფილი. პირველი („აწ ვახსენოთ შვილთათვისცა ჩინგიზ ყაენისათა მცირედ რაჟე“) აშკარად ჯუვეინის თხზულების გავლენით

⁴² ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 256.

არის შეტანილი⁴³, მეორე სათაურის მსგავსი წინადადება — „აქა ომი აენის (ვ.ნის) ვაკეს“ — უადგილოდ არის ჩართული შუა წინადადებაში და, როგორც ჩანს, აშიიდან მოხვდა ტექსტში (იხ. შენიშვნები, II, 9). კიდევ ერთი სათაურის მსგავსი წინადადება თხზულების ბოლოში გვხვდება და გიორგი ბრწყინვალის აღზევების ამბავს გვაშკენებს: „ხოლო აქა დიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა“ (გვ. 217).

შუა საუკუნეთა ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნდა ტრადიცია რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე სათაურის მეშვეობით ყურადღების გამახვილებსა. დასათაურებას ძველ ქართულ ისტორიულ თხზულებებში რამდენადმე შემთხვევითი ხასიათი აქვს⁴⁴. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებშიც. გარდა მეფეთა სათვალავისა, სულ ერთი დამატებითი სათაურია შეტანილი „ასწლოვან მათიანეში“, ისიც დასაწყისში („ამბავი ჩინგიზ ყაენისანი, თუ ვითარ გამოჩინდეს ქუეყანასა აღმოსავლეთისასა“. — შენიშვნები, I, 2).

მონღოლთა ბატონობის ხანას მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალმა ურთიერთობებმა ბევრი ახალი ცნებისა და ტერმინის გაჩენა გამოიწვია ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში. უამთაღმწერელი გრძნობს, რომ ზოგჯერ აუცილებელია მკითხველისათვის ამ ტერმინების ახსნა და საგანგებო განმარტებას იძლევა. ასეთი გლოსები მას საკმაოდ ხშირად აქვს ჩართული თავის თხზულებაში. ზოგჯერ საჭიროდ მიაჩნია განმარტოს გეოგრაფიული სახელებიც. ასე აქვს ქართველ ავტორს განმარტებული ნოინი, სალინ-ბეგი, ქოუნი, იერლაცი, სიბა და სხვ. გეოგრაფიული სახელები: ბერდუჯი (საგამი), ბაბილოვანი (ბაღდადი), ყარაბადი (მულანი), ჩაღანუსუნი (თეთრი წყალი). მკითხველის ინტერესებზე ზრუნვა ავალებს ისტორიკოსს, მსგავსი განმარტებებით გასაგებ გახადოს შედარებით უცნობი ტერმინები და ცნებები, დაეხმაროს მკითხველს თხზულების შინაარსის სრულად და სწორად აღქმაში.

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, შედარებით ნაკლებად გვხვდება ქრონოლოგიური მონაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ასწლოვანი მათიანე“, სადაც არც ერთი ისტორიული მოვლენის თარიღი არ არის პირდაპირ ნაჩვენები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოვლენები ამ თხზულებაში საერთოდ არ იყოს დროში განსაზღვრული. უამთაღმწერელს დათარიღების თავისებური წესი აქვს გა-

⁴³ „ჩინგიზ-ხანის შვილების შესახებ“ (იხ. რ. კიკნაძე. უამთაღმწერლის საბასული წყაროები, გვ. 146).

⁴⁴ ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Г. Г. Аласанна. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 99—104.

მოყენებული. ზოგჯერ ის ასახელებს მსოფლიო ისტორიაში კარგად ცნობილ და დათარიღებულ მოვლენას და იქიდან გამომდინარე განსაზღვრავს საქართველოს ისტორიის ფაქტებსაც⁴⁵. ამის მიხედვით, უცხოური წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება მის მიერ მოტანილი ზოგიერთი ფაქტის სისწორის შემოწმება და დათარიღება.

ამ უკანასკნელ ხანებში საგანგებოდ იქნა შესწავლილი რიცხვის სიმბოლიკა ძველ ქართულ ისტორიულ მწერლობაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, და გამოირკვა, რომ „ასწლოვან მატრიანეში“ საგრძნობლად შემცირებულია. თუმცა მთლად გამჭრალი არ არის საკრალური რიცხვები⁴⁶. ყურადღებას იქცევს, მაგალითად ის ვარემოება, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლები შვიდი წელი იბრძოდნენ ალამუთის ციხის წინააღმდეგ, დავით ლაშას ძე შვიდ წელიწადს იყო ხაროში ჩაგდებული. აბუსაიდი შვიდი წლისა ავიდა ილხანის ტახტზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის არის, რომ არცერთი ამ ქრონოლოგიური მონაცემის სისწორე არ დასტურდება წყაროებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა გამახვილებული ყურადღება იმ ვარემოებაზე, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში გვხვდება სერიოზული ანაქრონიზმებიც. მოვლენების გადასმა დროში. ურთიერთშენაცვლება. მაგალითად, ცნობილია, რომ მონღოლთა დიდი ყაენის კარზე მყოფი, მეფობის მაძიებელი ორი ქართველი უფლისწული — დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე — საქართველოში გამოგზავნა გუიუქ ყაენმა. რომელიც ტახტზე იჯდა 1246—1249 წლებში. ჟამთააღმწერლის მიხედვით კი ორი დავითი საქართველოში მოსულა ილხან ჰულაგუს დროს (1256—1264), ე. ი. მთელი ათი წლით გვიან. რაც მთავარია, აქ უბრალო ქრონოლოგიური შეცდომა კი არ არის დაშვებული, არამედ მთელი თხრობა ასეთი თანმიმდევრობით არის აგებული.

მსგავსი ანაქრონიზმების მიზეზი დღემდე ახსნილი არ არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ბიზანტიური ქრონიკების შესწავლის შედეგების გათვალისწინება. არსებობს, კერძოდ, შეხედულება, რომ მასალის განლაგებას ისტორიულ თხზულებებში არცთუ იშვიათად კომპოზიციის თავისებურებანი განაპირობებენ. ამდენად, წერილობითი ძეგლის ქრონოლოგიური ქარგის განსაზღვრისათვის აუცილებელია კომპოზიციის კანონების ცოდნა.

⁴⁵ ლ. კიკნაძე. XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. — მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 142.

⁴⁶ Г. Г. Аласанна. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 174.

მაგალითად, აღრებიზანტიურ ქრონიკებში თხრობის ქრონოლოგიურ პრინციპს ხშირად არღვევს სიუჟეტურ-თემატური პრინციპი. ამის შედეგად ზოგჯერ გაერთიანებული გამოდის და ერთი წლის ამბებშიც კი აღიწერება ერთმანეთს ათეული წლებით დაშორებული მოვლენები. საგანგებოდ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ განსაკუთრებით ხშირად ხდება ეს კომპილაციურ ნაწარმოებებში. ასეთი თხზულების შედგენის დროს კომპილატორი მოვლენებს კი სწორად გადმოსცემს. მაგრამ ყოველთვის არ იცავს მათ შორის არსებულ ქრონოლოგიურ და აზრობრივ კავშირებს, ანდა სულაც ახალი კავშირებით ცვლის მათ¹⁷. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ანაქრონიზმები „ასწლოვანი მატიანის“ სწორედ კომპილაციურ ნაწარმოებში, XIII საუკუნის ამბების აღწერაში გვხვდება. შესაძლებელია ეს მართლაც თხზულების კომპოზიციური თავისებურებებით, ავტორის შემოქმედებითი მეთოდის დამახასიათებელი ნიშნებით იყო გაპირობებული. სამწუხაროდ, ქართული ისტორიული თხზულებების კომპოზიციის კანონები შესწავლილი არ არის. ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევის გაშლა უთუოდ პერსპექტიული ჩანს და, იქნებ, ეამთაღმწერლის ანაქრონიზმებსაც მოეძებნოს დამაჯერებელი ახსნა.

„ასწლოვანი მატიანეში“ აღწერილია საქართველოს ისტორია მონღოლთა შემოსევებისა და მფლობელობის ხანაში. დიდ ყურადღებას უთმობს ისტორიკოსი აგრეთვე მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების ისტორიასაც. თხზულებაში ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა მომხდური მტრის წინააღმდეგ, ნაჩვენებია შიდაკლასობრივი ბრძოლის მაგალითები, აქა-იქ გამოსკვივის ავტორის სიმპათია მოსახლეობის დაბალი ფენების მიმართ (გავიხსენოთ, მაგალითად, ქალაქის გლახაკებისა და ქვრივ-ობოლთა მიერ მესტუმრე ჯიქურის დაკრძალვის ამბავი). მემატიანეს უპირატესად პოლიტიკური ისტორიის მოვლენები აინტერესებს. მაგრამ საკმაოდ გვხვდება აგრეთვე ცნობები ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების, გადასახადების, მართვა-გამგეობის, ყოფის, ზნე-ჩვეულებების შესახებ, კულტურის ისტორიისათვის.

XIV საუკუნის ქართველი ეამთაღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის ძირითადი და ფრიად ხანაა წყაროა.

¹⁷ Я. И. Любарский. Композиция византийских хроник и их источниковедческий анализ. — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. Батуми, 17—19 октября 1985 г. Тезисы докладов. Тб., 1985, с. 71.



ჟამთააღმწერლის თხზულების სრული ტექსტი სამჯერ არის გამოცემული ქართულ ენაზე „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლობაში.

1849 წელს მ. ბროსემ პეტერბურგში გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომი, რომელშიც დაბეჭდა ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტი⁴⁸. მ. ბროსეს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ თვითმწერალი, რუმინანტივითი და ფალავანდიშვილისეული ხელნაწერები. პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ფალავანდიშვილისეული ნუსხის ტექსტი, რომელშიც დამატებით შეტანილ იქნა განსხვავებული ადგილები დანარჩენი ნუსხებიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში არ ყოფილა ეს აღნიშნული შენიშვნებსა თუ კითხვასხვაობებში⁴⁹.

1906 წელს ე. თაყაიშვილმა თბილისში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ მარიაშვილისეული ხელნაწერის ტექსტი⁵⁰. ეს არის ეგრეთწოდებული დიპლომატიკური გამოცემა. რომელშიც ტექსტი და, კერძოდ, ჟამთააღმწერლის თხზულება (გვ. 536—785) დაბეჭდილია უცვლელად, ყველა შეცდომითა და დამახინჯებით, სქოლიოებში კი მოტანილია კითხვასხვაობანი მ. ბროსეს გამოცემული „ქართლის ცხოვრებისა“ და ზოგიერთი ნუსხის მიხედვით.

1959 წელს ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში გამოაქვეყნა ჟამთააღმწერლის თხზულება⁵¹. ტექსტი დადგენილია „ქართლის ცხოვრების“ როგორც ძველი. ისე ვახტანგისეული რედაქციის ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით, კითხვასხვაობათა ჩვენებით. გამოცემას ახლავს ვრცელი გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები.

ჟამთააღმწერლის თხზულების თარგმანები, გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოცემულია ფრანგულ და სომხურ ენებზე⁵². მ. ბროსემ

⁴⁸ ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეთცხრამეტე საუკუნემდის, I, გამოცემა მ. ბროსეს ი. სპბ., 1849, გვ. 339—447 (ეს გამოცემა 1897 წ. უცვლელად გამოემორ: ნ. კვიციანამ).

⁴⁹ მ. ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტის შესახებ იხ. კ. ვარიკოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 190—194; შ. ხანთაძე. მარი ბროსე. თბ., 1966, გვ. 92—94.

⁵⁰ ქართლის ცხოვრება, მარიაშვილისეული ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906

⁵¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 151—325.

⁵² Histoire de la Géorgie, trad. du georgien par M. Brosset, I. SPb., 1849, p. 481—643; *Վրաց ժամ անակագրություն* (1207—1318); *Թարգմանությունը Պ. Մուրադյանի. Երեւան, 1971.*

ფრანგულად თარგმნა მის მიერვე გამოქვეყნებული ტექსტი, ხოლო პ. მურადიანმა სომხურ თარგმანს საფუძვლად დაუდო ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი.

ამგვარად, დღემდე დაბეჭდილია ეპითაღმწერლის თხზულების ძველი რედაქციის (უცვლელად), ვახტანგისეული რედაქციის და ორივე რედაქციის შერევის შედეგად მიღებული ტექსტები.

წინამდებარე პუბლიკაცია არის „ასწლოვანი მათიანის“ ტექსტის რიგით მეოთხე გამოცემა. დაფუძნებული, ძირითადად ძველი რედაქციის ნუსხებზე. გამოცემას წინ უძღოდა საკმაო ხანგრძლივი ტექსტოლოგიური მუშაობა, რის შედეგადაც დაზუსტდა, გასწორდა ან განიმარტა ეპითაღმწერლის თხზულების არაერთი შერყენილი და ბუნდოვანი ადგილი, საგანგებოდ დამუშავდა აგრეთვე ისტორიული ტექსტის ვამოსაქვეყნებლად მომზადების მეთოდის საკითხები, შეიჩინა წერილობითი ძეგლის მეცნიერული პუბლიკაციის ტიპი — კრიტიკული გამოცემა.

ეპითაღმწერლის თხზულების ტექსტმა გადამწერთა მიერ დამუშავებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით და ნაკლებად მოაღწია ჩვენამდე და მისი აღდგენა-გამართვა დიდ შრომასა და ცოდნას მოითხოვს.

„ასწლოვანი მათიანის“ ძველი რედაქციის ტექსტი შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ (M), 1697 წლის (Q), თემურაზისეულ (T) და მაჩაბლისეულ (III) ნუსხებში. ოთხივე დასახელებული ხელნაწერი არსებითად თხზულების ერთნაირ ტექსტს შეიცავს, რომელიც ერთი არქეტიპიდან მომდინარეობს. ამდენად, მხოლოდ ამ ნუსხების საფუძველზე შეუძლებელია ტექსტის საბოლოოდ გამართვა.

დიდი მუშაობა გასწია „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, ეპითაღმწერლის თხზულების ტექსტის რედაქტირებაზე ვახტანგის კომისიამ. „სწავლულ კაცთა“ საქმიანობის შედეგად ტექსტის ბევრი ადგილი გასწორდა და გასაგები გახდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის წევრებმა ვერ შეძლეს ყველა დამახინჯებული ადგილის გასწორება. ამიტომ ზოგი წინადადება სულ გამოტოვეს, ზოგიც სხვაგვარადაა გათარგმნებული.

ამგვარად, შეიქმნა ახალი რედაქცია ტექსტისა, რომელიც რიგ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება ძველი რედაქციის ნუსხებთან ცნობილი ტექსტისაგან.

„ასწლოვანი მათიანის“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად საფუძვლად იქნა აღებული ძველი რედაქციის შემცველი ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი, ე. წ. მარიამისეული ნუსხა, გადაწერილი 1634—1645 წლებში (დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: S-30). მისი მცდარი და

ბუნდოვანი ადგილების გასასწორებლად პირველ რიგში გამოყენებულ იქნა ამავე რედაქციის შემცველი „მცხეთური ქართლის ცხოვრების“ პირი, გადაწერილი 1697 წელს (დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q-1219), აგრეთვე XVIII საუკუნეში შესრულებული ნუსხები: 1. თეიმურაზისეული, რომელშიც თამარის ცხოვრების მეორე ნახევარს და ჟამთააღმწერლის თხზულებას არ გაუვლია ვახტანგის კომისიის რედაქცია (გადაწერილია XVIII ს. პირველ მეოთხედში, დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში: ქართულ ხელნაწერთა ფონდი, M 24, ძველი შიფრები: G 1, M 13). 2. მაჩაბლისეული ნუსხა, გადაწერილი არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრებიდან“ 1736 წელს მოსკოვში, გიორგი მაჩაბლის მიერ. ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2135).

როგორც ითქვა, ძველი რედაქციის ტექსტის შემცველი ნუსხების საფუძველზე ვერ ხერხდება ჟამთააღმწერლის თხზულების ყველა დამახინჯებული ადგილის გასწორება, საჭირო ხდება ვახტანგისეული რედაქციის მოშველიებაც. ეს მით უფრო დასაშვებია და აუცილებელია, რომ, როგორც ირკვევა, ყველა განსხვავება, რაც ძველი და ვახტანგისეული რედაქციის ტექსტებს შორის გვხვდება, არ არის სწავლულ კაცთა საქმიანობის შედეგი. მათი ერთი ნაწილი დაფუძნებულია ძველი რედაქციის ისეთი ნუსხების ჩვენებებზე, რომელთაც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. ამდენად, „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის დადგენის დროს გამოყენებულ იქნა ვახტანგისეული რედაქციის ყველაზე ადრინდელი, რუმინაცვეისეული (R) ნუსხა, გადაწერილი 1703 წლამდე (დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: H-2080). კითხვა-სხვაობებიც ამ ნუსხის მიხედვით არის მოტანილი. ოღონდ ისეთ შემთხვევებში, როცა ძველი რედაქციის ნუსხებში ტექსტი კარგად არის გამართული, ვახტანგისეული რედაქციის არასწორი ან გადასხვაფერებული ჩვენებებით კითხვასხვაობების გადატვირთვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ ნაწილის ადრინდელი ტექსტის დადგენის დროს საფუძვლად უნდა იქნეს ადგილობრივი ძველი რედაქციის ხელნაწერთა ჩვენებანი. თუ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს მივანიჭებთ უპირატესობას, ან თუნდაც, ძველი რედაქციის ნუსხებთან თანაბარი უფლებით გამოვიყენებთ, თუ ძველი ტექსტის ცალკეულ სიტყვებს ვახტანგისეული რედაქციის „უკეთესი“ წაკითხვებით შევცვლით, მიიღება მონაიკური, შერეული, შუალედური ტექსტი. ეს არ იქნება არც პირვანდელი რედაქცია და არც ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტი.

რამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფ. გორგიჯანიძის მიერ გამოყენებულ ხელნაწერში ტექსტის ბევრი ადგილი უფრო სწორად და სრულად ყოფილა შემონახული, ვიდრე დღეისათვის ცნობილ ნუსხებშია. სწორედ ამიტომ ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ საფუძველზე შესაძლებელი ხდება „ასწლოვანი მატთანის“ არაერთი შერყენილი ადგილის გასწორება. რიგ შემთხვევაში ფ. გორგიჯანიძე ადასტურებს ვახტანგისეული რედაქციის წაკითხვებს.

უამთაღმწერლის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტს რამდენსამე ადგილას აშკარად ემჩნევა ნაკლულობა, ფ. გორგიჯანიძესთან კი შესაბამისი ადგილები სრულად არის შემონახული. მართალია, ერთი და ისიც საკმაოდ დამახინჯებული ხელნაწერის ამარა დარჩენილ ფარსადანს ყოველთვის ვერ მოუხერხებია ტექსტის სწორად გაგება და შეცდომებიც დაუშვია, მაგრამ მაინც, მისი წყალობით დღეს შესაძლებელი ხდება „ასწლოვანი მატთანის“ ნაკლული ადგილების შინაარსის პეტნაკლებად სრულად და სწორად წარმოდგენა.

„ასწლოვანი მატთანის“ დამახინჯებული და ბუნდოვანი ადგილების გასწორება და განმარტება ზოგჯერ კონკრეტული ისტორიული ვითარების ანალიზითა და ლოგიკური მსჯელობით შეიძლება, რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები და დამხმარე წყაროები არ იძლევა ყველა ასეთი ადგილის გამართვის შესაძლებლობას. ტექსტის აზრობრივ-ლოგიკური აღდგენის რამდენიმე შემთხვევა ქვემოთ შენიშვნებშია მითითებული.

ტექსტის დადგენის დროს მასში მრავალი მართებული, დასაბუთებული ცვლილება იქნა შეტანილი: გასწორდა, აღდგა და განიმარტა არაერთი დამახინჯებული, ნაკლული და ბუნდოვანი ადგილი. ყველაფერი ეს მომავალში ხელს შეუწყობს ძეგლის შინაარსის უფრო სრულად აღქმას, გაათართობს მის საინფორმაციო შესაძლებლობებს და გაზრდის სანდოობის ხარისხს.

უამთაღმწერლის თხზულების კრიტიკულ ტექსტს დართული აქვს შენიშვნები, რომლებშიც ნაჩვენებია გამოყენებული ნუსხების ზოგიერთი თავისებურება, მოკლედ არის დასაბუთებული ესა თუ ის გასწორება და მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურა.

შენიშვნებით სარგებლობის გაადვილების მიზნით ტექსტი, პირობითად, რამდენიმე მონაკვეთად დავყავით (პირითადად მეფეთა ზეობის მიხედვით). ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ის გარემოებაც, რომ თავებად დაყოფა და მეფეთა სათვალავით დასათაურება უკვე

ეხტანგამდელი რედაქციის ნუსხებში დაწყებულა⁵⁵, და აგრეთვე ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა გამოსაცემად მომზადებული ტექსტის შედარებით მცირე მოცულობის მონაკვეთებად დაყოფა⁵⁶.

⁵⁵ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942, გვ. XXXVI—XXXVII.

⁵⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. — მრავალთავი, V. თბ., 1975, გვ. 267.

შამთააღმწერელი

ასწოქანი მატინა

I

1 ამას სანატრელსა სიცოცხლეშიგან დაედგა გვრგვნი
 m 499 ძისა მათისა გიორგისდა, რომელსა ლაშობითცა უწო-
 M 723 და. იყო წლისა | ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვრგვნი
 მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა, ხოლო
 T 247a რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო თანა ლაშა აქთვრამეტი- 5
 R 342b სა | წლისა. დაუტევა მეფობა ძესა თვსსა, ხოლო ნათე-
 სავესა ქართველთასა — ცემა, მწუხარება, ვაება და
 გლოვა, რამეთუ ცოცხალნიცა ჩასრულ იყვნეს ჯოჯო-
 ხეთს მკვდრნი სამეფოსა მისისანი და ეგრეთცა ჯერ იყო.
 შემდგომად მისისა დაიპყრა მეფობა ძემან თამარის- 10
 მან ლაშა გიორგი, რომელი იყო: ტანით ძლიერი, მკნედ
 მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ღალი და თვთ-
 ბუნებაჲ და უმეტეს ამისთვის განლაღებულ იქმნა, რამე-
 თუ დაემორჩილნეს ყოველნი წინააღმდგომნი მისნი კე- 15
 თილად მოკსენებულსა და ღმრთისმოყუარესა დედასა
 მისსა და უშფოთველად და წყნარობით დაეტევა სამე-
 ფო და ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარაჯე შეექმნეს,
 ვითა განძელნი და მიმდგომნი, ნახქვენელნი და კარნუ-
 ქალაქელნი, და სხუანი მრავალნი ძღუნითა და ხარაჯი- 20
 თა მოვიდოდნიან მისსა მას ჟამსა, იშუებდა, იხარებდა
 და ყოველგან იყო მხიარულება. 20

1 სიცოცხლეშიგან] სიცოცხლესა შინა თვსსა R. 2 ძისა მათისა გიორგისდა] ძესა მათისა გიორგის MQTm. 2 ლაშობითცა] ლაშობითცა Mm, ლაშობითცა QT. 5 თანა]—R. 7 ცემა] თავცემა R. 8 და გლოვა]—MQTm. 8 ცოცხალნიცა T] ცოცხალნიცა MQm, ცოცხლივ R. 9 ეგრეთცა ჯერ იყო] ჯერეთვეცა აგრეთ (T: ეგრეთ) იყო MQm. 11 მკნედ და მოისარ MQTm. 12 ღალი და თვთ ბუნება] ღალი და თვთ შენება (QT: ბუნება) Mm. 13 განლაღებულ იქმნა]—MQm. 14—15 კეთილად] კეთილად MQm. 16 და უშფოთველად] დაუშფოთველად MQm. 16 და წყნარობით] დაწყნარებით R. 16—17 სამეფო] + თვისი R. 17 მახლობელნი] მახლობელნი (T: მსგებლნი) MQm. 20 მისსა] მისა (m: მის)MQT. მას]—MQTm. 20—21 იშუებდა იხარებდა და ყოველგან იყო მხიარულება] იყო იშუებდა და ყოველგან (ყველგან m, ყველგან M) მახლობელი MQTm.

- და იწყეს განძით განდგომა, არლარა მოსცეს მეფეს
- R 343a ხარკი. ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა
 ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და აპერთა,
 (მკვარგრძელსა ივანეს, რომელსა მაშინ პატივი ათაბაგო- 5
 ბისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისაგან, (რამეთუ
- M 724 იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული. იყო უმეტეს 5
 სხუათა ერისთავთასა, ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა,
 თქუა მეფემან: „ვინათგან მეფეთა შორის ბრწყინვალე-
 მან და სანატრელმან დედამან ჩემმან დამიტევა მეფობა.
- m 500 ყოველნი წინააღმდეგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი 10
 მოხარაჯედ შექმნა და დღეისმომდე შორჩილნი ბრძა-
 ნებისა ჩუენისანი არიან. აწ განძის ათაბაგს საწუნელ
- Q 156b უქმნიე და ხარკისა არლარა ნებაეს მოცემა. მე ესრეთ 15
 განმიზრახავს, რათა შური ვაგოთ განძასა ზედა და თქუენ
 შრომასა შეგამთხვო. ძალითა და თანადგომითა თქუე-
 ნითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩემთა
- T 247b დიდთა სულტანთა ძლიერებანი. აწ მიიღეთ ჩემგან პა- 20
 ტივი და ნიჭი და აღვიმკედროთ განძასა ზედა, რათა
 სხუათა მტერთაგან არა საწუნელ ვიქმნეთ. შეწევნითა
 ღმრთისათა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჟუარისა-
- R 343b თა | და სიქველითა თქუენითა ვსძლიოთ მტერთა“.
 (ვითარ ესმა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა,
 განიხარეს და დაუმტკიცეს და რქუეს, ვითარმედ: „დი- 25
 დი ნუგეშინისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ
 გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავი-
 თიანი. მსგავსი მათი. მინდობითა ღმრთისათა და ძალი-
 თა თქუენითა დავიმორჩილნეთ ურჩნი მეფობისა თქუე-
 ნისანი და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქუენი“) დაამ-
 ტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა წარემართნეს
 თვთ მეფე სპითა დიდითა. ვერ წინააღუდგეს განძელნი 30

1 და იწყეს] მაშინ იწყეს R. 1 განდგომა] +და R. 2 ხარკი] +ხოლო R. 2 მცნო-
 ბელმან] მამელმან R. 4 ივანეს] ითანეს R. 5 მინებებოდა] მინიჭებოდა R. 6—7 ისრე
 განდიდებული, იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა] უმეტეს სხუათა ერისთავთასა განდი-
 დებული R. 8 თქუა] +მაშინ R. 8 მეფემან] +ვითარმედ R. 11 მოხარაჯეთ] მოხარკეთ
 R. 11 დღეისმომდე] +და R. 12 ჩუენისანი] ჩემისანი R. 15 შეგამთხვო] +რამეთუ R.
 16 ჩემთა] ჩუენთა R. 17 ძლიერებანი] ძლიერებთა Mm. +ყოველითურთ და R. 20 წარ-
 ძღუანებითა] წარმოდენებთა Mm. 20.—21 პატიოსნისა ჟუარისათა ~ QTR. 21 სიქვე-
 ლითა] სიქადელთა MQTm. 21 ვსძლიოთ] ვებნოთ m, ვსძლიოთ R. 22 წარჩინებულ-
 თა] +ყოველთა QT. 23 ვითარმედ] რამეთუ (M: რამეთო) QTm. 24—25 რამეთუ გპო-
 ვეთ] —MQTm. 25 გოლიათი] გულით (Q: გ'ლითი) Mm. 28—29 მაშინ დაამტკიცეს R.
 29 წარემართნეს] წარმართეს MQTm.

- M 725 და მოაოკრეს განძის ქუეყანა, აღიღეს ტყუე და ნატყუ-
ენავი ურიცხვ | და მოადგეს ქალაქსა განძისასა, მოადგეს
გარე და მრავალ დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა
გამოვიდინა ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიშად, აქათცა
და მუნითაც ურჩეულესნი ებრძოდიან. 5
- m 501 [მაშინ ინება მეფემან გარეშემოვლა ქალაქისა მცირე-
დითა ლაშქრითა, და ვითარ ! მოვლიდა მტკურისაყენ
ქუემოთ, ცნეს ესე განძის მყოფსა, ყოველნივე აღიჭურ-
ნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათი ათასი. ხოლო მეფეს |
R 344a ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ, ამათ შინა უმეტეს მესხნი, 10
რამეთუ ერთკერძო მკარგრძელნი დგეს, ერთკერძო
ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და თორელნი;
ერთკერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი და ლიხთიქიანი
ზედმოკიდებით ურთიერთას.
- ვითარ მოვლიდა მეფე, იცნეს, განახუნეს კარნი და. 15
ვითარცა მკეცი, ზედამიუცდეს. და იხილა მეფემან
T 248a ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა ! გულითა, განმკნობითა
სპათა მისთა, ეგრეთვე სპანი მეფისათეს სიკუდილად
განმწირველნი ეტყოდეს: „სიკუდილამდის ვიღუაწოთ
და დავდვით თავი სასიკუდილოდ და არა ვარცხვნოთ 20
პირველსა ომსა მეფობისა შენისასა“
Q 157a ედა მყის მიეტევენეს
უქრთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად სას-
ტიკი. და მიეცნეს პირსა მახვლისასა უმრავლესნი რჩე-
ულნი განძისანი. თვთ მეფე ლაშა წინამიეტევა მკნედ
და ძლიერად, თვთ გოლიათი მკლავითა სვანითა და ჭე- 25
ლითა გოლიათითა. რომლის თანა წინამბრძოლობდეს
M 726 ძლიერად ცუთარყუარე | ჯაყელისა შვილი პირმშო, ბი-
ბილა გურკელი. ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ
R 344b ესენი წინაგანჩვენეს ვითარ იხილეს სიმკნე | მათი გან-
ძელთა, სწრაფად ივლტოდეს პირისაგან მათისა, და 30
m 502 სდევნეს ვითარ კართამდე | ქალაქისად, მცირედლა შე-

2—3 მოადგეს გარე]—Mm. 14 გამოვიდინა გამოვიდოდეს Mm. 4 ჩალიშად | ჩლიბდ MQ, ჩალიბად Tm. 9 ათას | ათასნი Mm. 10 მესხნი | იყუენეს R. 12 ჰერ-კახნი | ერნი (m: ერთნი) კახნი MQT. 13 დადიან-ბედიანნი | დადიანი ბედიანი MQTm. 13 ლიხთიქიანი | ლახტი (ლახტას m) იქათა MQT. 15 ვითარ | ხოლო მაშინ ვითარ R. 15 იცნეს | იგი და მსურაჲლ R. 15 კარნი | ქალაქისანი R. 16 მიუცდეს | მიუტევენეს R. 18 მისთა | მათათა R. 19 განმკურკელნი | აუკთა მათათა R. 22 დადალ | ფრად R. 23 მიეცნეს | ეცნეს MQTm. 27—28 ბიბილა | ბიბილა M, შაბლა m. 28 მემნას | მემნის MQTmR. 29 ვითარ | ხოლო ვითარ R. 30 მათისა | მკნეთასა. (MQT. მკნეთას m:) 30—31 და სდევნეს | დასდევს MQm, და სდევს T.

ივლტოდეს ქალაქად, და უმრავლესი ტყუე-ყვეს და ზოგნი მოისრნეს.

ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდ-სა მათსა და საყელოსა თმითურთ იფხურიდეს, და განაძლიერეს ყივილი და ზრიალი. ყოველგნით გარემომ- 5
დგომთა ლაშქართა ესმა და მეფესა მომართეს, ხოლო მეფე, უვნებელად დაცული ღმრთისა მიერ, იგი და მის-
ნი წინამბრძოლნი თავადნი სახელოვანნი მოეგებნეს, რომლისათვის ლაშქარნი და თავადნი მბრძოლნი დაამ-
ტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა კარსა 10
მეფისასა ყოფად. ხოლო მეფე იგი ჰუნისაგან ჩამოკლა და ევედრა შენდობა უმეცრებით ქმნულებისა. ესრეთ მივიდეს კარვად სიხარულითა. მსგეფსამდი იყო მხიარულობა და გაცემა ლაშქართა ზედა.

T 248b ესრეთ შემჭირდა ათაბაგი განძისა და ევედრა, რათა 15
განუჩინონ | ხარაჯა პირველი, რომელი ისმინა მეფემან და უკუსცა ტყუენი ფასითა და მრავლითა ძღუენითა.
R 345a თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა.

M 727 მივიდა თვთ მეფე ტფილისს და აღავსო საქართველო ძღუენითა, კრამეთუ იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხუ 20
და | არავისთვის მოშურნე. მლოცველ, მმარხველ. განმკითხველ და მოწყალე. არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა. ვითარცა სოლომონისათვის წერილ არს, რომელი შეაც-
თუნეს დედათა. ეგრეთვე ესე უწესო კაცთა. ვითარცა 25
ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს. ვითარ განისუენებდა ნადიმობითა და მსმურთა თანა, მიდრკა სიბოროტემ-
დი. ვითარ წერილ არს ისრაილთათვის: „დასხდა ვრა იგი ჭამად და სმად, და აღდგეს სიმღერად“.

ხოლო სმამან მღერასა და სილოდასა და ნაყროვანე- 30
ბამან სიბილწესა უმეტეს ვარდარია, განიშორნა ვაზირ-

1 ქალაქად ქალაქით MQTm. 3 ამცხნი ხოლო ამცხნი R. 3 მხრველნი მხარობელნი და MQTm. 4 მათსა მესა MQTm. 5 ლოვლგნისა+ცსმარაა [ც ლოვლგნის R. 7 უვნებელად] უნებლიდ MQm. 8 სახელოვანნი+და მრავალთა [სახელოვანი MQTm. 10 მოლაშქრედ] მოლაშქრეთა MQTm. 11 ჰუნისაგან უნისაგან MQm, [უნისაგან T. 12 შენდობა]+და MQTm. 16 განუჩინონ] განუჩინა MQTm. 19 და აღავსო სულა MQTm. 20 ძღუენითა]+მომღები მივიდა MQTm. 22—26 არამედ უკანასკნელ... საცნაურ ყოს]—MQTm. 27 ნადიმობითა ჩვ. კონიექტ., ნადრობითა QTR, ნადრობდა MQm. 28 ისრაილთათვის]—MQTm. 29 და სმად]—MQTm. 30 სმამან] სმამან MQT. 30 მღერასა] მღერასა MQTm. 30 სილოდასა და] სილოდასა MQ, სილოდასა T, სილოდასა m. 31 უმეტეს ვარდარია]—MQTm. 31 განიშორნა] განუბრნა MQT, განუბრნა m.

- m 503 ნი სანატრელისა დედოფლისა და | მეფისა წესითა მსწავლელნი, შეიყარა თანამოასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანააღრევად, რომელ ესოდენ უსახურობად მიიწია, რომელ | ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვნისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, 5
- Q 157b რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვისა | არამგონებელნი და ღვნით უცნობოქმნილნი, ზედამოეტევენეს მგუეველნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თვალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვოყვეს. 10
- R 345b ლმისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი ფრიად მწუხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი, ზაქარიას ძე, განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან: ლარა თავს-ვიდებთ შენსა მეფედ ყოფისა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, 15 რომელსა იქმ". ხოლო მეფემან შეინანა და აღთქუა სიმტკიცეთა მიერ აღარა ქმნაღვნეირ მათისა განზრახვისა. დაღათუ აღასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტერი უჩინტუ ვერ არწმუნეს ცოლისა სმა, ვითარცა არს გულისთქმის მიერ | შემწველობა დედათა მიმართ. მისრულმან კახეთს, სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულკეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამეიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან მსწრაფლ თვსად მიიყვანა და შეიყუარა. და მუტლად-ილო დედაკაცმა და 25
- R 346a შვა ყრმა, რომელსა | უწოდეს დავით. ესე იგი არს დავით, რომელ უკანასკნელსა | დიდთა განსაცდელთა შემდგომად მეფე იქმნა, რომელ ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს. ესე ყრმა აღსაზრდელად მისცა დასა თვსსა რუსულდანს, რომელი-იგიცა მხოლო ესუა თამარაა, რო- 30

1 სანატრელისა] სანატრელნი MQTm. 2 და]—MQTm. 3—4 უსახურობად] უსახურობდა MQ. 5 ტფილისს] თაფლქესა T. 6 მუნ] მან MQTm. 6 რინდნი] რინდნიმან MQm, რინდს მნ T. 12 მწუხარენი] მზრლონი MQTm. 12 ივანე]—MQm. 13 განეყენებოდეს] განეყენებოდეს MQTm. 14 თავს-ვიდებთ] თავს ვცდრებთ MQTm. 14 ლოფისა] წყალობასა MQTm. 15 კაცთა სიახლესა] კაცისა სხლსა MQTm. 16 რომელსა] რომელი MQTm. 18 ძლიერებდა ყაუხჩი., ძლიერებდა MQTm. 19 ცოლისა სმა] ცილისა (ცილსა) სამა Mm, ცლისა სმა QT. 20 შემწველობა] შემწველობა MQTm. 21 კახეთს] კს QT, კარგს Mm. 24 ურიის] ჰერს MQTm. 29 ცოს] ქმნა Mm. 29 აღსაზრდელად] აღიზარდა და MQTm. 30 რომელი] ბალი Mm. 30 ესუა] + და იგიც Mm.

შელთა მძებრივისა და დებრივისა სიყუარულისა უძე-
ტესობა აქუნდა ურთიერთას.

ამათ წარმართებულობათა და დაწყნარებულობათა
შინა იყო მეფე და ყოველგნით ნიჭი და ძლუნენი მოუ-
ვიდოდეს მოხარკეთა მიერ კარვად მეფისა. მხიარული- 5
თა პირითა მოვლიდის სამეფოსა მისსა განსაგებელთა
საქმეთათჳს. გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის
ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი.
და სთუელთა შთავიდის ტფილისს, ხოლო საზამთროდ
დადგის ღურს სომხითისასა და მიერ ბრძოდის განძელ- 10
თა. ზაფხულის აღვიდის თავად მტკურისა, დადგის კო-
ლას, და მოვიდოდინა წინაშე მისსა მოხარკენი ძლუნითა
ხლათითა და საბერძნეთითჲ

M 729
Q 158a
R 346b

ამათ განსუენებასა შინა მყოფმან არა ინება ქორ-
წინება ცოლისა. ამისთჳს შეკრბეს კათალიკოზნი. 15
ეფის კოპოზნი და ვაზირნი, მოაქსენებდეს: „არა ჯერ-
არს, რათა მკვეალი გესვას და არა ცოლი, ვითარცა დას-
წერს მოციქული. პირი ქრისტესი, პავლე: „ქორწილი
წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძენი
და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“. ხოლო მეფესა და 20
ენება. წარგვარეს ქალი იგი. დედა დავითისი, და ქმარ-
სავე მისსა შისცეს. ხოლო არცა მაშინ ექორწინა მე-

T 249b
m 505

უღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად. რამეთუ იყო ესე
ლაშა გიორგი მკნე, აქხოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტა-
ვანი. თავკედი, თვებუნება, ვითარცა მითქუამს, უხვ, 25
სახიობისმოყუარე, ღვინისმოყუარე და გემოთმოყუარე
და მშუდობა იყო სამეფოსა შინა მისსა და შექცეულ
იყო მმასა და ჭამასა, რომლისათჳს დასწერენ მამანი:
„სამნი არიან მიზეზნი ენებათანი, რომელთაგან იშუებიან 30
ყოველნი ბოროტნი: გემოთმოყუარებანი, ვეცხლისმო-
ყუარება და დიდებისმოყუარება. ამათნი პირმშონი არი-

1 მძებრივისა და დებრივისა | მძებრივისა და ებრივისა QT, რომებრივისა და ებ-
რაეისა Mm. 3 ამათ, ამით MQTm. 6 მოვლიდის | მივლიდის Q, მივლიდეს MTm.
6 განსაგებელთა | განსაგებელთა MQTm. 7 ნადირობდის | ნადირობდა Q, ნადირობად
MTm. 8 განაგნის | განაგეს MQTm. 9 შთავიდის | შევიდით MQTm. 11 თავად მტკუ-
რისა | თვად მტკეარსა, დედა მტკეარს (მტკეარს) Mm. 13 ხლათითა | ხალათითა M,
ხალიათით m. 14 ამათ | ამით MQm. 16 ჯერ | ჯერა MQm. 17—18 დასწერს | დასცეს
MQm. 18 მოციქული | მოციქული MQm. 18 პავლე | პირველვე MQm. 18 ქორწი-
ლი | ქალწული MQTm. 19 და საწოლი შეუგინებელ—MQTm. 19 მსიძენი | მსიძე-
ნი Mm. 26 სახიობის | სახიობისა MQTm. 29—30 მიზეზნი ენებათანი... ბოროტნი—
MQTm. 31 და |—MQTm. 31 პირმშონი | მრეშებანი MQTm.

R 347a ან სიძვა, მრ-უშებანი, რისხვა, მწყინარობა. ამპარტავა-
ნება. ამათ ბოროტთაგან გამოვლენ კორცო მოყუარება-
ნი. უწესოდ | ნებისა მიდევნებანი, რომლისა თვთეულად
არა არს უამი აღწერად, ვითარცა წინასწარმეტყუელიცა
იტყვს: „ჰამა იაკობ, განძლა, განსხუა, განსუქნა და დაუ- 5
ტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა
მაცხოვარსა თვისსა“.

M 730 ლგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველსა,
რამეთუ განძლეს და იშუებდეს, უწესობად მიდრკეს
სიძვათა და მთრეალობათა შინა უ|გუნურნი კაცნი, ღმე- 10
ფის კარსა ზედა არა ყოფის ღირსნი და აწ კარსა ზედა
მყოფნი, ^{ღმერთსა} კათალიკოზთა ორთავე და თავადთა
ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა
საქმე ესე, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა,
არამედ განეშორნეს და თვს-თვსად იყოფოდეს, ამის- 15
თვს აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა სა-
ქართველოსა მოოცრებისანი, რომელი ქუემორე სი-
ტყუამან ცხად-ყოს².

R 347b ქუეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო, რომელსა 20
m 506 ეწოდების ჩინ-მაჩინო³, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკურ-
ველნი ადგილსა, ყარაყურუმაღ⁴ წოდებულსა, უცხო | სა-
ხითა. წესითა და შესახებდავადცა, | რამეთუ არცა ძუელ-
თა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი, რამეთუ არიან
უცხოენა, უცხოსახე, უცხოცხოვრება. პურისა გემო არა
T 250a იცოდინან, კორცითა და პირუტყუთა | სძითა ცხოვნ- 25
დებოდეს. ხოლო იყვნეს ტანითა სრულ. გუამითა ახოვან,
ძლიერ ფერჯითა, შუენიერ, სპეტაც კორცითა, თვალითა
მცირეკუხრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავითა
ღიდ, თმითა შავი და კშირ, შუბლბრტყელი, ცხვრითა
მდაბალ ესოდენ, რომელ დაწუნი უმაღლეს იყენიან 30
Q 158b ცხვრითა, და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვრი-
თა, ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ,

2 გამოვლენ] რომელ არს MQTm. 3 მიდევნებანი] მიმდგომლობანი MQTm. 4
ეამი] ლამე MQm, ლ²ა T. 5—6 ჰამა იაკობ... თვისი] განძლა, განსხუენა იაკობ MQTm.
7 თვისსა]—MQTm. 9 რამეთუ] რათა MQTm. 9 იშუებდეს] იშობდეს Mm, იშობ-
დეს T. 9 მიდრკეს] მიდრიკეს MQ. 10 საქათა] + მრუშებათა და m. 12 მყო-
ფნი M] მ²ფნი Q, მუუნი Tm. 13 ათაბაგსა] ათაბაგისა MQTm. 15—15 უმძიმდა...
იყოფოდეს]—MQTm. 20 გამოჩნდეს] გამოუჩნდეს MQTm. 21 ყარაყურუმაღ] ყარაყუმო-
რად MQTm. 23 არიან] არა MQTm. 24 სახე] სახედ MQTm. 27—28 თვალთა... და
საჩინო] კ²რეტ და გრემან თვალთა მცირე და ძალთა საჩინო და განზიდულ MQTm.
31 ცხვრთა] დაწუთა MQm. 31—ცხვრითა მცირედნი ნესტუნი ოდენ ჩნდიან MQm.

- ყოვლად უწუერული. ესევეითარი აქუნდა უმსგავსო სა-
ხე. და ნუ ვის გიკვრს, რომელ აღმატებული რამე შეუ-
ნიერება აქუნდა ამათ მამათა და დედათა. ამას თანა
- M 731 მოეგო სიმქნე, მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვლდითა უცდომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საჭურველმან უმაგრის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა მქონებელნი, მშვლდისა და ისრი-
სა კიდე.
- R 348a ესე იყვნეს კაცნი განსაკვრებელნი. რამეთუ იბილნი რა, სულელ საგონებელ იყვნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგო, მცირემეტყუელება. და ტყუილი სიტყუა ყოვლად არა იყო მათ შორის, არა თულ-ახუნნიან პირსა კაცისასა. არცა დიდსა, არცა მცირესა, და უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს, ჩინგიზ ყაენისაგან განჩენილნი, რომელთა თვთულად წარმო-
თქუმა გრძელ არს.
- m 507 ამათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუანისცემა. პირი მზისა აღმოსავლეთით ქნიან და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანის-ცემა და შუას ოითისა ცერსა ზედა და ნებსა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარა.
- 20
- ხოლო უდილური კერპისმსახური იყუნეს, რომელთა ქუჩინად | უკმობდეს. ხოლო მოიპოეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისკმისსაყოფიცა. ამათვე შექნეს ქორონიკონისსახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუ-
თა ცხოველთა სახელსა ზედა და თვთოს პირუტყუს
და | ცხოველს თვთოსა წლის მთავრობა განუჩინეს.
- M 732 30
R 348b

1—2 სახე] არს MQTm. 2 აღმატებული აღმჯგებული MQ, აღმჯგებელი T. 4 იყვნეს]—MQTm. 6 უმაგრის T] დაუდგნეს R.—MQm. 7 იყვნეს]—MQTm. 8 მქონებელნი] მქონებელი MQTm. 10 იბილნი T] იბილე (იბილვე) MQm. 12 გონიერება] გნება Q. გონება MTm. 13 და]—MQTm. 14 მათ შორის] მას შინა Mm, მთ შინა QT. 14 თულ-ახუნნიან] თულ ახუნანი (ახუნანი T) MQm. 16—17 ჩინგიზ ყაენისაგან] ჩინგის ყენისაგან Mm, ჩინგის ყნისგნ Q. 19 სჯულად] სჯულერად T, რჯულერად MQm. 22 ცერსა] წუერისა R. 22—23 და დატკაცუნება] და ტკაცუნება MQT. 25 ნიპოვს] მოიპარეს MQTm. 30 სახელსა] სხლსა Q. სხლსა M, სახლს m.

ვითარ ძუელ ოდესმე ელლინთა ბრძენთა ათორმეტთა
 ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთოვარისანი,
 ამათ ეტლთა თვთეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოც-
 დაათ-ათი დღე, არათუ ცხოველნი არიან, არამედ ზოდნი,
 ეგრეთვე ამათ თვთოსა წელიწადსა მთავრობა განუჩინეს 5
 თვთოსა პირუტყუსა. რომელითა თორმეტივე გათავდე-
 ბის, თავსავე დაიწყებს, ვითარ ათცხრამეტული, ათცა-
 მეტური, ზედნადები და ზედქუსეული, რამეთუ ცხრა-
 მეტ წლად გააწევს და მერმე თავსავე დაიწყებს. და
 ეგრეთვე ესე თორმეტ წლად გააწევს, რომელსა უწოდენ 10
 სახელად ესრეთ: ყალღუნჯილ, უქურჯილ, ფარსინჯილ,
 თავლაინჯილ, ლუილჯილ, მოლილჯილ, მორინჯილ, ყო-
 ნიჯილ, მეჩინჯილ. | თალანჯილ, ნოხინჯილ, ყაყაინჯილ⁷.
 m 508 ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მის-
 ცეს მთავრობა თვთოსა წლისა თვთოსა პირუტყუსა, 15
 რომლისა პირველად თავ ყვეს ყალღუნ, რომელ არს
 R 349a თავუ, მერმე ზროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუე-
 ლი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზუნა⁸, ქათამი, ძალღი, ღორი.
 ესენი აქუნდეს წელიწადის სათუალავად. ვითა ჩუენ
 ქართველთა ქორონიკონი. 20
 ხოლო აქუნდა წესად ერთისა ღმრთისა თაყუანის-
 ცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა, და წიგ-
 T 251a ნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ | თენგრი ქუ-
 M 733 ჩუნდურ“, ესე არს, „უკუდავისა ღმრთისა ძალითა“.
 ესენი მცირედთა საზრდელთა განემორებოდეს, ყო- 25
 ველსა სულიერსა ჭამდეს. კორცსა კატისა, ძაღლისა
 და ყოველსა.
 ამათნი ნათესავნი მრავალგუარად განყოფილ იყვნეს

1 ძუელ ძალ MQTm. 1 ელლინთა T] ელლინთა MQ, ელლინთ m. 2 რომელ
 რომელთა MQm. 2 ეტლნი | ეტლნი Mm. 2 მთოვარისანი | მთვარისა MQ, მთვარის
 m. 3 მისცეს | მისცემს MQm. 3 საჯდომაჲ | საჯდომად Mm. 4 ზოდნი | ზოდანი Mm,
 ზომნი Q. 6 რომელთაჲ | რომელთა M, რომელთა m, რა T, რათ Q. 6 თორმეტივე |
 თორმეტთვე MQ, თორმეტთავე m. 7 დაიწყებს | დაუწყებს MQTm. 7—8 ათცამეტური |
 ცამეტურა MQTm. 11 ყურყუნიჯელ MQm, ყურყუნიჯელ T. 11 უქრჯალ MQT, უქრი-
 ჯალ m. 11 ფარსინჯალ MQTm. 12 თავლაინჯალ MQ, თვლა ინჯლ T, თვლინ-
 ჯალ m. 12 მოლიჯილ MQTm. 19 წელაწდის MQ. 19—20 ჩუენ ქართველთა | ქუენა
 MQTm. 22 თენგარი Mm, თენგარი Q. 22—23 წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს |
 წიგნისათა ვის ესრეთ დამწერელნი MQTm. 23 მან ქუთენგარი MQ, მან ქუთენგარ m,
 მან ქუთენგარი T. 25 მცირედითა MQTm. 25 საზრდლითა MQ, საზრდლით m, საზრ-
 დელითა T. 26 კატისა T, კაცისასა MQm. 26 ძაღლისა R] და ძაღლისასა T, ძაღლსა
 M, ძაღლს m.

და არიანცა ჳერეთ, ხოლო ათორმეტთა ოდენ მოვიქცე-
ნოთ სახელი. რამეთუ პირველი გუარი არს საყირთა,
ქინდნი, ყათნი, ჳალაირი, ოირადი, სულდუსა, ნიპიმსა.
ყონღარდი, მანღლუთი, თანღლუთი, ყიათი და უიღურნი⁹.

ხოლო უიღურნი კერპისმსახურნი არიან, რომელსა 5
უწოდენ ქუჯინად. ესენი ენითა მათითა უწოდიან თავსა
მათთა მანღლოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა
ეგონებ ერთსოფლელად.

- ამათთა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამოჩნდა
R 349b კაცი ერთი, | სახელით თემურჩი. რომელ არს ჩინგიზ 10
ყაენი; ჳაეროვან, შუენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა
მოძწითურო, ძლიერი. მენე, შემმართებელი. მოისარი
m 509 კელოვანი, ღრმად გამგონე. განმზრახავი სუანი. ესე 5
წარვიდა ნიჭისა და პატივისა მოღებად უმაჯვრესისა
მათისა. რომელსა ხანობით უკმობდეს კელმწიფესა მაო- 15
სა, რომელსა ერქუა ონ-ხან¹⁰. ვითარ იხილა. შეიყუარა
სიკეთისა მისისათუს, დიდსა პატივსა აღიყვანა, უწარ-
ჩინებულეს ყოველთა სწორთა მისთა, და მკედართა
მთავრობა კელთ-უდვა ლაშქართა მისთა. და ყოვლგან 20
მოწყუედლიან ურჩთა და გამდგომთა მისთა, ვინაცა
M 734 ყოვლგნით გამარჯუებული მივიდის პატრონსა მისსა
ონ-ხანს კელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უაღრესსა პატივ-
Q 159b სა აღიყვანის. ესე შეიშურვა | ძმამან ონ-ხანისმან, სახე-
ლით უთქინ, და შეილმან ქურაქ, და შეასმინეს: „ნებავეს
T 251b დაპყრობა შენი მე|ფობისა, რომელსა ხანობით გინა ყაე- 25
ნობით უწოდენ“. და მან განიზრახა მოკლვა მისი. გარნა
R 350a აგრძნა თემურჩი, რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთქმე კაც-
თა, რომელთა სახელი ერთისა ქალექ და მეორესა ბად¹¹:
„ნებავეს სიკუდილი შენი“. ხოლო იგი ივლტოდა და

1 მოიქცნოთ MQTm, 3 ქენდნი Mm, პინდნი R. 3 ჳალილი Mm. 3 ნპარმნა T.
4 სულყოზღარდი Mm, ყონიარდი T. 4 ყიათა MQ, ყინთა T, ყიათი m. 5 ხოლო
უიღურნი—MQTm. 5 რომელსა| ძალთა Mm. 6 ქუჯინათა MQT, ქუჯინათა m,
ქუჯინათად R. 8 ერთ სოფლელად| ერთ საელელად MQm. 10 (კით)—MQTm. 10 თემურჩი
MQTm. 10—11 ჩინგინ ყანს MQ, ჩინგინ ყანს m, ჩინგინ ყანს T. 11 აეროვან
MQTm. 12 ღრმად| ღრმა და MQTm. 15 ონხანი MQm, ონხანად T, ონხანად R. 17
აღიყვანა| + და MQTm. 18 მკედართა| + მკედართა M. 19 მისთა| ამსთა MQTm.
20 მოწყუედლიან| ასწყაელიდიან MQTm. 20 და—Mm. 20 მისთა| + ხეთა MQTm.
21 პატრონ MQTm. 23 ონახნესმან MQ. ონახნესმან m. 25 მეფობისა რომელსა| მე-
ფესა მათისა MQTm. 26 და მან განიზრახა R, განიზრახა QT. 27 ვითემ MTm. 28
ქლექ M, ქლქ Q, ქლქ T. 28 ბღ MQ, შღ. T.

ორნიცა იგი კაცნი მის თანა. მივიდა სახლსა და ხარგაა შინა, აპყარა დედა-წული და იარა ერთი ღლე და ერთი ღამე. და მერმე დაყარა დედა-წული. ბარგი და ხუასტა-გი წყლისა მის პირსა, რომელსა ჰქვან ბალჯუნი. და განუშორა ლაშქარი მცირედ და უკუდგა ქვესა რასამე. 5
 და ცნა ონ-ხან სივლტოლა თემურჩისა, დევნა-უყო და მოეწია დედა-წულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყუე ურიცხვ და დამძიმდეს ალაფითა ლაშქარი. ზედამოუკედეს თემურჩი ყოველთა თანა ლაშქართა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, და 10
 იძლია ონ-ხან. დევნა-უყვეს, შეიპყრეს, მოკლეს ონ-ხან. და მსწრაფლ დაესხა დედა-წულსა ონ-ხანისასა და კელთ-იგდო ცოლი და შვილი და ყოველი სიმდიდრე მისი, თვნიერ ქურაქ, უხუცესისა შვილისა, ონ-ხანისნი.
 და დაჯდა ტახტსა ონ-ხანისასა, უწოდეს სახელად 15
 ჩინგიზ ყაენი.

m 510

M 7:35
R 350b

|| და ბრძოლა-უყო ყონღარდთ კელმწიფესა ალოთ-ხანს¹². და სძლო და მოაკუდინა იგი და დაიპყრა მეფობა მისი. მერმე ქურაქ, შვილი ონ-ხანისი, მივიდა გორხანსა¹³ ვისმე თანა და ბრძოდა ჩინგიზ ყაენს. ხოლო 20
 მან ბრძოლა გორ-ხანს და მასცა სძლო. და მოკლა გორ-ხან და დაიმორჩილა გორ-ხანის ლაშქარი.

T 252a

ამისა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა. რამეთუ უიღურნი | კელმწიფესა მათსა ედიყუთობით უკმობდეს. და ამას ეამსა სარჩუყ¹⁴ ვინმე იყო მთავარი 25
 უიღურთა. რომელთა გუარისა საქმენი განსაკვრებელ არიან, ვითა ზღაპარნი და არიან ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქუმა. ჩინგიზ ყაენმან შეიწყნარა და პატივითა დაიჭირა, აღიხუნა მრავალგუარნი თათარნი და დაიმორჩილნა. და ყარყითიცა¹⁵ დაიმორჩილა. 30

1 მის] მისთა MQTm. 4 რომელსა]—MQm. 4 ბლაჯლნი MQT, ბლაჯლნი m, ბლაჯლნი R. 6 ონხან MQT, ონხან m. 6 თემურჩისა MQTm. 9 თემურჩ MQTm. 10 ორგნითვე M. 11 იძლია ონ-ხან] + და იძლია MQm 14 ქელაქ MQTmR. 15 ონხანისა MQT, ონხანის m. 16 ჩინგისყინ MQTm. 17 უყო] ყო MQTm. 17—18 ალოთხანს MQ, ალოთხანსა T, ალოთხანს m. 19 ქოლქლაქ Mm, ქოლქაქ Q, ქოლქაქ T, ქელაქ R. 19 შვილი ონ-ხანისი]—MQTm. 19—20 გორხანსა MQT, გორხანს m. 20 მბრძოდა MQT. 20 ჩინგისყანს MQm (ყნს Q), ჩინგის ყანას T. 20—21 ხოლო მან] და MQTm. 21 გორხანს MQTm. 21—22 გორ-ხან] ლელვან მისმან MQTm. 22 დამორჩილნა MT, დიმორჩილნა m. 24 იღუღელნი Mm, იღუღერნი QT. 24 ედუთობათ MQTmR. 25 მთავარი R, ემურთა Mm, ემურთა QT. 28 ჩინგიზ ყაენმან კონიექტ. ჩინგის ყანსა MQTm. ჩინგიზ ყაენს R. 28 შეიწყალა Q, შეეწყალა R 28—29 და პატივითა] პავითა Mm 29 ახუნა M, ახუნა QTm.

და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცი
 ვინმე საკვრელი, რომელსა თებ-თენგრობით უქმობ-
 დეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, იტყოდა თუ: „მე მას
 მთასა, რომელსა უწოდო ბალიყი, წარვალ, ღმრთისა
 სიტყუა | მესმის. ამას ბრძანებს, ყოველი ქუეყანა თე-
 მურჩის და მისთა ლაშქართათვს მიმიცემია, და სახე-
 ლადცა ჩინგიზ ყაენ ერქუას.“ 5

ხოლო თქმულ არს ესე: ვითარ ჩინგიზ ყაენი აღვიდა
 მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე.
 ღმერთი ყოველთა. და მან ასწავა სამართალი, სჯული.
 სიწმიდე | და სიმართლე, ტყუვილისა, პარვისა და ყოვე-
 ლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა თუ: „მცნება-
 ნი ესე დაიძარხე. ყოველი ქუეყანა შენთვის და ნათესა-
 ვისა შენისათვს მიმიცემიეს. წადი და | აღიღე ყოველი
 ქუეყანა, რაოდენი გეძლოს.“ 10

ხოლო იქმნა რა ყაენად და მივიდა რა ხატაეთს, და
 შევიდა რა ხილვად ეკლესიისა, იხილა ხატი მაცხოვრი-
 სა იესო ქრისტესი, და მეყსეულად თაყუანი-სცა და
 თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხი-
 ლე, ამ სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი წესი“. ესე
 შეიყუარა ჩინგიზ ყაენმან და მას ჰკითხვედის და ამის
 მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაი-
 ცვა. 15

მერმე ებრძოლა ხატაეთის კელმწიფესა არსლან-
 ხანსა¹⁶ ზედა და სძლო. ესრეთ კელთ-იგდო, რომელ
 ორას ათასი კაცი | მოაკუდინა არსლან-ხანისა. ამისმან
 მცნობელმან არსლან-ხან, სახლსა შინა შესრულმან ცო-
 ლითა და შეილითურთ, ცეცხლისა მოდებდა უბრძანა |
 მსახურთა მისთა, რომელთა ყვეს ეგრეთ და დაიწვა
 არსლან-ხან დედა-წულითურთ. შევიდა ჩინგიზ ყაენი და
 დაჯდა ტახტსა მას ზედა, დაიპყრა ხატაეთი. ესე აქამომ-
 დე იყავნ¹⁷. 20

2 თებთუნ გვარობით MQTm, თებ-თენგრობით კონიექტ. 3 მოვიდა M. 3
 ყანს შე MQ, ყანს წუე T, ყანას წინაშე m. 7 ჩინგიყან MQT, ჩინგი ყაენ m. 8 ესე
 ვითარ] ესე ვლ QT. 8 ჩინგიყან MQT, ჩინგი ყაენ m. 10 სამართალი] სიმართლე
 MQTm. 15 რაოდენი] საღვან MTm, სღვან Q. 16 ყანად Mm, ყნდ QT. 17 ვკლე-
 სიისათა M, ვკლესიათა T, ვკლესიას R. 18 თაყუანი-სცა და]—MQTm. 21 ჩინგიყან
 Mm, ჩინგის (ჩნ-გის T) ყნ QT. 21 ჰკითხვედის] აკურთხვედის R. 21 და (ამის)—MQTm
 22—24 რაოდენიცა... ებრძოლა] — MQTm. 24 არსან Mm, არსლან QT. 25 რომელი
 MQTm. 26 არ სულან Mm, არსლან Q, არსლანი T. 27 ასლან ხან MTm, ასლა ხნ Q.
 29 ეგრეთ R] ებათი MQTm. 29 ჩინგის ყან MQT, ჩინგიყან m. 31 ტახტსა მას ზედა
 R] ხატაეთზედა MQTm.

აწ ვახსენოთ მცირედ შვილთათვისცა
ჩინგიზ ყენისათა¹⁸

- ამა ჩინგიზ ყაენსა ცოლნიცა მრავალი ესხნეს და შვილნიცა. და უხუცესის ცოლის სევეინჯებისაგან¹⁹ ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუში, რომელსა ქართველნი 5
M 737 ჯოჩიდ უწოდდეს. მეორე ჩალათა, მესამე ოქოთა, მე-
 ოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინნა ხატაეთს
 მყოფმან. უხუცესსა თუშის მისცა ლაშქრისა ნახევარი
 და წარავლინა დიდსა საყიფაყეთსა ზედა, ხაზარეთს.
 რუსეთსა, ოვსეთსა, ვიდრე ბნელეთამდე. და ესე ყოვე- 10
 ლი ამას მისცა, და ამათ სხუათა უკანასკნელ ვაცსენოთ.
R 352a ესე მაღალმან და ყოველთა კელმწიფეთა უდიდე|ს-
 მან ხუარაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მი-
 მკცოვნებულ იყო და შვილისა ჯალალდინისდა კელთ-
 ედვა სულტანობა და ქუეყანანი, რომელნი ეპყრა ჯეონს 15
 აქათ ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლება თათარ-
 თა, მოუწოდა სპათა მისთა, ვითარ ექუსასი ათასთა |
m 512 კაცთა. და წარემართა ჩინგიზ ყაენსა ზედა. ხოლო იგი
Q 160b ხუარაზმშას წინადაემთხ|ვა. იქმნა ძლიერი და ფიცხელი
 ომი, რომელ მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ სიმრავლე, 20
 და იძლივნეს ხუარაზმელნი. დაშთა რაზმსა შინა ბერი
 ხუარაზმშა მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარე-
 მოადგეს.
 ცნა ესე სულტანმან ჯალალდინმან, რომელი იყო
 კაცი მკნე, ქველი. შემმართი, უშიში ვითარ უჯორცო, 25
 ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო. მივიდა მცირედით-
T 253a თა კაცითა შუელად | მამისა და მყის წარიყვანა შამა
 თვისი, და ივლტოდეს ხუარასნად.
 ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი
 ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით 30

2 ჩინგიზ ყენისათა M, ჩინგი ყენისათა m, ჩინგი ყენისათა Q, ჩინგი ყენისათა T.
 3 ჩინგი ყენს MQm. 4—5 ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუში (თუშის R)]—MQTm.
 6 უწოდეს MQTm. 6 მეორე]—MQm, მორე T. 6 ოქროფა MQTmR. 7 ყაენად] ყაენდა MQm, უნდა T. 8 თუშის T, თუშის MQmR. 9 ხარაზეთის MQTm. 10 ბნელამდე MQTm. 10—11 და ესე ყოველი ამას]—MQTm. 14 შვილი ჯალალდინისდა MQm. 15 რომელსა MQTm. 16 ერანისა] + და MQTm. 17 და ვითარ MQTm. 17 ექუსი ათასთა MQTm. 18 ჩინგიყანს MQ, ჩინგიყანსა m, ჩინგი ყენს T. 19 ხორაზმშის M+ ზედა QT. 19 შინა დაემთხეივნეს MQm, დაემთხენეს T. 20 მოსწყვიდა MQTm. 26 წყობასა Mm. 27 შუელად] შვილად MQTm. 28 ხუარაზმად m.

- M 738 შექება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქათ. ვინათგან
 R 352b ღმერთსა ცოდვათა|ჩუენთათჳს მიეცა ყოველი ქუეყანა,
 იძლია სრულიად და ივლტოდა. ცნა რა სივლტოლა ამისი
 და სიმაგრეთა შინა შევლტოლა ჩინგიზ ყაენმან, წარმო-
 ავლინნა ორნი თავადნი ზემოჯსენებულნი, იამა და სან- 5
 პიანი²⁰, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან.
 რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამ-
 დი ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა.
 ესენი წარმოვიდეს ათორმეტი ათასითა მკედრითა და
 ოჯნიერ საკუტრეველისა და საზრდელისა ქონებისა, არა- 10
 მედ მშვლდნი ოდენ. უჯრმლოდ. განელეს თურანი, ჯეო-
 ნი, ხუარასანი. ერაყი, ადარბადაგანი, და მოიწივენეს გან-
 ძას. და ვერაჳერ წინაალუდგა. თუ ვინ სადა გამოჩნდის,
 ყოველთა სძლიან.
 და მოიწივენეს საზღვართა საქართველოსათა, ქუეყანა 15
 ვაგისა. იწყეს დარბევა. და ცნა ესე ვარამ ვაგელმან და
 იენე ათაბაგ|მან. და აცნობეს მეფესა უცხოთა ნათესა-
 ვისა მოსლვა. უცხოთა ენითა, ოჯრებად სომხითისა. მე-
 ფეჳმან მოუწოდა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა. და
 R 353a შეკრება ოთხმოცდა|ათი ათასი მკედარი. და წარემარ- 20
 თნეს ოათართა კერძ, ვაგისა ბოლოს მდგომთა. იქით
 იენე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარბას ძე ამირ-
 სპასალარისა. შანშე. და ვარამ ვაგელი, მსახურთუხუ-
 ცესი, მოერთნეს დიდითა ლაშქრითა. და წარემართნეს.
 ხოლო იგინი დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერ- 25
 დუჯსა. და აწ საგ|იმაღ წოდებულსა. მყის ამკედრდეს
 და ეწყენეს ურთიერთას. და იქმნა ძლიერი ბრძოლა.
 M 739 ნახევარნი | ივლტოდეს თათარნი და ნახევართა | მზი-
 T 253b რი ეყო. უჯანით მოუყდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარ-
 Q 161a დმო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენთათჳს, და ივლ- 30
 ტოდეს ქართველნი სპანი და თვთ მეფე ლაშა, და ური-

1 აქათ მ. იქით MQT. 2 ღთისა MQTm. 2 ქუეყანა|+და MQTm. 3 და ივ-
 ლტოდა. ცნა რა R|—MQTm. 4 შინა|—MTm, შა Q. 4 ჩინგის ყან MQTm. 5—6
 საღიანი R, სანაღიანი m, სანაღიანი M, სანაღიანი T. 7 რათა მოვლონ| რომელთა მრავალიMQTm. 7 რა|—და MQTm. 8 და განიხილონ| განახლონ MQTm. 10 თჯნი-
 ერ|—MQTm. 10 საკუტრეველთა MQTm+და R. 10—11 არამედ| მიმ ფგომი MQTm. 11
 ოდენ|—MQTm. 12 ადარბაგანი MQTm. 14 ყველთა M, ყველათა m. 17 უცხოთა Mm.
 17—18 ნათესავთა MQTm. 18 ოჯრებად| ოქრობად MQTm. 20 ათასი მკედარი MQ,
 ათასი მკედარი T, ათასი მკედარი m. 23 მსახურთა უხუცესი MTm. 25—26 ბერდაჯსა
 MQm, ბერდაჯ ს. T. 26 საგ|მაღ სგ-მაღ MQ. 27 ბრძოლა| ომი Mm. 30 ურჯულოებათა
 MQT, ურჯულოებათა m. 31 ქართველნი|+და MQTm.

- ცხ სული ქრისტიანე მოკულა. სადა-ბიგია დიდი ივანე ათაბაგი ძლიო ცოცხალი განერა. და სამცხისა სპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი ბეჭაი მოიკლა ძლიერად მბრძოლი. და აქა იქმნა მოწყენა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმბრავლისათუს უსჯულოებათა ჩუენთათუს. და იქმნა უკუქცევა სუესვანისა ბედისა. მაღლისა და
- R 353b საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა. რამეთუ, რადგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისა გამარჯუება, აქა ეამამდი სვანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა. არლარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ეამთამდე ჩუენთა.
- m 514 ესრეთ ლტოლვილნი მოიწიენეს ქალაქსა ძლიერნი იგი და სახელოვანნი, რომელნი სულთქმითა და მსუხარებრითა შეიცვებოდეს. ხოლო თათარნი მოიწიენეს სამშვლდემდე და მიერ უკუნჩქეს, რომელთა ქმნეს საკრველი ესე საქმე: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, ვერცა შარვანშა წინააღლდა და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყიფჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს. და მრავალგან შემოებნეს ყიფჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექნეს. და წარვიდეს ომითა, უსაჭურლონი, ვითარცა მითქუამს.
- M 740 უჭედელითა ცხენითა ესოდენ გზათა მავალნი. განვლეს ყიფჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე და მიიწიენეს კელმწიფესა მათსა ჩინგიზ ყაენს წინაშე ყარაყურუმს. და ქმნეს საკრველი ესე საქმე, მოუსუენებლად სლევა ამა ყოველთა გზათა უჭედელითა ცხენითა, ყარაყურუმით წარმოსრულნი მუნვე მიიწიენეს.
- R 354a
T 254a

2 ათაბაგი ვითარცა MQTm. 2 ძლი... და—MQTm. 3 მეჭურჭლეთა უხუცესის MQTmR. 9 რადგან რადგან MQm, ვინათგან R. 9 ღმრთისა MQm. 10 დავითისა და დავითის MQTm. 10 გამარჯუებულსა MQTm. 14 ეამამდე Mm, ეამამამდე T. 16 სახელოვანი MQTm. 17 შეიკვებოდეს MQ. 12 სამ მშვლდამდე MQ, სამშვილდამდე T, სმა შვილამდე m. 19 დარუბანდისა MT, დარუბანდისა Q, დარუბანდისა m. 20 შარვანშა MQT, შარვანშა m. 20 დარუბანდელი MQTm. 21 ყიფჩაყეთისასა MQTm. 22 აკიდეს აუარეს MQTm. 23 ყიფჩაყანი MQm. 23 ყოველგან MR. 23 მძლე მძლე Mm, მძლე T. 26 შემოუარეს შემოუარეს MQm. 27 მიწიენეს MQT. 27 ჩინგიზის MQTm. 28 დაყარა ყომორს MQ, და ყარაყომორს T, და ყარაყომორს m. 28 ქმნა MQTm. 30 ყარაყომორთა MQm, ყარაყომორთა T.

- ამისმან მცნობელმან ჩინგიზ ყაენმან, რომელ ყოველ-
გან სძლიეს თათართა, წარმოავლინა შვილნი მისნი
ხუარასანს სულტანისა ჯალალდინის ძებნად. ცნა ესე
სულტანმან ჯალალდინ, შეიყარა და მრავალჯერ
ბრძოლა ქმნა, ვითარცა ვთქვ. და იგრძნა რა სრულიად 5
- Q 161b** | ძლეულება, აიყარა დედა-წულითა და ლაშქრითა, | თა-
ნაპყვა დედა-წულით კაცი ასორმოცი ათასი, და ივლტო-
დეს პირისაგან თათართასა.
- R 354b** | ვითარ გარდაცდა წელი, არავე დასცხრა გულის-
წყრომა უფლისა, რომლითა განვარისხეთ, დასნეულდა²¹ 10
მეფე ლაშა. მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამე-
ფოსათა, შევედრა დაჲ თვისი რუსუდან ცრემლითა მომ-
დინარემან და თქუა: „უწყი უმანკობა და ერთგულება
- M 741** | მეფეთა ნათესავისაგან თქუენ მკვდრთა საქართველო-
სათა. შეხედვებითა ღმრთისათა მიგათუალავ დასა ჩემ- 15
m 515 სა, რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე-ჰყოთ,
ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა, ერთგულო-
ბითა მონებლით და სიმკნითა თქუენითა დაიცევით ტახ-
ტი მტერთაგან უვნებელად. დაღათუ არა მამაკაცი არს,
- R 355a** არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფო- 20
თა საქმისა ცნობასა. თქუენ. წარჩინებულთა ამის სამე-
ფოსათა, იცით და გაცხოვს წყალობა და ნიჭი და პატივი
სანატრელისა და კეთილად მოკსენებულისა, მეფეთა
შორის ბრწყინვალისა დედისა ჩემისა. ეგრეთვე, თუ
- T 254b** ღმერთსა უნდეს, დამანცა ჩემმან | იცის პატივი თქუენი. 25
აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე-ჰყოთ იგი
შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა, რუსუდანს, ვამ-
ცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყო-
ველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით. რაჟამს
ეძლოს მეფობა და მკვდრობა, რომელ დავით მეფე-ყოს, 30

1 ჩინგიჯან MQTm. 2 სულტანს ჯალალანს MQ, სულტანს ჯალდინს T, სულტანსა ჯალდინს m. 3 ესე] და M. 4 სულტან ჯალდინმან MQT. 4 შეიყარა] შეიყუარა M. 6 ძლეულება] გრძნეულება MQTm. 6 აიყარა] იყრა Q. 6 ლაშქრითა Q, ლაშქართა T, ლაშქართა Mm. 7 დედაწულით R, დედაწული MQTm. 10 რომლითა განვარისხეთ] ძალითა (m: ძლითა) განვარახეთ M. 10 დასნეულდა გორგ.] და სრულდა M, და დასრულდა QT, და ასრულდა m, აღესრულა R. 12 დაჲ Mm, და T. 14—15 საქართველოთა Mm, საქართველოსთა Q. 15 მიგათუალავ R] მიგათუალე MQm, მიგითუალე T. 19 უვნებელად] უვნებლად Mm, უნებლად T, უნებლად Q. 20 არამედ] და MQTm. 21 ცნობასა] მენებას MQTm. 22 ნიჭი] ქირი m. 23 კეთილად] კვალად MQm, კვლ T. 24 შორის] შორის MQ. 25 ჩემმან] ჩემან MQ, ჩემნი T. 26 ჰყოთ]—MQm. 27 ჩემსა]—რათა Mm. 29 აღზარდოს MQTm. j

და იგი დაადგინეთ მეფედ და შემკვდრედ მეფობისა ჩემისა. დალათუ ყრმა არს, და ინებოს ღმერთმან აღზრდა მისი, ვკგონებ, რომე შემძლებელ არს პყრობად მეფობისა, კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან“.

R 355b
M 742

ვითარ დაასრულა ბრძანება, შეისუენა²², რომლი-
სათეს არს გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი, რომელ
დამან მათმან რუსუდან აღასრულა გოდებანი მრავალ
დღე. და წარიყვანეს სამკვდროსა მათსა გელათს.

5

II

ვითარ აღსრულდა მეფე, შეკრბეს წარჩინებულნი
მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზთა ორ-
თავ წინაშე. ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველ-
ნი მორჩილებასა მათსა ქუეშე მყოფნი, და მეფე-ყვეს
რუსუდან. დასუეს საყდართა სამეფოთა და მიულოცეს
მეფობა წესისაებრ.

m 516

15

R 356a
Q 162a

ხოლო იყო რუსუდან ხილვითა შუენიერი, ვითა
დელა მისი, მდაბალი, უხვ, პატივისმცემელი, პატიოსან-
თა კაცთა მოყუარე. ამან მოიწყო ყოველი საბრძანებელი
და მეფობა მშუდობით, და აღიესო ყოველი სამეფო
რუსუდანისა ყოვლითა კეთილითა.

20

T 255a

იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან
და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ვითარ არა გამო-
იციადეს ღმერთი, ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან უჯე-
როდ გინებად და კოცად წარმართთა, რამეთუ მეფეცა
რუსუდან ჩვეულებითა წესსა ძმისა მისისასა ვილოდა.
ამისთვის აღდგენ ბოროტნი უდიდესნი.

25

M 743

ესე ზემოკსენებული სულტანი ჯალალდინ უღონო
იქმნა რა ბრძოლილი თათართაგან, მოუწოდა სპათა მის-
თა და რქუა: „იციოთ და გავსოვს ყოველთა მარზაპანთა |
და ერისთავთა კეთილი და წყალობა პაპათა და მამათა
ჩემთა. აწ იციოთ, თუ რა მოიწია თქუენ ზედა და ჩემ
ზედა უცხოთა ნათესავთა თათართაგან, და მრავალგზის
ბრძოლა-ყვავთ და მრავალი ღუაწლი დავითმინეთ და |
განგებითა ზეგარდმოთა ყოველგან ვიძლიენით. აწცა

30

R 356b

11 იმერნი და ამერნი] და იმერგლნი M, იმერგლნი m, იმერნი Q, და იმერ რანი T.
17 უხვ] უტყვი MQm, უტყუი T. 18 მოყუარე] მყურობელი MQTm, მოყვარული გორგ.
21 უძღებება MQ. 22 ვითარ] ვინ MQTm. 25 ვილოდა] ბოროტნი MTm, ბრტნი Q.
28 რა] რათა MTm. 33 ყვავთ] ვჰყოთ MQTm. 34 ყოლგან MQT.

მოახლებულ არს მდინარესა ჯეონისასა, წინამბრძოლად წარმოავლნა ძე მისი უხუცესი. აწ ესე არს განზრახვა: ეინაგან მისცა ძლევა ღმერთმან. გონავს, დაუტოვა: ქუეყანა ესე. აღვიდოთ დედა-წული, სიმდიდრე, ჯოგი. და წარვიდეთ საბერძნეთს, მუნ დავემკვდრნეთ. დალათუ 5
 ლათარნი გუძლევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩუენ ვსძლიოთ. უკეთუ ვინ ინებოს, წარმოვიდენ ჩემ თანა და | თუ სთნავს ვისმე, იყავ შინა, რამეთუ ნება იყავნ ყოველთა სათნოდ უკუნისამდე“.

m 517

ყოველთა თქმული ესე ეკეთა, აღიღეს დედა-წული 10
 და მოიწიენეს ადარბადაგანსა, კაცი ვითარ ასორმოცი ათასი. და მოიწიენეს ქუეყანად მკარგრძელთა. რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშე მანდატურთუხუცესისათვის.

R 357a

და ესე ხუარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა 15
 შინა. ხოლო ქუეყანა მათი განმაგრებულ იყო ერთ-
 კერძო კლდითა და ტყითა, და გზანი იწრონი, და ერთ-
 კერძო ზღვთა. ამათ სიმაგრეთა შინა წინაგანწყყენეს და

R 440a

T 317b
M 878

1 მამურ-პაპურთა] — Mm. 1—2 ~ ისწრაფდეს ღორი Mm. ისწრაფდა ღორი T.
 2 მიმართ] + და სკორეთა მიმართ T. 2 გესლისა] გესსა m. 5 და]—T. 5 აღინაყს]
 ალოყას Mm, იალოყას T. 5—6 ათასისთავთა Mm. 6 იდგის Mm, დადგის T.
 6 მათთა] თავსა Mm. 7 პირველისაებერ Mm. 8 ღმერთმან] + საკერეილებთამან T.
 12 თუალნი დასწუნა T. 13 დეკი M. 14 კოსტანტინეპოლს Mm, კოსტანტინეპოლედ
 T. 15—16 რამეთუ... მეფისა]—T. 16 პალიალოსი Mm. 17 ცხოვრებისგან]— Mm.
 18 ბალუშთა Mm. 18—19 ბალუშთა... დაშთა]—T. 21 ამასვე] ამას T. 21 ყანმან
 M, ყანმან T. 23 მოჩილებდეს Mm. 23 დე არცა] დარცა M. 23 ხარაქასა] ხარქას
 M, ხარქას m. 24 სპა] სპათა თანა Mm. 27 სიმაგრეთა M, სიმაგრეთა M. 28—29
 ერთკერძო] არს კერძო Mm. 29—30 და ერთკერძო] ღერთ კერძო Mm.

m 626

ქანა ბრძოლა ძლიერი. გილანელთა დაასხეს ისარნი,
 ვითარცა წჳჳა. გარდაცა სირმონ ცხენისაგან და დაჯდა.
 | და ზურგა შეაქცია მბრძოლთა მისთა, და ყოველნი
 სპანი მისნი დაქუევითდეს. და ვითარ შემციოდეს ისარნი.
 ახლტა სირმონ და მიეტევა ვითარცა ვეფხი და მის თანა
 ქართველნიცა მიეტევენეს მკნედ, და აოტნეს გილანელნი,
 და ორნი თინი მარჯუენისა კელისანი დასტრნეს სირ-
 მონს, და დარჩეს სპანი თათართანი და ქართველთანი
 უვნებელად. და ვითარ იხილნეს სიმაგრენი ქუეყანისანი.
 რომელ უბრძოლველ იყო და არა ეგო დაპყრობად, წარ-
 ვიდეს ყანეს აბაღას წინაშე⁹.

5

R 440b

ესრეთ დამშვლნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო
 მშვდობა. მოხელნა ღმერთმან წყალობით მოსაეთა მის-
 თა. და იყო უხუება პურისა და ღვინისა. და მეფე დიმიტ-

M 879

რი განაგებდა სამეფოთა საქმეთა. ვითარ მოიცალეს
 მცირედ ჭირთაგან, და განისუენებდეს. მიდრკეს გზისა-
 გან საღმრთოსა, იწყეს განდგომად, რამეთუ მეფემან

15

T 318a

მოიყვანნა სამნი ცოლნი, | ეგრეთვე საღუმნან მოიყვანა
 სამი ცოლი. და მთავაროა იწყეს კელის შეხებად საყ-
 დართა და მონასტერთა. და იწყეს შიტაცებად სოფელთა
 და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედა დიდებულ-
 სა აწყურისასა. დაღათუ ამათ უწესობათა დიდად
 ახილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მაწყუ-
 ერელი, ჭუნაშერის ძე, და არავინ ყურად-იღებდა სი-
 ტყუასა მათსა.

20

25

და კუალად სხუანიცა აღმოსცენდებოდეს ბოროტნი,
 რამეთუ იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხუეჳად,
 და არავინ იპოვებოდა სამართლისმყოფელი, რამეთუ
 იყო მღღელმთავარი და მღღელი ლალ, ამპარტავან, ან-
 გარ. ბოროტისმყოფელ, უწესო. ვითარ განვაპრავლოთ
 სიტყუა, რამეთუ იყენენ ყოვლით კერძო ბოროტ.

30

1 გილანელთა| გინაღენთა M, გილანელთა m. 1 დასხეს M. 2 ცხენისაგ M. 3
 ბრძოლთა M, ბრძოლათა m. 4 მისნი Dc]—Mm. 4 დაქვეითდენ M, დაქვეით-
 დენ M. 4 ვითარ| ეგრ M, ეგრ m. 4 შემციოდით ისარი T. 5 მის თანა| ვი-
 თარცა Mm. 8 დარჩნეს M. 8 ქართველთანი| ქართველნი M. 11 ყანს M, ყანს T.
 11 აშაღას Mm. 14—15 დამიტრი| დატრი M. 15 სამეფოსა საქმესა m. 16 და მიდრკეს
 Mm. 17 სამღთოსა Mm. 19 კელი M. 21 აგარაკებთა Mm. 22 აწყურისასა Mm.
 23—24 მაწყურალა m. 24 ჭუნაშერის ძე Mm. 24 და]—T. 29 ამპარტავანი Mm.
 30 უწესიერო Mm. 31 რამეთუ იყენენ]—Mm.

- მაშინ მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენ-
ათავს, რამეთუ ზემოქსენებული იგივე არღუნ წარმო-
ემართა სამცხეს ხილვად სარგის ჯაყელისა, რამეთუ და-
ბერებულ იყო, სენთაგან სიბერისათა დაცხნილ იყო ყოვე-
ლითა ასოთა. | შემოვლო სომხთაი, ტფილისი და ქართ-
ლი მკედრითა ორითა ბევრითა და დიდად აენებდა ქუე-
ყანასა, დაღათუ არა ბოროტისყოფელი, არამედ სას-
რდელისა ძლით დიდად დასჭირდა | ქუეყანასა. და
უგრძნულად მივიდა სამცხეს და დადგა აწყუერს. და
ცნა სარგის მოსლვა არღუნისი, და მოვიდა მის წინაშე
იგი და ძე მისი, ბექა. განკვრდა ორთავე მოსლვასა, და
სარგის წარიტანა ურდოს და ბექა დაუტევა სამცხეს.
რამეთუ იყო მეხუთე კვრიაკე წმინდათა მარხვათა. და
რა წარმოვიდქეს სამცხით, მოვიდეს სომხით.
- და მოიწია ვნებისა კვრიაკე და დიდსა ოთხშაბათსა
შეიძრა მძაფრად ქუეყანა საძხილებელად უსჯულოებათა
ჩუენათავს. და კუალად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა
და არავინ გულისკმა-ყო, რათამცა წყალობად აღეძრა
ღმერთი შემნდობელი. და ვითარ მოიწია პარასკევი ვნე-
ბისა უფლისა, კუალადცა შეიძრა ქუეყანა, დაყუდდა
და არღარა იქმნა. და ვითარ მოიწია შაბათი, და იქმნა
სამ უამად დღე და ხეალისა დღე ჯერ-იყო სიხარული
აღდგომისათვის უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხა-
რულსა, ესოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა
სინარავლისათვის უსამართლოებათა ჩუენთასა, რამეთუ
საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეცრწუნდა. რო-
მელ დაიჭყეს საყდარნი და მონასტერნი. ეკლე|სიანი და
ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოჯრდეს. მთანი და ბორ-
ცენი დაიწოდეს. კლდენი სახედ მტუერისა დაიგაღნეს.
და მიწა განიბო და შავი წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმო-
იქრა. ხენი მალაღნი დაეცნიან და ირყეოდინ ძრვასა
ქუეყანისასა, რომლისათვის საყდარი აწყუერისა დაიჭყა.

1 სამართლის m. 4 იყო] + და T. 4—5 ყოვლითა ასოთა Mm, ყოვლითა სიბერი-
თა და ასოთა მოღებითა მიწყუდეულ იყო T. 6—7 ქუეყანათა T. 7 დაღათუ M,
დაღათუ m. 8 ძლით] ძალით MTm. 8 ქუეყანა MTmR, ქუეყანასა Dc. 9 უგრძნა-
ულად M, უგრძნულად Tm. 13 წმინდა m. 14 მოვიდეს m, მოვიდა M, მოიწიენს T.
18 აღეღებრა Mm, აღეძრა T. 19 ღმერთი] + მოწყალე და T. 22 დღე]—Mm. 25
სიმრავლისათვის]—Mm. 25 უსამართლოებასა Mm. 26 საფუძველითურთ T, საფარვე-
ლითურთ Mm. 30 მსგავსი T, მხგავსად M, მსგავსად m. 31 მალაღნი]—Mm. 31 და-
ეღნეს Mm.

რამეთუ ყოვლად წმიდა აწყურესა ღმრთისმშობელთ, ლიტანიობით შესუენებული, საშუალ საყდრისა ესუნა. გუშადი ჩამოიჭრა და, ვითარ ქუდი კაცისა, ესრეთ თავსა დაერქუა. და დარჩა უვნებელად ძლიერებითავე მისითა. ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, 5-
ვიდრე თვსა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არასადა ევნო. მცხეთის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს ურიცხვ |
T 319a სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო¹⁰. 10

ხოლო ზემოცხენებული იგი არღუნ-ადა იყო ყაენს წინაშე, და შეედვა სენი, რომლისა მიერ მოკუდა. და ვითარ ცნა შვილმან არღუნისმან, წარმოვიდა სახლად დიდად მეფისა და ცოლი მისი დაუტევა ტფილისს. ხოლო იქმია დამან მეფისამან, თამარ, სივლტოლა მთიულეთს. 15-
რამეთუ სძაგდა ვითარ უსჯულო და წარმართი. მაშინ საღუნმან ცნა, ვითარ არღარა ნებავე დასა მეფისასა ქმარი, შვილი არღუნისი, დაევაჭრა, რათა მოკციდოს დაე მეფისა, და ევედრა ყაენს აბაღას. ხოლო იგი ერჩადა და მოკვიდა¹¹. და მეფემან მისცა დაე თვისი 20
R 442a საღუნსა. ესე უწყესო ქმნა, რამეთუ | სამნი ცოლნი მოიყვანნა საღუნ თვსად. ამისოვე განწყურა კათალიკოზი ნიკოლოზ. კაცი მოხუცებული და მართლმკუთვთელი. |
M 882 გარნა მძლავრებისაგან საღუნისა ვერ უძლო განყენებად. არაჲდ ფრიად შეაჩუენებდა. 25
m 628

მათ ჟამთა შინა საქმისა რასათვსმე განუღგეს თათართა სარგის და ჭე მისი, ბეჟა, რამეთუ სარგის დაბერებულ იყო სენითა ფერჯის ტკივილისათა. და ბულა ნოინის მიერ, თულად წოდებულისა, ძმა არუხა წარმოიგზავნა მოოგრებად სამცხისა. და მოვიდა არუხაცა სპითა ოცი ათასითა. ხოლო ბეჟამან მიჰრიდნა მათათა, რომელ არიან შორის გურიასა და აჭარასა. და მესხნი შევიდეს ციხეთა. ქუაბთა და ტყეთა. და მოვლო ლაშქარ-

5 საშინელი ზეგარდამო T. 9 დაუქცეველი m. 11 ყანს Mm, ყანს T. 13-სახლად] სახლად Mm. 15 დამან მეფისამან თამარ T]—Mm. 18 ქმარი] და Mm. 18 და ევაჭრა Mm. 19 დაევერა Mm. 19 ყანს M, ყანს m, ყანს T. 19 აშაღას Mm. 20 დაჲ] დაა Mm. 21 ჭნა M. 21 რამეთუ] რომელ T. 23 მართლმკუთვთელი T, მართლმადიდებელი Mm. 24 საღუნისა M. 29 არუხა T, არხუნ Mm. 29—30 წარმოგზავნა ყ ა უ ზ ხ წ., წარმოგზავნა M T m R. 30 არხუნცა Mm, არუხა T.

T 319b მან სამცხე | და ვერარა აენო. დაყვეს ოცი დღე და წარ-
ვიდეს და დარჩა ქუეყანა მშუდობით.

და ვითარ გარდაქდა წელიწადი, ინება ყაენმან აბალა
წარსლვა ეგვპტეს, ანუ დაიპყრას და ანუ მოხარკე-ყოს.
მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფესა დიმიტრის 5
და სპათა მისთა წარსლვად და ბრძოლად ეგვპტისა სულ-
ტნისა, რამეთუ მაშინ ფუნდუყადარ მიცვალებულ იყო
და სხუა დაეყენა, რომელსა ეწოდა ნასირ მელიქ. და
მოუწოდა ძმასა თვსსა უმრწამესსა და აჩინა მკედართ-
მთავრად, და კელთ-უგდო ყოველი სპა მისი, და უბრძა- 10

R 442b ნა ბრძოლა სულტნისა. მაშინ მანგუ-|დემურ მოუწოდა
მთავარსა სამცხისასა, ბექასა, რათა წარჰყვეს თანა, ხო-

M 883 ლო მან რქუა: „მტერთა ჩემთა სიტყვთა განწყრა ჩემ-
თვს ძმა შენი, ყაენი აბალა, და არუბა წარმოავლინა და
მოაოკრა ქუეყანა ჩემი. ხოლო მე მოვრიდენ არას შე- 15
ცოდებისათვს. და აწ მეშინის ყაენისაგან, და თუ შენ
ფიციოთა მიმინდობ, არა მაბრალოს და ქუეყანა ჩემი და
მაჰული მშუდობით დაიცვას. მოვალ წინაშე შენსა ლაშ-
ქრითა“.

ვითარცა ესმა მანგუ-დემურს, განიხარა და ოქროსა 20
წყლისა შესპითა შეჰფიცა და ყოველი სიმტკიცე აღუთ-
ქუა, და მოსცა ბეჰედი, რომელი ეცუა თითსა მისსა. რა-
მეთუ ესე იყო მტკიცე საფიცარი. და აუწყეს მოციქულ-
თა ყოველი ბექასა. მყის მოუწოდა ყოველთა მესხთა და
წარემართა მანგუ-დემურს თანა, და მივიდა მის წინაშე. 25
განიხარა ფრიად და პატივნი და ნიჭნი დიდნი უყენა, და
უჩუენა ყაენი აბალა, რომელმან ფრიად პატივ-|სცა და
შეიყუარა სიკეთისა მისისათვს.

T 320a და ესრეთ წარვიდეს მისრეთს, და ვლეს მრავალი
დღე და მიიწიენეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქუა 30
დარბუზაკი¹². გამოვიდეს მოქალაქენი კარით და იქმნა
ოჰი. სადა-იგი ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიე-

1 ვერარა R, ვერა Mm, ვერარა T. 3 წელიწადი|ერთი m, +და M. 3
ყანმან M, ყენმან m, ყაინმა T. 3 აშალა Mm. 4 დაიპყრეს|დაიპყრობ m. 5
დიმიტრის|დატრის M. 5 დომეტრის და|ყოველთა T. 8 რომელსა|—Mm. 8 ეწო-
დებოდა T. 14 ყანი M, ყენი m, ყაინი T. 14 აშალა Mm. 16 ყანსაგან M, ყენისა-
გან m, ყაინსაგან T. 16 თუ|—Mm. 24 მყის M. 26 განიხარნა M. 27 ყანი M,
ყენი m, ყაინი T. 27 აშალა Mm. 27 რომელმან დროად პატივ სცა T|—Mm. 28
მისისათვს|მისთვის m. 29 მისრეს M. 30 მოწიენეს M. 31 ~ კარით მოქალაქენი m.
31 კარით|კართა Mm. 32 ომი|+ძლიერი m.

m 629
R 443a
M 884

რად ილუაწეს, უფროს სსუათა. თათართა და ქართველთა შივან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეცევენეს. და დასცხრა ღუაწლი | ბრძოლისა, მაშინ პატივი დიდი უყო ბექასა შესამოსელთა და ცხენთა საკვირველთა მინიჭებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასათა. 5

აიყარნეს მიერ და წარვიდეს ეგვპტის კერძო და მივიდეს ქალაქთა. რომელთა ეწოდების ამასი და ამო¹⁸, დაიბანაკეს მახლობელად ქალაქთა. და ეცნა სულტანსა ნასირ მელიქს მოსლვა თათართა, წარმოსრულ იყო ყოვლითა ძალითა მისითა, და მოვიდა იგიცა. და ვითარ იხილა მანგუ-დემურ სულტანი და სპა მისი, ამკედრდა და წინაგანწყყო. ხოლო მეფე დიმიტრი, დაღათუ ჯერეთ არა სრულ იყო დღითა ბრძოლათათს, ევედრა მანგუ-დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი, რომლისათსცა ისმინა. და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესმე ყოფილთა გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი. ხოლო ვინათგან უწყოდა სულტანმან წყობათა შინა მკნედ წინადაუდგრომლობა მეფისა და სპათა მისთა, ამისთვის რჩეული მკეცარი ათორმეტი | 20

T 320b

ათასი თანაიყოლია და წინაშე დაიყენა ორთა თანა მთავართა მკნეთა, რათა განსლიერებასა და შენივთებასა ბრძოლისასა უკანასკნელ მიმტეკებელთა სძლონ და აოტნენ ქართველნი. განძლიერდა იომი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ. მაშინ მსწრაფლ ზედამოეტევენეს მეფესა 25

M 885
R 443b

სა ყარა-სუნღურ და იაყუბ | აფრაშ¹⁴ ათორმეტი ათასითა რჩეულთა მკედრითა და კუალად იქმნა სასტიკობა ესევეთარი, რომელ ორასი მკედარი წინამბრძოლად | განწყენეს მეფესა და სრულიად მოისრნეს თვნიერ მეფისა და სამთა კაცთასა და ცხენთასა. მოიკლა 30 ყარა-სუნღურისა მიერ შუბითა ჰუნე მეფისა, ხოლო

2 შესთხინეს მ. 5 დიდებულთა]—მ. 7 წარვიდეს T, იელტოდეს Mm. 7 ეგვპტით Mm. 8 ქალაქსა რომელსა MTmR, ქალაქთა, რომელთა ჩე. კონიექტ. 8 ამასია TR. 12 მანგუ დემურს M. 13 დატრი M. 14 დღითა T, დღეთა Mm. 14 ბრძოლათათათს Mm. 15 წინამბრძოლად მ. 17 ოდესვე T. 17—18 ბრძოლათათა მ. 21 თანა იყოლია Dc] თანა იყო Mm (R-ში დაწერილი და გადახზული). — T. 26 ყარა სუნღურ TR. 26 იაყუბ აფრაშ T, იაყუბ და აფრაბი Mm. 29—30 თვნიერ მეფისა და T]—Mm. 30 კაცთა T. 30 სამთა ცხენთასა T. 30 ცხენთასა] + თვნიერ მეფისა M, თვნიერ მეფისა მ. 31 ყარან სონღურისა M, ყარა სონღურისა მ, ყარა სუნღურისა T. 30—31 აგრეთვე ჰუნე მეფისა მოიკლა ყარა სუნღურისა მიერ შუბითა TR. 31 ჰუნე] უნე მ.

მხილველთა ქართველთა იწყეს სრძოლა ძლიერად და უმრავლესნი მეგვკტელნი მოისრნეს, და მეფეცა ცხენ-
 მოკლული ძლიერად იბრძოდა. ვითარ იხილა მეფე სიქ-
 დურის ძემან, აბაშმან. მყის აღსუა მეფე ჰუნესა თვისსა. 5
 ვითარცა იხილეს ქართველთა ამკედრება მეფისა, მაშინ
 ყოველნი აღმკედრდეს, და მეოტ იქმნეს ყარა-სუნდურ
 და იაყუბ ათორმეტ ათასთა თვსთა თანა. ხოლო ლტოლ-
 ვილ იქმნეს აქათ პირველ ნოინნი და თათარნი, და თვთ
 მანგუ-დემურ უკმოიქცა ლტოლვით ყოველთა თანა სპა-
 თა მისთა. მაშინ უღონოქმნილთა ქართველთა სიეღტო- 10
 ლა იკმიეს. განგებითა სეგარდმოთა მეფე დაცულ იქმნა,
 დაღაცათუ უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს. მოვი-
 დეს | მანგუ-დემურ და მეფე წინაშე აბაღასა.
 ხოლო ნადირობასა და ლაშქართა ყოფისა ამბვისა
 მომლოდობასა, აბაღა იხილა თათარი ვინმე ლტოლვი- 15
 ლი. ხოლო მან, კითხულმან. ყოველივე ლექსთა მიერ
 შეწყობითა წარმოუთხრა ენითა მათითა თვთელისა |
 მთავრისა ვედრება. აღინაყისთვს თქუა: „ვითარცა მალ-
 ლით მომავალი შავარდენი მოუტკდა“. მანგუ-დემურ ვერ-
 სა მიაშგავესა, სირმოინის შვილი ებაგან — მხტომელსა 20
 ვეფხსა და იას-ბულა — მოზუერს, ბულა| — კამბეჩსა.
 და თიგნა — დედალსა თხასა. ხოლო ქართველთა მეფი-
 სათვს ესრეთ თქუა ენითა მათითა: „თენგრი მეთუ ქა-
 ურქურბა, ბულარ მეთუ ბულილაჯი“. ესე იგი არს: „ვი-
 თა ღმერთი გრგვენიდეს, ვითა აქლემი ბულრობდეს“. 25
 ქართველნი ვითარ მოვიდეს ყაენს წინაშე, მეფესა
 პატივ-სცა და წარმრავლინა სახიდ თვსად. და კულად
 ეგულებოდა აბაღას წარსლვად და შურისგებად სულ-
 ტანსა ზედა. მოკუდა ძმა მისი, მანგუ-დემურ, და მცო-
 რედისა შემდგომად მოკუდა სადუნნი, ათაბაგი, და მიუ- 30

3 იბრძოდა] + ხოლო T. 10 სიქდურის ძემან ჩე. კონიექტ., სიქანალიძემა
 M, სიქანალს ძემან TmR, სიქანდურას ძემან გორგ. 4 თვისსა M. 5 ქართ-
 ველთა ამკედრება მეფისა Mm, ~ მეფე ამკედრებული ქართველთა TR. 6 ყარა სუნდურ
 Mm, ყარა სუნდულ T. 7 აყუბათ M, აყუბათ m. 8 აქათალ Mm. 8 აქათ] +
 პირველ T. 11 იქუმის TR. 11 დაცულ TmR. 13 აშაღასა Mm. 14 ყოფისა Mm.
 14 ანბისა m. 15 მომლოდობასა Mm, მომლოდობისა TR. 15 აშაღა Mm. 18 ალი-
 ყანისათვს TmR. 20 მიუმგზავსა M, მიუმგზავსა m. 21 იასი ბულა Mm. 22 და... თხა-
 სა]—TR. 8 თიგნა გორგ., თაგუნი Mm. 23 თენგარი MmTR, თენგრი Dc. 24
 ბულარ] ბულარ m. 24 ბეირლაჯი TR. 24 არს] + ვითარმედ T. 26 ყანს M, ყანს T.
 28 აშაღას Mm.

ბოძა მეფემან მამული ძესა მისსა. ხუტლუბულას, და სპასპეტობისა პატივსა აღიყვასა.

ხოლო შემდგომად მცირედისა მოკულა აბალაყა, და დასუეს ნოინთა ყაენად ძმა აბალასი, აჰმადა, არარა ნიჭთა საველმწიფოთა მქონებელი. მაშინ წარვიდა მეფე ურდოსა აჰმადას წინაშე, ხოლო მან პატივ-სცა და შეიწყნარა. მაშინ მუნ ყოფასა მეფისასა მისცა ასული თვისი, რუსუდან. შვილსა დიდისა ბულასა. რომლისათჳს დიდად განქრისხებული ნიკოლოზ კათალიკოზი ფრიად აბრალეზდა და ღმრთისა სასჯელთა თჳალ-უხუცაობასა აქადეზდა. რამეთუ მუნ ყოფასა დიმიტრისასა ქმნა ბოროტი აჰმადა ყაენმან, და მომყვანებლმან ძმისა მისისა ყონღარდასმან საბერძნეთით, მოაკუდინა. ორნი ძმანი აბულეთის ძენი, სადუნისგან ლტოლვილნი, ყონღარდას თანა მოაკუდინეს; ხუტლუბულა, ძემან სადუნისმან, მოაკუდინა.

M 887
T 321b

R 444b

აქამომდე | მეფე დიმიტრი, კეთილად მმართველი, სიკატრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალეობისა და მოსამართლობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართველი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი. უძღვებებისა და სიძვისა, გულისსიტყუსა უკანა შედგომილმან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ერთი ბექას ასული, და სხუა, რომელი დედათა შეაკეთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული, მცირედ სიბოროტედ მიდრკა. რომლისათჳსცა ნიკოლოზ კათალიკოზი განრისხებულ უთქმედავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა. დაუტევე კათალიკოზობა და ჳელითა თჳსითა აკურთხა ჳუარისმტკრთველი მეფისა აბრაჰამ | კათალიკოზად. და წარვიდა მამულად თჳსად ძოხუცებული, და მუნ

m 631

1 მამული ძესა მისსა, ხუტლუბულას]—ძესა მისსა ხუტლუბულას მეფემან მამული თვისი T. 2 პატივსა პატივსა პატივსა m. 3 მცირედისა] + ჳმოსა T. 3 აბალაყა Mm. 4 ყანთა M,—m, ყანად T. 4 აბალასი Mm. 4 აჰმადა TR, აჰმადა M, აჰმად m. 6 აჰმადას M, აჰმადს m. 8 რუსუდან ისა M, რუსუდანის TmR. 9—10 აბრალეზდა Mm. 10 თჳალ-უხუცაობასა ჩვ. კონიექტ., თჳალ უხუცაობასა M. 10—11 იქადეზდა Mm. 11 დიმიტრისასა] დაქრისასა M, დაქრისასა m. 12 იმად M, იმად m. 12 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T. 14 ლტოლვილნი] + და MTm. 15 მოაკუდინეს]—T. 17 დიმიტრი] დატრი M. 19 მოსამართლობისა]—Mm. 19 მონაზონებისა Mm. 24 ~ ცოლნი სამნი T. 24 და]—Mm. 28 არწმუნა] დაარწმუნა T. 29 თვისითა M. 30 აბრაჰამ Mm.

- M 888** იყოფოდა მრავლითა მოღუაწებიტა, მარ|ხვითა, მღვძა-
რებითა და გლახაკთმოწყალებითა. და საესე სათნოება-
თა ტვრითთა მიიცივალა უფლისა მიმართ.
- მათ ჟამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი,
ბიძა ეფეემიოს კათალიკოზისა, საღმრთოთა წესითა აღ- 5
T 322a საესე და წინასწარცნობისა მადლი|თა განბრწყინებუ-
ლი. მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა
ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა, ვითარცა მო-
ციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღუდგებოდა
R 445a მეფესა უწესოსა მის|თვის ქორწინებისა, და ასწავებდა 10
სიწმიდესა, და მოაყსენებდა ტაძარ ღმრთისა ყოფასა
ჩუენსა, და სხეულთა განუხრწნელობისათა, ხოლო ტაძ-
რისა ღმრთისა განუხრწნელისა სიძვათა შინა სასუფევე-
ლისა ღმრთისა დამკვდრებასა და უპოვართა მათ უსას-
ყიდლო მარგალიტთა მოპოებასა, ლოცვასა, მარხვასა, 15
გლახაკთ მოწყალებასა და ლმობიერებასა და უხუე-
ბასა, მდინარეთა თანა მწვრიანთა და უყიანთა ლიამპალ-
თა არა თანაშერთვად. ამას ესევიტართა სწავლთა
ეტყოდა: „უკეთუ დაუტევენ უწესონი ქორწინებანი, მე
თავს-მღებ გექმნე, რათა კეთილად წარგემართოს მეფობა 20
შენი“. და მთავართაცა ამხილებდა უწესობასა, და უმ-
რავლესთა დაფარულნი გულესა სიტყუანი მიუთხრნის.
ესევიტართთა სათნოებითა განბრწყინებულ იყო სანა-
ტრელი იგი მონაზონი. და ვითარ ვერა არწმუნა მეფესა
და შეუტაცხ-ყო სიტყუა მისი, კუალად წარმოუდგა მე- 25
ფესა და მთავართა მისთა: „უკეთუ მე ჩემებით რასმე |
M 889 ვიტყვ. ვითარცა ცრუწინასწარმეტყუელი. შემაცთუნე-
ბელი კაცისა ღმრთისა. რომელი მიივიღინა რობოამისსა,
ძისა ნაბოტიანისსა, და არა ყოვლად წმიდისა ღმრთის-

1 იყოფებოდა მ. 2—3 სათნოებათა T. 3 ჭვირთეთ მ. 3 მიიცივალა უფლისა მი-
მართ Mm, უფლისა მიერ მიიცივალა TR. 4 მთაწმიდით—MTmR (მოაწია მთაწმინდის
მოლოზანმან გორგ.). 7 დიმიტრი| ღატრი M. 7 გამოცხადებისა Mm. 12 განმ-
ხრწნელობისათა Mm. 12 ხოლო Dc|—MTmR. 12—13 ტაძარსა Mm. 13 განმხრწნელისა
Mm. 13 სიტყასა მ. 14 დამკვდრებათა Mm. 14—15 და უპოვართა... მოპოებასა
Dc, კეთილთა მათ მარგალიტთა Mm. კეთილთა მათ დამკვდრებასა TR. 15 მარხვასა|+
კრემლთა T. 17 უყიანთა ლიამპალთა T. ულუყანთა ლუპპართა M, ულყანთა ლამპარ-
თა m. 18 არა თანაშერთვართ T, არა შერთვა Mm. 19 დაუტევენს MT, დაუტევენს
m. 20 ვექმნა T. 22 სიტყუანი Dc|—Mm. 22 მიუთხრეს Mm. 23 განმუენებულ T.
24 ვერ MT. 28 მოავლენა Mm. 28 რობოამისსა m. 29 ძესა Mm. 29 ნაბოტიანისა M,
ნაბოტიანისსა m.

T 322b
R 445b

მშობელისა მიერ წარმოვლინებულ ვარ, ვითარ ცრულ-
სჯულისა გარდამავალი შემრაცხეთ. და უკეთუ ყოვლად
წმიდისა ღმრთისმშობელისა მიერ მოვლინებულ ვარ
სწავლად შენდა, არა ცულ იქმნენ პირველნი საქმენი
შენნი, ლოცვა და ცრემლნი შენნი. და უკეთუ არა განე- 5
ყენო უწესოთა | ქორწილშეყოფათა, | და შეურაცხ-ყენე
სიტყუანი ჩემნი, ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავ-
რთა მიერ, და ოკერ იქმნე სამეფოსაგან შენისა, და
შვილნი შენნი მიმოდინებინენ, და სხუამან დაიპყრას
მეფობა შენი, და იავარ-ყონ სიმდიდრე შენი. აჰა, ესერა, 10
შენ და მთავართა გეტყვ; და ვესაგ ყოვლად წმიდასა
ღმრთისმშობელსა, რომელ სრულ იქმნეს და აღესრუ-
ლოს სიტყუა ჩემი, უკეთუ ეგო უწესობასა მავას. პე
აჰა, ესერა, წარვალ“. ხოლო შეფემან განკვრებულმან
არა მიუგო სიტყუა, რამეთუ იყო წმიდათა კაცთა პატი- 15
ვისმცემელი.

m 632

ხოლო ამათვე ერთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი.
რომელი გარეჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელაქან-
სა, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმარ-
თობისაგან მოაქციენა, რომელნი ჰგონ სარწმუნობასა 20
ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდცა იგი მოღუაწე
ანტონი ნაოკრებელის ძე, ნათესავით მესხი.

M 890

ხოლო ჩუენ ზემოკესენებულისა აჰმადის მიმართ აღ-
ვიდეთ. ვინათგან მოაკუდინა აჰმადა ძმა თკაი, ყონღარ-
და, | იხილეს უწესობა აჰმადასი ნოინთა ხუარასანს 25
მდგომთა. განდგეს და დასუეს ყაენად ძე აბალა ყაენისა.
სახელით არღუნ. ვითარ ცნა ესე აჰმადა ყაენმან, შეკრი-
ბა სპა მისი, და მოუწოდა მეფესა და სპასა მისსა, რათა
წარპყევს ხუარასანს ბრძოლად არღუნ ყაენისა. და წარ-
ვიდა მეფე და თანაწარიტანა ყოველი ძალი მისი, და 30

R 446a
T 323a

მანდატურთუხუცესი. დიდისა შანშეს ძე, | ივანე, და ს-
დუნის | ძე, ხუტლუბულა ამირსპასალარი. და წარემარ-

1—3 წარმოვლინებულ... მიერ]—Mm. 4 იქმნეს Mm. 5 და უკეთუ]—Mm.
5—6 განეყენო] განაყენენ Mm. 6 ქორწილთა შეყოფათა m. 6 შეურაცხ-ყენე ჩე-
კონიექტი, შეურაცხყენ MTm. 8 იქმნენ m. 9 მიმოდინებენ Mm. 12 იქმნას
Mm. 13 ვგოს m. 17 ხოლო]—Mm. 18 გარესით TR. 19 რასმენ Mm. 20 სარწმუ-
ნობასა]+ზედა T. 24—25 ყონღადარ Mm, ყუნღადარ T. 25 ხუარასანს Mm, ხუარასანს
T. 26 ყანად M, ყანად T. 26—27 ძე აბალა... ყაენმან]—Mm. 26 ყანისა T.
27 ყანმან T. 27—28 შეკრბა Mm. 29 ყანისა M, ყენისა m, ყანისა T. 31 შანშეს M.
32 და]—T.

თნეს და განვლეს ერაყი, და მივიდეს საზღვარსა არღუ-
 ნისსა. ვითარ იხილა არღუნ სიმრავლე ლაშქრისა, ვერ
 წინააღმდეგა, არამედ ივლტოდა და შევიდა ციხესა ქა-
 ლასად¹⁵ წოდებულსა, რომელსა უკანა მიუდგა ყაენი
 აჰმადი, და მოიცვა ციხე ქალასი. ვითარ უღონო იქმნა
 არღუნ, ევედრა, რათა არა აბრალოს და შეუნდოს, და
 მოსცეს ფიცი, და მივიდეს წინაშე მისსა. და ისმინა აჰმა-
 დი და მისცა ფიცი უვნებლობისა, რამეთუ სპარსთა
 რჯული აეღო აჰმადსა. და გამოვიდა არღუნ ციხით, და
 მოვიდა ბიძასა მისსა წინაშე, და ესრეთ წარემართნეს. 10
 ხოლო ვითარ ვიდოდეს ხუარასანს, შეკრბეს სანნი ვინმე
 უწყესონი და ცუდნი კაცი და მტერნი ქრისტიანეთანი,
 რომელ ქრისტიანის კაცის სიკუდილი დიდად ლუაწლად
 უჩნდის, რამეთუ უღმრთოსა მის მოჰამედის მოძღურება
 ესრეთ იყო, რომელი დაეწერა ცუდი სიტყუა წიგნსა 15
 მისსა ყურანსა შინა, ვითარმედ: „უკეთუ მოჰკლავთ
 ქრისტიანე, სამოთხეს შესლვად ხართ. და უკეთუ მათ-
 გან მოიკლათ. მაშინცა შესლვად ხართ“. ამისთვის უღ-
 მრთო იგი კრებული ჯიშრთა შეკრბა და, სადაცა პოეზ-
 დეს ქართველსა. ერთსა გინა ორსა, მოკლვიდიან. 20
 ცნა ესე სურამელის ბეგას შვილმან, რატი, რამეთუ
 ყრმა იყო, და წარვიდა სამოცითა კაცითა, და პოვნა
 მთასა რასავე მაგარსა შინა მყოფნი კაცი სამასი ოდენ. 25
 ზედამიტევა და იქმნა ბრძოლა ფიცხელი. და პირველ-
 სავე შეკრბასა მეოტ იქმნეს და უმრავლესი მათი მოს-
 წყდა. სტუანი მოიყვანნა წინაშე მეფისა, რომლისა|თვს-
 ცა | დიდად პატიე-სცა მეფემან და მრავალი ნიჭი უბო-
 და. და მიერ წარმოვიდეს და მოიწიენეს ჰერესა¹⁶ და
 ყაზვისსა. და ყაენმან დიდად დაუძაღლა მეფესა თანა-
 ხლება ხუარასანს. და პატიეცა უყო დიდი, და ყოველნი 30

M 891
 R 446b
 T 323b
 m 633

1—2 არღუნისსა|—ხოლო T. 3—4 ქალსად MTmR. 4 ყანი M, ყენი m, ყანი T. 5
 აჰმადი|ჰამად m. 5 ქალასი Mm, ქალსად TR. 5 ხოლო ვითარ T. 7—8 აჰმადამ T,
 აჰმადი m. 9 აჰმადი m. 10 რომელთა TR. 14 უღმრთოსა მის|—Mm. 14 მოჰმე-
 დის T, მოჰამედისა Mm. 14 მოძღურობად T. 15 ესრეთ იყო|—Mm. 15—16 ყურანსა
 წიგნსა შინა მისსა Mm. 16 უკეთუ|—Mm. 17—18 ქრისტიანე... მოიკლათ|—Mm.
 18—19 უღმრთო Mm. 21 რატიმ T. 22 და (წარვიდა)—T. 24 ბრძოლა| ომი TR.
 25 იქმნა Mm. 25—26 მათი მოსწყდა| მათგანი მოისრნეს T. 27—28 ებოდა T. 28 ჰე-
 რესა MTR, ჰერეთსა m, ჰერათსა გორგ., რეჰსა ჭაეახ., ყაუზჩ. 29 ყაზვისსა
 MTmR. 29 ყანმა M, ყენმა m, ყანმან T. 29 დაუძაღლა| და m.

M 892

მთავარნი საქართველოსანი მოსცნა¹⁷. და ყენი შინა წარვიდა, რათა მივიდეს ცოლთა თანა გამარჯუებული. მეფე თანაწარმოიტანა, ხოლო მისწული მისი, არლუნ, დაუტევა ჰერესა, და ნოინი ყოველი დაუტევა არლუნს თანა, და დავედრა აღინაყს და სხუათა ნოინთა, რათა მცირედნი დღენი დაყვენენ და | მერმე მოაკუდინონ არლუნ. და იყვენეს ნოინნი არლუნს თანა, და ქმნეს განზრახვა დიდმა ბულა და იას-ბულა, ნათესავით ოირადთა მთავარმან¹⁸, რათა აბალას შეილი, არლუნ, ყანად დასუან და აჰმადა მოაკუდინონ, რომელ ყვესცა. მსწრაფლ მივიდეს ღამით და გამოიყვანეს აღინაყ, კარავსა შინა მწოლი, და მოაკუდინეს. და ვითარ განთენდა, არლუნ ყანად ქადაგეს. და წარმოვიდეს დევნად აჰმადისა. ხოლო იგი მოვიდა ურდოთა შინა მისთა უჟანს, მოეწივნეს და საბლითა მოაშთვეს.

R 447a

ხოლო მეფესა დიმიტრის პირველვე მიუმცნეს. რათა განეყენოს აჰმადას, და ყოცა მეფემან და მობრუნდა. და მოვიდა ყენს არლუნს წინაშე. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ-დივანს, რამეთუ ყენი კელთა შინა ბულასათა იყო, და ბულა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა. და წარვიდა შინა მშვდობით, განმარჯუებული, და წარავლინა ძე მისი, დავით მცირე. სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწულოდ. და ესრეთ დღითი დღე წარემატებოდეს მეფობასა მისსა, და კათალიკოზი აბრაჰამ კეთილად მართებდა საქეთა კათოლიკე ეკლესიისათა, რამეთუ იყო კაცი ესე მართლმოქმედი კეთილთა საქმეთა, და საურავთა სამეფოთა გამგე კეთილი.

T 324a

1 ყანი M, ყანი T. 1 შინ m. 2-წარვიდა შინა. 2 მოვიდეს Mm. 4 ჰერესა MTR, ჰერეთსა m, რეჰსა ჯ ა ე ა ხ., ყ ა უ ხ ჩ. 4 ნოინნი m. 5 ალოყანს MTmR, აღინაყის გ ო რ გ. 7 არლუნის Mm. 7 ქმნეს M. 8 ოირადთა] ოირათა Mm, ოირადთა TR. 9 აბალას Mm. 9 არლუნს—Mm. 9 ყანად M, ყანად T. 11 აღინაყ—Mm, ალოყან TR, აღინაყი გ ო რ გ. 13 ყანად M, ყენად m, ყანად T. 14 ურდოსა T. 20 შინა]—Mm. 14 უჟანს Mm, უჟანს გ ო რ გ. 15 საბლით m. 15 მოაშთვეს] + აჰმადი ყანი T. 16 ხოლო]—Mm. 16 დამიტრის]—Mm. 17 აჰმადას Mm. 18 ყანს M, ყენს m, ყანს T. 19 შეიწყალა Mm. 20 რომელ MTm, რომელი Dc. 20 საჰიბ-დივანს] სივდევანს Mm, სივდივანს T. 21 ყანი M, ყენი m, ყანი T. 22 იყო]—Mm. 22 მეფისა] + იყო m. 27 მართედეს m. 27 ეკლესიათა m. 29 კეთილი]—Mm.

M 893 ხოლო მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი დედო-
 ფალსა ტრაპიზონელისა ასულსა თანა, | პირმშო დავით,
 ვახტანგ. ლაშა და მანოველ, და ასული რუსუდანი. |
 M 634 ხოლო თათრის ასულსა თანა ძენი ორნი: ბაიღუ და
 იადგარ, ასული ჭიგდა. ხოლო ასულმან ბექასამან ნათელ 5
 უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა
 მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მე-
 ფეთა, რამეთუ მარტო იყო ძე დედისა, მარტო შვა დე-
 დამან. ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს მარტოება
 უმჯობესისათვის, ეგრეთვე გიორგი იბოვა უმჯობესი ყო- 10
 ველთა კაცთა მის ქამისათა, არა ოდენ კელმწიფეთა,
 არამედ ყოველთა კაცთა. ამან დიმიტრი მოიგო სიმდიდ-
 რე დიდად დიდი სიმდიდრესავე ზედა, რომელ დაშთო-
 მოდა მამისა | მისისაგან, და მსახურებდა ყაენსა არღუნს,
 R447b რამეთუ თანაშეეწოდა ნოინი დიდი ბუღა, რომელსა 15
 პატივად ჩინქიშანობა მისცა ყაენმან, რომელი ყოველთა
 პატივთა უმეტეს არს.

მაშინ განუდგეს ყაენსა დარუბანდელნი და წარვიდა
 ყაენი დარუბანდს, მოუწოდა მეფესა დიმიტრის, და წარ-
 T 324b ჰყვა და შევიდეს დარუბანდს და ვერ | წინააღუდგეს 20
 დარუბანდელნი, და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა,
 რომელსა ანიყად უწოდდეს, და გარემოადგეს, და ვერა
 ავენეს რა. მაშინ ყაენმან არღუნ უბრძანა მეფესა, რათა
 ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად მაგარი. აღიჭურა მე-
 M 894 ფე და სპა მისი, და გარეშეეხვვნეს და შეუტდეს ციხესა, 25
 რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს გავიდა, და წა-
 რულეს ციხე და თავადნი მათნი⁹ დაჯოცნეს, და წარ-
 მოიღეს ტყუე და განძი და დედა-წული მათი, და ციხე
 დაწუეს. ყოველსა ხედვიდა ყაენი. თვთ მეფისა აქუნდა

1 დიმიტრის] დატრის M. 2 ტრაპიზონელთა Mm. 2 ასულსა Mm. 3 ამონველ
 Mm. 4 ასულსა Mm. 4 ბაღურ MTm, ბაიღო გორგ. 5 ჭიბდა Mm, ჭიგდა
 ხათუნ T (R-ში ხათუნ ჩამატ.), ჭიქთა გორგ. 5 ბექამან M, ბექასმან m.
 9 თქმულაარს M. 9 მარტოება Mm. 10 იბოვა] იშვა m (ზეუეთან წარწერილია:
 იბოვა). 10 უმჯობესი]—m. 11—12 მის ქამისათა... კაცთა]—m. 12 დატრი M. 12
 დიმიტრი]+მეფემან T. 14 ყანსა M, ყენს m, ყაინს T. 16 ჩინქიშანობა] ჩინგი ყანო-
 ბა Mm, ჩინგი ყაინობაა T. 16 ყანმან M, ყენმან m, ყაინმან T. 16 რომელი]—
 MTmR, რომ გორგ. 18 ყანსა M, ყენს m, ყაინს T. 19 ყაინი T]—Mm. 19 დი-
 მიტრის]—M. 21 დარუბანდელნი]—Mm. 22 ანიყად] ანუად Mm, ანიყად TR გორგ-
 23 რა]—Mm. 23 ყანმან M, ყენმან m, ყაინმან T. 25 სპანი T. 25 და]—T. 27
 დაჯოცნეს Mm. 28 მათი] ურიტყ T. 29 ყანი M, ყენი m, ყაინი T. 29 მეფესა Mm.

მტერობა, სთხოვა ჯაჰკ სახელოვანი და მსწრაფლ მიანიჭა მეფემან, და წარმოვიდეს შინა²⁰.

და ვითარცა გარდაჯდეს ეამნი მრავალნი, და რაყამს წელიწდისა თავი მოიწევის, რომელსა ურდისინგად უწოდდეს, რომელ არს ენითა მათითა, რომელი იქმნების მარტსა ათხუთმეტსა, მიავლინა ყაენმან ნოინნი და დაესხნეს ბუღას და შეიპყრეს, და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი, და მოიყვანეს წინაშე ყაენისა და მან მსწრაფლ ბრძანა განუკითხავად მოკლვა მისი და ძისა მისისა²¹. და მოაკლდინეს | ბუღა და ყოველნი ნათესავნი მისნი. წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხუარასანს, და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყყდნეს. და ესრეთ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა.

და წარმოავლინა ელჩი მეფისა მკვლობელმან ყაენმან და აწვა ურდოსა მეფე. ხოლო ვითარ ცნა სიკუდილი ბუღასი მეფემან, დაუმძიმდა დიდად. და მოუწოდა მეფემან კათალიკოზსა აბრაჰამს და ეპისკოპოზთა, და მონასტერთა და უდაბნოთა გარეჟისათა მღვდელ-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე, და დაჯდა ტახტსა ზედა და დასხდეს ყოველნი. და ალალო მეფემან პირი თვისი და ბრძანა: „ისმინეთ ჩემი ყოველთა კათალიკოზთა და ეპისკოპოზთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისა|თა. ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა. და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოველად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ, მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქუენითა წარგმართე მეფობა, და აქა-

m 635
R 448a

T 325a

M 895

4 წელიწდისა თავი მოიწევის Mm, მოიწია წლის თავი TR. 5 უწოდეს Mm. 6 ათხუთმეტსა Mm, მეოთხუთმეტსა TR. 6 ყანმა M, ყენმან m, ყაინმან T. 6 ნოინი MT. 8 წინაშე ყაენისა—Mm. 8 ყაინისა T. 9 ბრძანა—Mm. 10 ბუღა—Mm. 11 მისნი T, ბუღასნი Mm. 14 ყანმან M, ყაინმან T. 15 ვითარ—Mm. 16 და—MT. 17 აბრაჰამს Mm. 18 გარესისა T. 18 მღვდელ-მონაზონთა—Mm. 20 ტახტსა ზედა და დასხდეს—Mm. 22 ისმინეთ ჩემი ყოველთა—Mm. 24 მამამა ჩემმა M. 24 მძლავრობასა Mm. 26 და უფალმან ჩუენმან—Mm. 26 იესომ Mm. 29 მეფეთა| მიერ T. 29 დამიცვას და მიმაწიოს Mm. 30 მომმადლოს Mm. 31 თქუენითა ჯაჰკს, ყაუხჩი, თქუენისავე გორგ.—MTmR.

R 448b მომდე მშვდობით ჰგეის საძეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის-ყოფასა, თუ არა წარვიდე ურდოსა | და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი. და, აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს. იხილეთ, რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჯრდებიან, ხატნი და ჭუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი. მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე. მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აზრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანაგუაც წარსლვა სოფლის ამისგან. რა სარ|გებელ არს | ცხოვრება | ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე, ტვრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა. უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს“.

M 896
m 636
T 325b

ვითარ ესმა კათალიკოზთა და ეპისკოპოზთა, და მოძღუართა და მთავართა, განკვრდეს, თუ ვითარ დადვა მეფემან სული თვისი ერისა მისისათვის, და ესრეთ პასუხი უგეს: „არა არს ნაცვალი შენი, მეფეო. გაშოროს ღმერთმან მოკლვა თათართაგან. მოოჯრდეს ქუეყანა და შვილნი შენნი მიმოდაიბნევიან. თუ ქუეყანაცა დაშთების, რა არს ნაცვალი შენი? აწ გეზრახებით, რათა წარხვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა, ანუ აფხაზთასა, ვითარ ქმნა მამამან შენმან. და არა საჭირო არს განწირვა თავისა შენისა შე|ნგან. ჩუენ ყოველნი მტკიცედ ვპავით ერთგულებასა“.

R 449a ვითარცა ესმა მეფესა, თქუა: „თქუენ ერთგულებისა.

2 ყანი M, ყენი m, ყაინი T. 5 და ჰა M. 6 რაოდენი m. 9—10 ყანს M, ყენს m, ყაინს T. 11 საქმე ესე Dc]—MTmR, საქმე ჩვენი გორგ. 13 სიზრმლებ M, სიზრმებ m. 13—14 აზრდილებ Mm. 14 და მსწრაფლ]—Mm. 16 ჩემთვის]—m. 17 ცოდვითა]—Mm. 18 ყანს M, ყაინს T. 18 წინა Mm. 19 მამკლან Mm. 21 ხოლო ვითარ T. 21 ესმათ T. 21 კათალიკოზსა T. 23 მეფემან]—m. 24 გაშორვოს Mm. 25 და Dc, გორგ.]—MTmR. 27 არს] არის Mm. 27 რათა] +არა Mm. 28 მთიულეთისასა Mm. 30 თავისა] სულისა T. 32 თქუა] +მეფემან m. 32 თქუენ]—m.

და სიყუარულისა ჩემისათვის იტყვო, გარნა მეწყალის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან და არასადა აქუნ ნუგეშინის-ცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასლვას“. მაშინ განკვრებულნი ყოველნი აღდგეს და რქუა აბრაჰამ კათალიკოზმან: „არა არს საქმე, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურიდნია და დაუცავს თავი თვისი. აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩუენ, ყოველნი ეპისკოპოზნი, ვიტკრთავთ ცოდვითა შენთა. არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, მოწამეთა თანა შერაცხილ | იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დაღვას კაცმან სული თვისი მოყუსისათვის“. და უკეთუ ერთისა მოყუსისათვის სულისა დადება კეთილ არს, რავდენ ურიცხუთა სულთა ცხოვნება ეგოდენ სარგებელ არს“.

ვითარცა ესმნეს მეფესა კათალიკოზისაგან, განიხარა და დაასკუნა წარსლვა ურდოსა დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა, და თანაწარჰყვა | კათალიკოზი აბრაჰამ. და განუჩინა შვილთა საყოფელი. ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანაწარჰყვნეს, შევედრნა შვილნი მისნი, და წარგზავნა რომელნიმე მთიულეთს და რომელნიმე — ქახეთს. ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, | ასპარაშენს, და თუთ წარვიდეს ურდოსა. და ვითარ მივიდა ქუეყანასა ხუაშაქისა, ავაგის ასულისა, მუნ დახუდა ძე მისი, დავით, რომელი იგიცა წარიტანა, ამისთვის რომელ უეჭუელ იქმნას ყენი და ჰგონოს ერთგულება მისი.

ვითარ ვლეს მცირედ და მიეახლნეს ურდოსა, ჰგონა ყენმან მეფისა არმისლვა, წარმოავლინა ნოინი ერთი,

1 სიყუარულისათვის M, სიყუარულობისათვის m. 1 ჩემისათვის]—Mm. 1 მეწყალის T. 2 უღონო] უბრალო m (სიტყვის თავე წარწერილია: უღონო). 3 ნუგეშინის ცემად m. 5 აღდგეს]—Mm. 6 საქმე]—Mm. 6—7 განწირვა სულისა შენისა] განსწირავ სულსა შენსა TR. 8 თაქ] სულა T. 8 შენ]—m. 12 ამისა Mm. 14 მოყუარისთვის TR. 14 მოყუსისათვის ბროსე] მოყუსისა MmR, მოყურისა T, მოყერისათვის გორგ. 17 ხოლო ვითარცა T. 18 დასკუნა T. 18—19 და საჭურჭლითა]—Mm. 21 თანა წარჰყვა TR. 21 შეევედრნა m. 22 რომელიმე MmR. 22 რომელიმე Mm. 24 იშხანის TR. 24 ასპარაბეთს Mm. 24 თუთ] იგი Mm. 24 შავიდა TR. 25—26 ~ ავაგის ასულის ხუაშაქისასა TR. 27 იქმნეს TR. 27 ყანი M, ყენი m, ყანი T. 29 მიახლნეს m. 29 ჰგონა] ეგონა m. 30 ყენმან M, ყენს m, ყენმან T. 30 მეფისა M.

- M 898 სახელით თუქალ²², ძე ზემოკსეხებულისა იას-ბულასი, რათა მოიყვანოს მეფე. მგზავრ მიმავალსა მეფესა წინა-
დაემთხვა, რომელმან მყის აღიღო ყოველი ბარგი და
სიმდიდრე მისი, და მეფე პყრობილ-ყო და მიიყვანა
ყაენს არლუნს წინაშე. ხოლო მანცა პყრობილ-ყო და 5
განიზრახვიდა ყაენი, უკეთუ ბოროტი უყოს მეფესა,
არლარავინ არს ღირსი მეფობისა, და თუ არა ბოროტი
შეამთხვოს, ვითარ განუტეოს მიმდგომი და მზრახავი
ბულასი.
- T 326b | ხოლო რქუა ხუტლუბულა ყაენსა: „ნუ იურვი მავას, 10
რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავი-
თისი, სახელით ვახტანგ, და მას მიუბოძე მეფობა, რო-
მელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს“. 15
სთნდა ყაენსა სიტყუა ესე და წარავლინა ხუტლუბულა
იმერით დავით მეფისა წინაშე, უქადა ძესა მისსა მე-
ფობა და დაჲ მისი, ოლჯათ, ცოლად.
და ვითარ წარვიდა ხუტლუბულა, ჰკითხეს მეფესა
დომიტრის, რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი,
საჭურჭლე, ზროხა და ცხოვარი, და ყოველი საქონელი
მისი. რამეთუ პყრობილ იყო თვთ მეფე და მთავარი | 20
R 450a მისნი, თვნიერ აბრაჰამ კათალიკოზისაგან კიდე, და
არლარა იყო ღონე, აღწერა, რაცა აქუნდა, სიმდიდრე
ფრიადი. წარმოგზავნეს კაცი და წარიღეს ყოველი, |
m 638 არარა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგან-
M 899 ძური მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს. ხოლო იტყუ- 25
ან ამასცა, ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოექლა
მეფესა დავითს, ხუტლუბულა და იგი, — ორნივე —
მტერობად შეითქუნეს მეფისა²³. და მივიდა ყაენს წი-
ნაშე საჭურჭლე მეფისა, და განკვრდა და მკირედ დას-
ცხრა გულისწყრომისაგან, და არლა ეგრე გონებდა ბო- 30
როტისა ყოფასა. და ვითარ იხილეს ვაზირთა მეფისათა

4 თუქალ გორგ., სიღჳლ MTmR. 2 წინ მ. 3 დამთხვა T. 4 მიყუანა Mm. 5 ყანს M, ყენს m, ყანის T. 6 ყაენი—Mm, ყანის T. 6 უკეთუ რათა Mm. 8 შეამთხვიოს M. 8 განუტეოს T. 10 ხოლო—Mm. 10 ხუტლუბულა M. 10 ყანსა M, ყენს m, ყანისა T. 10 მავას—m. 11—12 მეფის დავითისა T. 14 ყანსა M, ყენს m, ყანისა T. 14 ხუტლუ ბულა m. 15 იმერით Mm, იმერით TR. 15 მეფესა Mm. 16 დაჲ TR] ასული Mm. 17 ხუტლუბულა M, ხუტლუბულა m. 18 დომიტრის] დატრის M. 21 აბრაჰ MTm. 23 ფრიადი T. 23 წარმოგზავნა Mm. 25—26 იტყუნ T. 26 ამასაცა m. 27 მეფეს Mm. 27 ხუტლუ ბულა m. 28 მტერობდა შეინოქნეს m. 28 ყანს M, ყენს m, ყანის T. 29 მეფისა M. 30 სულის წყრომისაგან M. 30—31 ბოროტის ყოფად TR.

ფლობილთა²⁴, რქუეს: „აჰა, თავი შენი კელთა შენთა შინა არს. ღამით მოიდგინენ ცხენნი მორბედნი და წარვედ, და განერე კელთაგან ამათთა, რამეთუ არა არს ნაცვალი სულისა შენისა“. რქუა მეფემან: „ისმინეთ ჩემი. პირველვე უწყოდე სიკუდილი ჩემი, და დაედევ თავი ჩემი | და სული ჩემი ერისათჳს ჩემისა. ხოლო აწ თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას. რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“. არა ისძინა განზრახვა მთავართა მისთა.

და მოიწია ხუტლუბულა ლიხთ-იმერით და მოაჴსენა ყაენსა, ვითარმედ: „დავით მეფე წარმოავლენს ძესა თჳსსა მსახურებად შენდა და სპასა აფხაზთასა, რათა გმსახურებდენ“. ცნა ყაენმან, კუალად | დააპატიმრეს მეფე დიმიტრი²⁵, და ვითარ გარდაჴდა ორი ღღე, კუალად შეიპყრეს მეფე და ძე მისი, მცირე ყრმა დავით, ცალკე. და წარჴყვა თანა მღღელ-მონაზონი გაზრდილი მისი, მოსე. და არგნითა სცეს მეფესა, და ეგონა ყოველთა არღარა მოკლვა მეფისა, რამეთუ წესად აქუნდა, რა არგნითა სციან, არღა მოაკუდინიან. გარნა არა დამშდნა გულისწყრომისაგან. წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდდეს, და ჰკითხვიდეს, უკეთუ თანაეწამა განზრახვასა ჩინქიშან ბუღასასა, და ვერა ბრალი პოვეს. და წარვიდა ტოლან²⁶ ვინმე ნოინი ყაენს წინაშე, რათა არა მოაკუდინოს მეფე, და ვერ აღასრულა სათხოველი მისი. და მოიწივნეს ათორმეტნი | მკედარნი ყაენისანი, რათა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ. ცნა სიკუდილი მეფემან, მხიარულითა პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა, რამეთუ ყოველნი მუნ მოსრულ იყვნეს ნუგეშინის-ცემად მეფისა, და ხუტლუბულაცა მდგომარე იყო. რქუა მეფე-

1 ფლობილთა Mm, ფლობილად T, ფლობილათ R. 2 მოიდგინენ m, მოიდგინა T. 2 ცხენი მორბედი m. 3 და განერე]—Mm. 3 რამეთუ Dc]—MTmR. 5 პირველ Mm. 5—6 თავი ჩემი T, თავი Mm. 8 შეიძინო m, შევიძინე T. 8—9 წარვსწყმიდო M, წარვიწყმიდო m. 10 ხუტლუბულა m. 11 ყაენსა]—MTm, ყაენსა R. 13 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T. 13 დაპატიმრეს MT. 14 დიმიტრი] დატრი M. 15 შიპყრეს M. 16 მღღელთ მონაზონი m. 17—18 ყოველთა]—და m. 18 არღარა]—რა T. 20 გულის წყრომისაგან Mm, გულისწყრომა მისი TR. 20 რა წარიყვანეს m. 21 დივანხანობით m, დივანხანად TR. 21 უწოდეს Mm. 22 განძრახვასა m. 23 ტოლან D, ტოლან MTR, ტონღარა m. 24 ყანს M, ყენს m, ყანს T. 25 ვერა M. 25 მოიწივნეს M. 25—26 ათორმეტი m. 26 ყანისნი M, ყანისნი T. 27 მეფემან]—MT 30 და]—m. 30 ხუტლუბულაცა m.

T_327b ძახ: „უკეთუ ძალ-გიც, ყაენს წინაშე შემეწიე სიკუდილ-
სა ამას შინა. თუ არა გნებავს, ძე ჩემი, მცირე დავით,
ილუაწე, რათა არა მოიკლას გულისწ|ყრომითა აღსაე-
სისა ყაენისაგან“. ხოლო მან და ყოველთა მთავართა
იწყეს ტირილად და განვიდეს გარე. ილოცა და ეზიარა 5
სისხლსა და ჯორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტეს ღმრთი-
სასა. ეგრეთ აღსუეს ცხენსა და წარყვანეს, ვითარ
R 451a მილიონ ერთ²⁷. და ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს
მცირედ. და ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქუე-
ყანასა ზედა, და მერმე წარუპყრა ქელი. აჰა, დღე საში- 10
ნელი, ზარისღსაჯდელი, რომელი იკადრეს ბილწთა
ცხებულსა ზედა ღმრთისასა. და წარკუეთეს თავი მეფესა
დიმიტრის.

M 901 ხოლო გამოჩნდა მასვე ჟამსა პატივი ღმრთისა მიერ
ცხებულსა მისსა, რამეთუ მზემან შარავანდელი თვისი 15
უჩინო-ყო სრულიად, და იქმნა სიბნელე | დიდი, და
ყოველნი წარმართნი განკვრდეს. იყო ჟამი მეათე და
მწუხარამდე შეიმოსა ბნელი, ვითარ-იგი ყოვლისა სოფ-
ლისა ცხორებისა ვნებასა მეუფისასა, ეგრეთვე ამის ნე-
ტარისა და საქართველოსათვის წამებულისა მეფისასა, 20
რათა საცნაურ იქმნეს, რამეთუ პატიოსან არიან ცხე-
ბულნი ღმრთისანი. ხოლო იყო მესამე შაბათი წმიდათა
მარხვათა და ათორმეტ თვისა ებრაელთა მიერ ნისანად
წოდებული, და ჩუენ მიერ მარტად.

და აღასრულეს გულისწყრომა და არავე დასცხრა 25
გულისწყრომა მათი, რამეთუ შეიპყრეს ყრმაცა დავით
და ნოინსა ტოლაჩარს²⁸ მიჰგუარეს, რომელსა მკედართ-
მთავრობა აქუნდა. მას ღამესა, მწუხარებასა გულისასა²⁹,
მოიცივეს ყრმაცა დავით კარავსა შინა მოსიკუდიდ, გარ-
ნა ვერა იველთეს. და ვითარ განთენდა, განიპარა მოსე 30
მღდელი, რომელი არაოდეს განემორებოდა დავითს,

1 ყანს M, ყენს m, ყაინს T. 1 შემეწიებით Mm. 3—4 აღსავსისა ყაუ ხჩ.,
აღსავსითა MTmR. 4 ყაენისაგან]—Mm, ყაინისაგან T. 5 განვიდა m. 6 მეუფისა
ჩუენისა]—Mm. 6 ქრისტესა Mm. 6—7 ღმრთისა Mm. 9 ცრემლ მოდინებთა Mm.
10 და]—T. 12—13 მეფესა დიმიტრის]—MT. 15 ცხებულსა MTm. 15 მისისა T.
16 და იქმნა Dc]—MTmR. 17 ჟამი ი T. 18 მწუხარამ Mm. 19 ვნებისა T. 21
რამეთუ]—MTm. 23 იბ ათორმეტ Mm, იბ T, მეათორმეტე R. 23 ნისად MTm,
ნისანად R. 25 არადავე T. 27 ტოლაჩარს ჩე. კონიექტ., ტაჩარს R, ტაჩას MTm.
29—30 გარნა ვერა იველთეს Dc]—MTmR. 31 რომელ Mm.

m 640 და შევიდა | ტოლაჩარს წინაშე და აუწყა: „მოკლვა სწადის დავითისი“³⁰. ხოლო იგი აღდგა მსწრაფლ და წარვიდა ყაენს წინა და რქუა ყრმისა დავითის უბრალოება: T 328a | „რად გიკვმს შეუცოდარისა ყრმისა მოკლვა? მე მომ| R 451b მაღლე“. ისმინა და მოსცა, და წარიყვანა სახლსა თვისსა 5 და შევედრა ხოჯასა თვისსა³¹, რომელი უკანასკნელ საჭიბ-დივან იქმნა.

ხოლო გვაში იგი პატიოსანი დიმიტრი მეფისა დაცვეს მრავალ დღე, რათა არა წარიღონ ქართველთა. და ესრეთ სრულ იქმნა წინასწართქმული ბასილი მთაწმიდელისა. ხოლო იყვნეს მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი და ვერვინ იკადრა წარყვანებად გუამი მეფი|სა. მაშინ კათალიკოზმან და მოსე იყიდნეს კაცნი, და მოსეცა თანაწარპყვა და მოიპარეს ღამით. მაშინ განგებითა ზეგარდმოთა გამოჩნდეს კაცნი ტფილისელნი. 10 რომელთა აქუნდა თევზი წარსაღებელად, და თევზთა თანა იტვრთეს და მოიყვანეს მცხეთას, და მუნ დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა. 15

ვითარცა იქმნა ესე, დავით, ძე დიმიტრისი, შეინახა კეთილად ტოლაჩარ ნოინმან, ხოლო დედოფალი და 20 სხუა ცოლი მეფისა დამალეს. და სორღალ წარვიდა სახლსა მამისა მისისა თათარში, ხოლო ასული ბექასი წარვიდა მამისა მისისა თანა სამცხეს, და ვახტანგ იყო მთიულეთს. ხოლო ყაენმან მისცა დედოფალსა სარჩოდ სკორეთისკევი, და ვახლნეს ორნი მცირედნი ძენი: მა- 25 ნოველ და ლაშა. და სორღალს წარპყვეს ორნი შვილნი. ბაიდუ და იადგარ, სახლსა მამისა მისისა. და დარჩა ქუეყანა ესე უმეფოდ.

მოუწოდა ყაენმან ხუტლუბულას და რქუა: „აჰა, მოვსრენ ყოველნი მტერნი ჩემნი, და მტერიცა შენი, 30

1 ტაჩარს MTmR. 1 მკლე M, მოკლა m. 1—2 სწადის ჩვ. კონიექტ.]— MTmR, სწადიან გორგ. 3 ყანს M, ყენს m, ყანს T. 4 გიკვმს m. 4 შეუცოდარის Mm, შეუცოდარისა T. 4—5 მომმაღლე ყაუ ხჩ., მომაღლე MTmR. 6—7 სიბდევან MTm. 8 დიმიტრი] დატრი M. 10 წინასწარ თქმული Mm, წართქმული T. 12 წარყუანება MTm, გამოთხოვად R. 16 და]—m. 17 მოიყუანეს MT, მოიტანეს m, მოიღეს R. 19 ვითარცა R]—MTm. 19 დიმიტრისი] დატრისი M. 20 ტოლაჩარ ჩვ. კონიექტ., ტაჩარ TR, ტაქარ Mm. 20 ნოინ MTm. 21 სხუანი ცოლნი TR. 21 მეფისანი MTmR, მეფისა გორგ. 21 და]—T. 21 სორღალ]—Mm, სორღალა TR, სორღალ გორგ. 24 ყაენმან გორგ., ყრმამან MTmR. 25—26 მანოველ] მანვე MTm. 26 სოღლარს Mm. 27 იადგარ Dc] იედგარ MTm. 28 უმეფო და MTm. 29 ყან-ბა M, ყენმა m, ყანმან T. 29 ხუტლუბულას m.

R 452a ² მეფე დიმიტრი, და აწ მეფე არლარა [არს საქართველო-
 სა შინა]³². აღმისრულე, რომელი | აღმოიქვ, მოიყვანე
 ძე აფხაზთა მეფისა და იყოს იგი მეფედ. მაშინ მოგი-
 თუალო საქართველო ყოველი და განაგებდი, ვითარ
 T 328b გნებავს“. წარვიდა ხუტლუბულა მეფესა დავითს წინა- 5
 შე. და ვითარ იხილა ხუტლუბულა მეფემან დავით, მოუ-
 წოდა სპათა თესთა, წარმოემართა და თანაწარმოიტანა
 ძე მისი, ვახტანგ, გარდამოვიდეს და დადგეს ტასისკარს,
 ქვიშხეთის მინდორსა. აქათ მოვიდეს სირმონ ნოინის
 M 903 შვილი, ყონჩიბალ, აღინაყის შვილი, ყურუმჩი, | რო- 10
 m 641 მელი დგის მათაა ჯავახეთისათა, რომელ არიან არტან-
 სა და სამცხეს შუა, და ყოველი დიდებულნი საქართვე-
 ლოსანი შემოკრბეს, და ყვეს ფიცი და სიმტკიცე ერთ-
 გულობისა. და მოსცა ძე მისი მეფემან, და მრავალნი
 თავადნი მისნი თანაწარმოატანა. და წარმოვიდეს 15
 მსწრაფლ და მეფე დავით შეიქცა ქუთათისს. და მოი-
 წიგნეს ყაენს არლუნს წინაშე. იხილა ყაენმან ვახტანგ,
 შეიყუარა სიკეთისა მისისათვს, რამეთუ იყო ტანითა
 სრულ, ჰაეროვან, ტკბილ, მოწყალე, სამართლისმოქ-
 მედ, უხუ, მდბალ, ენატკბილ, განმზრახავ კეთილ, ყოვ- 20
 ლისა საქმისა მცოდნე. ამას ვახტანგს მოსცა მეფობა
 ყოვლისა საქართველოსი და დაჲ თვისი, ოლჯათ, ცო-
 ლად, და წარმოგზავნა და მოვიდეს ტფილისს.

VI

R 452b და¹ შემოკრბეს კათალიკოზი და ეპისკოპოზნი, | და
 მთავარნი, და დაადგეს გვრგვნი მეფობისა, და დასუეს
 ტახტსა სამეფოსა, და აღასრულეს წესი კურთხევისა.

1 დემეტრე MT. 1—2 [არს საქართველოსა შინა] ჩე. კონიექტ., აღარ არის
 მეფე საქართველოშიგნ გორგ. 2 მოვიყვანე T. 3—4 მოგეთვალა MTm. 5 გნებავს] და
 წარვედ აფხაზეთს T. 5 ხუტლუბულა m. 5 დავითს T. 6 ხუტლუბულა m. 6 მეფემან
 დავით]—MTm. 7 და]—MTm. 8 გარდამოვიდა Mm, გარდამოვიდა T. 9 აქათ]—Mm.
 10 ყონჩიბალ] ყონჩიბ M, ყონჩიბა T, ყონჩიბა R, ყონჩიბალი m, გორგ. 10 აღიყანის
 MTR, ყანის m, აღინაყის გორგ. 10 ყურუმჩი MT. 11 მთასა Mm. 11 ჯავახეთისასა M.
 13 და (ყვეს)—Mm. 15 თანა წარმოიტანა M, თან წარმოატანა m. 17 ყანს M, ყენს m,
 ყაინს T. 17 წინა Mm. 17 ყაენმან]—Mm, ყაინმან ვითარცა T. 18 რამეთუ R]—MTm.
 19 სრული Mm. 19 აეროვანი Mm, აეროვან T. 19 სმართლის T. 20 მთაბალი]+
 სამართლის მოქმედ M. 20 ყეთილ Mm. 21 მცოდინე Mm. 22 ყოვლისა საქართველოსი
 R, და ყოველი საქართველო MTm. 22 დაჲ]—MTm. 23 მოვიდა TR. 26 შემოკრბეს M.
 26 ეპისკოპოზნი] დეკანოზნი T.

- და დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბან-
დამდე, თვნიერ ჭაყელ-ციხისჯუარელისა ბექასი, და გა-
ნიხარეს ყოველთა მკვდრთა საქართველოსათა, რომელ
მოეცა ნათესავი მეფეთა პატიოსანი, ღმრთისმოყუარე,
ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მკნე, და სამკედ- 5
T 329a როთა ზნითა აღსავეს. ამან აღიყვანა პატივსა ათაბაგო-
ბისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბულა და მიუ-
ბოძა ორივე კელი და განგება საძეფოთა².
- ხოლო დავით დაშთა თათართა შინა ტოლაჩარ ნო-
ნისთა, ჭირთა და იწროებათა შინა, დედოფალი, დედა 10
M 904 მათი, დაშთა სკორეთს, და სხუანი ძმანი მათნი მიმოიბ-
ნიენეს. ხოლო უმრწამესი ძმა მისი, გიორგი, რომელი
უშვა ასულმან ბექასამან, წარიყვანა პაპამან მისმან,
ბექამან, და აღზარდა საკვრელი და უმჯობესი ყოველ-
თა კაცთა, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს. 15
- და ვითარ გარდაცდა ორი წელი, შეედვა საღმობა
ბოროტი ყაენსა არღუნს, რამეთუ განკმეს ყოველნი
ასონი მისნი და მოლპესცა ჯორცნი და ძუალნი აღმოს-
ცკვდეს, და განიყარა ყოველი გუამი მისი, და იყო ნახვა
მისი უშუერ და საზარელ, და კინდა მიმსგავსებულ იყო 20
მკუდარსა. ვითარ სნეულობდა არღუნ, ინება ხუტლუ-
ბულა, რათა | დავით მეფე-ყოს, და მოდგა მის კერძო
m 642 და ეცადა ნოინთა | წინა, რათა წარუღონ მეფობა ვახ-
R 453a ტანგს. ტოლაჩარ თანაშეწეოდა დავითს და ოვსთა მეფის
ძე, სახელით ფარეჯან, ძლიერად შეეწეოდა დავითს. 25
ამისთვის საბრჭოდცა წარდგეს, თუ რომელსა მართებს
მეფობა. ხოლო სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა
მეფობა დავითისი, მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა
ვახტანგისსა. ამისთვის არა მოსცეს მეფობა დავითს, და
ადგილ-ადგილ სოფელნი და ქუეყანანი მოსცეს დავითს. 30
და ვითარ განგრძელდა ზეგარდმო რისხვა არღუნს
ზედა, და სენი იგი განგრძელდებოდა ოთხისა თვსა
T 329b ეამთა, განრღუეული თავით ფერკამდე, მოქეწყინა ნო-
ინთა, შეკრბეს და ზედამიეტევენეს, და კარავსა შინა

1 დაიპყრა მ. 2 ბექასა TR. 4 მეფეთა|ჩუენთა TR. 5-6 ტკბილი... აღსავეს|—
Mm. 9 ტაქარ Mm. 9-10 ნოინისათა მ. 11 სკორეთს R, საკურეთს MTm. 11
მისნი T. 12 უმრწამესი MT. 12 ძმა| ძე MTm. 13 ბექასამან|+და T. 17 ბოროტი|—
Mm. 18 კორცნი|—MTm. 19 განიყარა M. 21-22 ხუტლუბულა მ. 22 მოდგა|
მოდგამ Mm, მოდგამი TR. 22 მისი T. 24 ტაქარ MmR, ტაჩარ T. 24 დავით MTm.
24 და|—Mm. 25 ბარეჯან Mm, ფარეჯ T, ფარეჯან გ ო რ გ. 31-32 არღუნზედ Mm,
არღუნზედა T.

- მოშთობისა მიერ სიკუდილსა მისცეს მასვე დღესა და
 ეამსა, რიცხუსა თესასა, ათორმეტსა მარტსა³, რომელსა
 შინა პატიოსანი და სანატრელი ცხებული ღმრთისა,
 მოწამე ბრწყინვალე დიმიტრი, მოიკლა. საცნაურ იქმნა:
 M 905 ამისთვის მოიწია სენი ბოროტი | არღუნს ზედა, რომელ 5
 დასთხია სისხლი უბრალო მრავალი და იკადრა ნაცვალ-
 სა ღმრთისასა კელის შეხებად.
- მოკუდა არღუნ, და ყოველნი განმზრახნი მისნი, რო-
 მელნი მეფისა სიკუდილსა თანაშემწე ყოფილ იყვნეს,
 ყოველნი მოისრნეს. და მიერთგან მიეცა ფლობა და- 10
 ვითს, და ნოინნი დავითისკე იყვნეს. ეგრეთცა მტკიცედ
 ეპყრა მეფობა ვახტანგს.
- წარავლინეს ნოინთა კაცი და მოიყვანეს ყაენად ქე-
 R 453b ლათუ-ქოუნ, ძმა არღუნისი, და დას|უეს ტახტსა და 15
 კელთ-უგდეს საყაენო. ამან შეიყუარა კეთილად ვახ-
 ტანგ, რამეთუ ამისთვის ჰგონა არღუნს ზედა მიწვენად
 რისხვა იგი სასტიკი. და ვითარცა ესრეთ იქმნებოდა,
 შეედვა მცირე რამე სენი ვახტანგ მეფესა, რომლისა მი-
 ერ შეისუენაცა, და მოკუდა სამ წელ მეფეყოფილი,
 საღმრთო-საკაცობოთა საქმითა სრული და შემკობილი, 20
 რამეთუ აღმზრდელიცა კეთილი და მეცნიერი ესუა,
 ფარსმანის შვილი. ცნა დავით, განმწარდა სიკეთისა და
 სიჰაბუკისა მისისათვის, და იგლოვა წესისაებრ, და ფრი-
 m 643 ად პატივ-სცა და წარგზავნა გელათს, სამარხოთა | მე- 25
 ფეთასა. ვითარცა ესმა მეფესა, მამასა მისსა დავითს,
 სიკუდილი სასურველისა და ყოველთა მიერ შეყუარე-
 ბულისა ძისა მისისა, ვახტანგისი, უზომოთა ტკივილთა
 და ვაებათა მოიციკეს, რამეთუ შეუძლებელ არს მო-
 T 330a თხრობად თვთელ|ლისა. გარნა ესოდენ მოიციკა მწუხა- 30
 რებამან, რომელ ვერლარა ჰოვა ლხინება და შემდგო-
 მად მცირეთა წელთა შეისუენა მანცა, პატიოსნითა სი-
 ბერთა აღსავსემან. დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდ-

ენეს, საქონლითა, ალაფითა და ტყვითა, და ესრეთ ძლევამომოსილი მოვიდა მამას წინაშე. ხოლო ვითარ განუძნდა სპერელთა გარედგომა ბექასი, მოუგზავნა მოციქული, ვითარმედ: „ჩუენ ყაენისა ყაზანისანი ვართ, და თურქნი ძლით გარდაიხუეწნეს პონტოსაკერძ, | და აწ გევედრები მე, მოგურიდო და უკუსდგე, და უზომო ოქრო და ვეცხლი, და ჯორი და ცხენი მოგცეთ“²⁴. ისმინა ბექამან და აღილო განძი ურიცხვ სპერით და ბაბერდით, და ძლევამომოსილი მობრუნდა. და მოეგებნეს კარნუქალაქით მთავარნი და მოართუეს მათცა ძლუენი, ალაფი, და არცარა მათ ავნო. და ესრეთ ბრწყინვალე ძლევა მიანიჭა ღმერთმან ბექასა, და მოვიდეს შინა საქონლითა უამრავითა²⁵. რამეთუ იყო ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მაშენებელი, და მონაზონთა და ხუცესთა და მოწესეთა კაცთა პატივისმცემელი, და არა დააკლდის ეკლესიასა მისსა წესი ლოცვისა ცისკრად, სამხრად და მიმწუხრი. და ლაშქარი მისი ვერ დააკლდებოდინ სამსა ამასა ლოცვასა. და ამისთვის უმარჯუებდა ღმერთი, და მოსცა ყაენმან ყაზან კარი და მიმდგომი მისი ქუეყანა.

5

10

15

20

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. მას ეამსა იწყო ყაზან ყაენმან ამვედრება მეგავტელთა ზედა. და მოუწოდა მეფესა ვახტანგს. და მისცა ბექამანცა ლაშქარი მისი რჩეული, რომელი დივნითა ხუდებოდა. წარემართა ყაზან, და შევიდეს ქუეყანასა ასურასტანისასა და შამისასა, და მოაოცრებდეს, რამეთუ იყო სიმრავლე ლაშქრისა მისისა ათსამეტი ბევრი. და ვითარ ესმა სულტანსა მისრისასა, რომელსა სახელად უწოდდეს ნასირ მელიქსა, შეკრიბა სპა მისი ყოველი და მივიდა და დევნად განეწყო. და იქმნა ომი სასტიკი ესოდენ. რომელ ხუტლუშა ნოინი ათასითა მკიდრითა წინადაუდგა ყაზანს, აჰად რომელ დიდთა მიმართეს ყაზანს ზქედა. და ათასისა კაცისაგან ექუსასი დაჯოცეს. და ოთხასილა დარჩა. რომლითა სძლო და იოტნა, რომელსა თანაშემ-

25

30

b 284a

2—3 განუძნდა ჩვ. კონიექტ., განპლიერდა R. 4 ვითარმედ ვითარ R. 5 თურქნი ყაუხჩ.—Rbdp. 5 ძალით Rbdp. 8 აღილო hd. 8 სპერით+და გაბრუნდა R. 9 შაბერდით b. 10 მთავარნი R, თავადნი bdp. 13 უამრავითა d, უძლეველით Rbdp. 17 სამხრად ჩვ. კონიექტ., სამხრ dp, სამხარ b. 19 ყაენმან hd. 22 ყაენმან bpd. 24 დივნითა bs, დენითა p. 27 ათსამეტი s, ათსამეტი b. 29 ნასირ dp, ნასარ bs. 29 მოვიდა b. 31 ხუტლუშა p.

წე ექმნა ჩოფან სულდუსი ზუთასითა კაცითა, სადა ვახტანგ და სპანი მისნი || მკნედ ბრძოდეს. და ვითარ სწყდებოდა ორგინთვე ურიცხვ, ივლტოდეს მეგვპტელნი და სულტანი ნასირ მელიქი. და უკმობრუნდა ყაზან დევნისაგან და სამ დღე განისუენა, და მეოთხესა დღესა დევნა-უყვეს და მიეწიენეს მცირედნი და ამოსწყვდნეს. და განიბნიენეს თათარნი, ტყუენვა-ყვეს, და მიუწია ლაშქარმან ვიღრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად, სადა-იგი მრავალი სული მოისრა ქრისტეანე, და უმეტეს სპარსნი. ხოლო ყაზან მიმართა დიამუშუსა ზედა, რომელ არს დამასკო. ხოლო მათ, ზენარისა მთხოველთა, მოსცეს ქალაქი და საქონელი ურიცხვ, და დაამყარა ყაზან დამასკო და მიმდგომნი მისნი ქალაქნი, და დაყო ვითარ ოთხ თუე. და დაუტევნა მცველნი ქალაქისანი და წარმოვიდეს სახლად თვსად თავრეყად.

და ვითარ მოიწია ზაფხული, განდგეს დამასკელნი, და გამოასხეს მცველნი ყაზანისანი. ცნა რა ესე ყაზან, მოუწოდა სპასპეტსა მისსა ხუტლუმსასა და მეფესა ვახტანგს, და ყოველთა მთავართა საქართველოსათა, და წარავლინა სულტანსა ზედა ლაშქრად. მივიდეს და შევიდეს შამად და დამასკოდ, და აოკრებდეს დამასკოს და ველარ აიღეს. განვლეს დიდი ანტიოქია, და მივიდეს ვიღრე ლაზადმდე. და ვერ შემართა სულტანმან ომი მათი, და მოაოკრეს ექუს თუე. და მით უკმოიქცეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე განმარჯუებულნი.

და ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთვის იშლებოდა ქუეყანა ქართლისა. და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და აოკრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო კირი დიდი მკვდრთა ქართლისათა. და მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი, ვითარ ათ-

1 ჩოფონ dp. 1 სულდური bdp. 3 მეგვპტელნი ყ ა უ ხ ჩ., ვეგვპტელნი bdp ვეგპტელნი s. 4 ნასარ bdp, ნასიარ s. 7 ტყვენა და ეწია dp. 8-9 სადა იგი s, და მუნ d, და იგი b, და ხ. 9 მრავალნი სულნი d, მრავალ სულ p. 9 მოისრა ქრისტეანე] მოისრა ქრისტეანე sp, ~ქრისტეანენი მოისრნეს d. 12 მოსცეს] + მათ d. 13 და (დაყო) — p. 17 გამოასხნეს b. 20—21 მივიდეს და შევიდეს s, მივიდეს რა. შევიდეს d, მივიდეს შევიდეს bp. 22 ანტიოქი bp. 23 ლაზადმდე bd. 32 ყოველნი მთიულნი d. 33 და ჰყვა] — bdp.

- b 284b ხუმეტი ათასი, და მოუჭდა ყივჩაყთა საზაფხულოდ მომავალთა. | ხოლო ყივჩაყნი რომელნიმე ქალაქსა ეწივნეს, და ზოგნი მტკურის პირით ივლტოდეს.
- ესმა ესე ვახტანგს, ტაბაკმელას მღვდომსა, მივიდა მცირითა კაცითა, განვლო ჳიდი და სახიუდაბელი, და განვიდა მახათას, რამეთუ დავით და ლაშქარი მისი მახათას დგეს, თავსა ქედისასა. | და ვახტანგ ქუემოთ მიუდგა და დადგა, და ვერ შემართა შებმა სიდიდითა დავითის ლაშქრისათა. მაშინ მცირედნი ვინმე ჩამოვიდეს და აქათ მცირენი ვახტანგისანი მიეგებნეს, შეიბნეს და დავითის კერძნი გაიქცივნეს, და ორნი ძმანი და შვილნი დაკოცნეს. და ვითარ შენივთდებოდა ომი, ათასი ყივჩაყი გაქცეული შეკრბა ვახტანგს თანა ჳარად. მაშინ მოიწია რისხვა ღმრთისა, და ივლტოდა დავით, და სპა მისი ძლიერი უომრად იყო. დავით მოვიდა ომისა არა შემმართი, მიუდგეს უკანა ყივჩაყნი და ქართველნი, და სდევდეს ვიდრე ჳაჭუადმდე, დაკოცეს კაცი ურიცხვ. არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება.
- ოტებული რა ცნა დავით, უმძნვარესად აოკრებდა ბაყათარ ქართლსა, და მეფე დავით ვერ წინააღუდგებოდა. მით სენიცა შეედგა ბოროტი, მიკრისი ჳელთა და ფერკთა, და უკმარ იქმნა. და იყოცა | კაცი ურწმუნო და უშიში ღმრთისა, ამისთვის ბოროტსა სენსა შთავარდნილი უღონოებდა. და ბაყათარ აოკრებდა ქუეყანათა და კოცდა კაცთა, დაღაცათუ სურამელი ჳამადა და რატი ძლიერად ებრძოდეს. მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა. ცნა ესე ბეჳამან, მოუჭდა დიდითა ლაშქრითა, ხოლო ბაყათარ, ციხით გამოსრული, წინ დახუდა წინმავალთა ბეჳასთა. იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და შევიდა ციხესა. მივიდა ბეჳა და მოადგა ძლიერად ციხესა. და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოგსთა ჳენარი და აღუთ-
- p 455

2 მიმავალთა s. 2—3 ეწინეს dp, ეწინეს b. 4 ესმა]—bdp. 4 ვახტანგ dp. 4 ტაბაკმელს dp, ტაბაკმელას b. 4 მივიდა] მიუვიდა ამავეი d. 5 კილა bs. 13 ათასი] ასი bdp. 14 მაშინ]—d. 14 მოიწია] +მას ეამსა d. 14 დავით b]—dps. 15 დავით და მივიდა b. 15—16 მოვიდა] ომისა არა შემმართი ჩ. ე. ო ნ ი ქ ტ., მოვიდა და ომისა არა შემმართი bdp. 20 მაშინ] ოტებული d. 20 რა ცნა ოტება დავითისი b. 23—24—უშიში და ურწმუნო d. 24—25 ჩავარდნილი bp, ჩავარდნილ იყო s. 26 დაღათუ s. 26 ამადა bdp, ამადა s. 28 ძამისა ბ რ ო ს ე, რამისა bp.—d. 28 ცნა] ხოლო ცნა რა d. 32 მივიდა ბეჳა... ციხესა]—dp. 33—ოგსთა ითხოვეს bs.

ქუეს არაწყენა. და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშა-
ვებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ.

b 285a აწ ვიწყოთ თათართა მოთხრობად. და ვითარ გამოას-
ხეს მეგვტელთა მცველნი დამასკოსანი, ამისთვის გამ-
წყრაღმან ყაზან გაგზავნა იგივე ხუტლუშა სპითა ძლი- 5
ერითა და ვახტანგ სპითა საქართველოსათა. და ვითარ
ცნა სულტანმან | მისლვა მათი, მიეგება სულტანი ომად.
და იქმნა ძლიერი ომი, დაიკოცნეს ორგნითვე ურიცხუ-
ნი. და მას დღესა სწორი ძლევა არა იქმნა, და ლამემან
განყარნა. და ვითარ უკუდგეს, პოვეს ქედი დიდი თა- 10
თართა | და მას ზედა შემოდგეს ხუტლუშა ერითურთ,
უსენინ, სეენიჯი. გარნა სიბუჩი, ხუტლუშას შვილი, მი-
ვიდა მახლობელად სულტნისა და დადგა ვაკედ, რომელ-
სა ახლდეს ბექას ლაშქარნი, და ყველასა ცხენი ჯელთა
ჰყვა. მოიკელოვნა სულტანმან, რამეთუ ჩამოუშვა წყა- 15
ლი უკანაკერძო თათართა, და მას ლამესა. ესეთი ლამი
შეიქმნა, ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ლამსა
შიგან. და განთენა რა, იხილეს თათართა უკანაკერძო
ლამი და წინათ ლაშქრისა სიმრავლე, უღონო იქმნეს.
პოვეს მცირე უგანო ადგილი ლამისა, და მაშიგანცა 20
დაიკოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა. და რაემს
აღივსო კაცითა და ცხენითა, მეოტმან ლაშქარმან ზედა
განსლვა დაიწყო. დაღათუ მოსწყდეს ურიცხვ თათარი
და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშველობით დარ-
ჩეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე, რომელი განწყრა და 25
საპყრობილესა მისცნა ყოველნი ნოინნი. და ეკაზმოდა
კუალად სულტანსა ზედა, გარნა დასნეულდა სენითა
მუცლისათა და მოკუდა, რომელი იგლოვა ყოველმან
კაცმან სიპართლისათვს, რომელ ავისმოქმედი და მეკობ-
რე და უსამართლო კაცი აღარ იპოვებოდა საყაენოსა 30
მისსა, და ამისთვის დაუტევეა მწუხარება ყოველთა.

ხოლო შემდგომად მისსა დასუეს ტახტსა ყაენთასა
ძმა მისი, სახელად ხარბანდა, რომელსა უკანასკნელ
ოლჯათ სულტანი ეწოდა. რომელ ერთითა თუალითა

1 მოვიდეს d. 2—3 გაუშევებელი ბ რ ო ს ე, გაუშევებელი ხ dp. 8—ომი ძლიერი d.
8 ურიცხვი dp. 12 შვილი—dp. 13—14 რომლისა dp. 16 ესეთი ერთი dp. 18
განთენა რა s, რა განთენა ხ, განთენა dp. 23 მოსწყდა ხ dp. 24 და (ვახტანგ)—s.
24 ნოინი ps. 25 და (საპყრობილესა)—bp. 29 ავის მოქმედი dp. 32 ყაინთასა ხ dp.
33 სახელით s. 33 რომელსა რომლისა ხ dp. 34 ოლჯათ სულტანი ეწოდა ბ რ ო -
ს ე, ოლჯათ სულტანსა მისცა ხ dp.

არამხედველ იყო. და ვითარ ეძლო, იპყრობდა წესთა ძმისა მისისა ყაზანისთა, დაღათუ იყო ესეცა კაცი კეთილი. ამან მოიწყო ყოველი საბრძანებელი მისი, და ფრიად კეთილსა უყოფდა ვახტანგს.

- ამან ხარბანდამან ინება გილანს წარსლვა, და მოუწოდა ყოველთა სპათა თათართა და თვთ მეფესა ვახტანგს, და ოთხად განყო სპა თვისი: უკეთესი და უწარჩინებულესი სპა მან დაიჭირა, და მეფე ვახტანგ. და ერთი ნაწილი მისცა ხუტლუშასა, და ბექასა | ლაშქარი თვთ პირველვე მისი იყო. ერთი ნაწილი ლაშქარი ჯალირს მისცა, და ოვსნი გორს მსხდომნი. ერთი ნაწილი სულდუსსა ჩოფანსა მისცა. და თვთო თავადი თვთოსა გზასა ჩაგზავნა, და ერთს გზას თვთ ყაენი ხარბანდა, | სადა-იგი წინამბრძოლად მეფე ვახტანგ აჩინეს გილანს ყოველგნით. ხოლო გილანელნი დაღათუ მცირენი იყვნეს, არა შეშინდეს, რამეთუ იყვნეს გილანსაცა²⁶ || ოთხნი მთავარნი, რომელთა სახელები იყო ერქაბაზნ და უბაში, როსტან და ასან. ესე თვთ დადგა სიმაგრეთა შინა, შეკრა ხარხალი და ერქაბაზნ ყაენს ხარბანდას დაუდგა წინა და შემოება, და იქმნა ომი ძლიერი, რამეთუ ვახტანგ წინამბრძოლობდა. ქუეითნი გზისა სივიწრისაგან და ტყისა სივიწრისაგან არა ივლებოდეს, სადაცა მცირე ვაკე იყვის, ლამი იყვის.
- ვითარ განგრძელდა ომი, პირველ ისრითა და მერმე კრმლითა იბრძოდეს თათარნი და ქართველნი, და ხარბანდა თვთ უჭურეტდა. მცირედნი შეეწოდეს და კმითა განაძნობდეს. ვითარ შენივთდა ომი, არა შეაქციედა მეფე ვახტანგ ზურგსა, არცა სპა მისი, არამედ ადგილთა სივიწრითა მოისრვოდეს ესოდენ, რომელ ათი-

1 ვითარ] რაცა b,—dp. 2 დაღათუ] თუ ps. 2 ესეცა] ესე pd. 2~ესე იყო d. 5 ხარბანდამან bdp.' 10—11 ჯალირს ჩვ. კონიექტ., ჯალიარს bdp. 12 სალდუსსა ps, სალუსსა d, სალდუსსა b. 12 თვთო]თვითო b. 12 თვთოსა] თვთო b. 13 ერთგზის s. 13 ყაენი bdp. 14 წინამბრძოლად p. 17 რომელთა სახელები იყო] რომელ არიან სახელები მათი Mm. 17 ერქაბაზნ M, ვერქაბაზან m. 17—18 და უბაში] დუბაში Mm. 18 და ასან] დაასნ M, და ასნ T. 19 ხარხალი] ხარხალი MT, ზრმალი m. 19 ერქაბაზნ Mm, ერქაპაზნ T. 19 ხარბაღს MTm. 20~ძლიერი ომი T. 21 ქოითნი MT. 21 გზისა] ტყისა m. 22 ტყისა]—m. 25 ქმლითა M. 25—26 ხარბანდა] ხარბად MT, ხარაბად m. 27 განაძნობდეს m. 27 არა] არლა M, არლარა m. 28 მეფე]—Mm. 28 არამედ]—MTm. 29 რომელ]—MTm.

საგან ძლივ ორნი ცოცხალ იყენიან. სომხითარნი ახლ-
დეს, რაოდენიცა იპოვებოდეს ცხენსა ზედა მდგომი.
ესრეთ მოსწყედეს, მრავალნი აზნაურნი უმკვდრო გახ-
დეს, რამეთუ მამა, შვილი და ძმა, ყოველნივე მუნ ახლ-
დეს. გარნა რომელნიმე დარჩეს. თვთ ვახტანგ არა გარე-
5
მიაქცევდეს, არამედ მკნედ და ძლიერად იბრძოდეს. გან-
კვრდეს თათარნი სიმკნესა ქართველთასა, რამეთუ ვახ-
ტანგ მკნე იყო ომსა შინა და მკნედ იბრძოდა, და მცი-
რედ დაიკოდა ბარკალსა. და მიდრკა მზე და მოეახლა
ლაშე, და განიყარნეს. 10

ვითარ იხილა ყაენმან სიმაგრე ქუეყანისა, ტყითა და
კლდითა, ღამე ყოველ წარმოვიდა. ცნეს გილანელთა,
M 928 დევნა-უყვეს, და რომელთა ეწივნეს, დიდად ავნებდეს.
ხოლო ერთკერძო ხუტლუშას შვილი დაუდგა წინა.
ხოლო თავადმან გილანელთა უბაშ შეკრა მანცა ხარხა-
15
ლი, და შეაბა კარი იწროსა შესავალსა, და დაუდგა ხუტ-
ლუშას. ხოლო იგი გარდაცდა ცხენისაგან და დაჯდა
სკამითა და უბრძანა ბექას ლაშქართა ქუეითად შესლვა,
m 661 და ყვეს. შევიდეს ხარხალსა | და გარდვიდეს, და შეიქ-
ნა ომი ძლიერი აქაცა, ქართველთა და მესხთა ზედა. 20
T 342b არცა ამით შეაქციეს ზურგი, არამედ მკნედ ბრძოდეს,
და უფროსნი გილანელნი მოისრვოდეს. მაშინ სტყორ-
ცა ვინმე ისარი და ეცა თავსა შიშუელსა ხუტლუშა ნო-
ინსა, მყის მკუდარი შთაიჭრა სკამისაგან. ვითარცა იხი-
ლა შევილმან მისმან სიბუჩი სიკუდილი მამისა, მსწრაფლ
25
ივლტოდა იგი და სპა მისი, ხოლო მესხნი დარჩეს ხარ-
ხალსა შინა. მცირედნი ივლტოდეს და უმეტესნი მოის-
რნეს. და მოიწია უზომო რისხეა ღმრთისა თათართა

1 იყენეს Mm. 1—2 ახლდეს] ახლვიდეს MTm. 2 იპოვებოდა M. 3 მოსწყედეს
Mm. 3 უმკვდროდ T. 4 ახლდეს] იხილა MTm. 5—6 არა გარე არა მიაქცევდეს Mm,
არა გარე მიაქცევდა T. 6 მკნედ და]—Mm. 7 სიმკნესა] + ზედა T. 11 ყანმან M,
ყენმან m, ყანმან T. 12 ყოელ T. 12 წარმოვიდეს m. 13 და]—m. 13 აენეს T. 14
ხუტლუშას M, ხუტლუშას m. 15 თავადი MTm. 15 უშიშ Mm, უშიში T. 15
შეკრნა MTm. 15—16 კარკარი Mm, კარკალი T. 16 შეაბა] შეება Mm. 16 ვიწროსა T.
16 შესავალსა Mm. 16—17 ხუტლუშას MT, ხუტლუშას m. 18 ქოითად MT. 19 და
ყვეს]—Mm. 19 ხარხალსა ჩვ. კონიექტ., ტაძარსა MTm. 19 გარდავიდა m,
გარდავიდეს T, და გარდვიდეს და გარდვიდეს M. 21 ჰბროძედეს M. 22 და]—MTm.
22 გილანელი m. 23 და ეცა] და დაეცა m, დაეცა T. 23 ხუტლუშა M, ხუტ-
ლუშა T, ხუტლუშა m. 24 მკუდარ Mm. 26 ივლტოდა] + ივლტოდა m. 26 იგი]—m.
26 ხარხალსა ვახუშტი, ტაძარსა Mm, ტარსა T. 27 ივლტოდეს]—m. 27 უმეტეს-
ნი (უმეტეს m) + ივლტოდეს და კიდეცა Mm.

და შესხთა ზედა, რამეთუ უკანით, სადა ბრინჯი დგომილ იყო ვაკესა შინა, ღამით წყალი ჩაეგდო. ესრეთ ღამი შექმნილიყო, ვერცა ცხენი და ვერცა ქუეითი ვერ გაიარდა, და იქმნა მოსრვა ძლიერი.

p_457

| ხოლო ჩოფანსაცა შემოება როსტან მელიქი ვაკესა ადგილსა, გარნა ჩოფან სძლო და იოტა სიმაგრესა შინა. არღარა შეჰყვა, არამედ წყნარად დაბრუნდა და აჩინა მკედარნი მისნი უკანამავლად. ჭავახის შვილი გამრეკელი მკნედ იბრძოდა ომსა მას, და გარდამოვიდეს მშკდობით.

M 929

ეგრეთვე უსენს | და ოვსთა შეება ასან, და სწორი ძლევა იქმნა, და იგინიცა გამოქცეულნი იელტოდეს, და მივიდეს და შეკრბეს უჟანს ხარბანდა ყაენს წინაშე.

სულდუსი ჩოფან მკედართმთავრად განაჩინეს, მონაცვალედ ხუტლუმასა, როლო მეფე ვახტანგ პატივემულყვეს, და დიდებულნი მისნი ყოველნი მკნედ ბრძოლისათვის ნიჭითა დიდითა წარმოავლინეს შინა.

T 343a

ვითარ წარვიდა ვახტანგ, მოუვდეს კაცნი ხოდრასელნი, სჯულითა საჩრკინოზნი და მტერნი ქრისტესალმსარებელთანი, ყაენსა ხარბანდას და რქუეს: „უკეთუ

არა ყოველთა ქრისტიანეთა დაატევიბინო სჯული, და ეკლესიანი არა დააქციენე, არა განგემარჯოს მტერთა ზედა, და არა წარგემართოს მეფობა შენი და კელმწიფება“.

m 662

ესე სიბილწე | წარმოსთხიეს ცუდრჯულთა. ამით ძლით ისმინა ყაენმან და იწყო რლუევად ეკლესიათა.

და წარმოავლინა ლაშქარი და ერთი ნოინთა მთავარი, რათა მოვიდეს საქართველოსა, და მეფესა და ყოველთა

d 493
b 286b

ქართველთა დაატევიბინოს სჯული და საჩრკინოზად შექმნას და ყოველსა საქართველოსა | შინა დაარღვენეს ეკლესიანი.

30

1 ბრინჯ მ. 3 კოითი MT. 4 და)—MTm. 5 შამოება M. 5 მელქი M. 7 დაბრუნდეს T. 8 აჩინა მ. 8 მკედართ მთავარი Mm. 8 უკანა მავალად M. 9—10 გარდამოვიდეს Mm. 10 მშკდობით) + ეგრეთვე უსენს მკნედ იბრძოდა ომსა მას და დაგარდამოვიდეს მშვიდობით Mm. 11 შება M. 12 ასან s, დაიქსნა M, დაიხსნა m, და იქსნა T. 13 შეკრბ M, შეკრბა m. 13 ხარბანდა] ხარბდან MT, ხარაბდან m. 13 ყენს m. 14 მკედართ მთავარად m. 15 ხუტლუმასა MT, ხუტულუმასა m. 16 დიდებულნი] ბ^ეულნი Mm. 18—19 ხოდრასნელნი m, ხოდრისელნი T. 20 ყენსა m. 20 ხარბანდას] ხარბათს M, ხარბადს T, ხარაბთს m. 22 დააქციენე T. 23—24 და კელმწიფება])—Mm. 25 ძლით] რომელთა Mm. 25 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T. 25 და])—m. 28 შექმნეს T. 29 ყოველთა T. 29 დაარღვენეს Mm, დაარღვევინოს T.

და ეწია ნახკევანს წარმოსლვასა ვახტანგს ესე წარ-
მოვლინებული ნოინი, ხოლო მეფე ვახტანგ არა შეშინ-
და, არამედ განმკნდა, და უმეტეს მოავსენებდა სიმკნეთა
და ღუაწლთა ქრისტეს ღმრთისათვის და რქუა სპათა თვის-
თა: „კაცო, ძმანო და ერთსჯულნო, და ქრისტეს ღმრთი- 5
სა ჰეშმარიტად აღმსარებელნო, უწყით სჯული მამათა
მიერ, და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა, და
უწყით ღუაწლნი და ახოვნებანი მოწამეთანი, და გიხილ-
ვან თუალითა თქუენითა ტაძარსა შინა მათსა სასწაულნი
M 930 უქრიცხუნი, და გასმიეს სახარებასა შინა უტყუელისა 10
პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე
კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცა-
თასა“, და კულად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მამუ-
რალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“. აწ
ნუ შეძრწუნდებით, წარვიდეთ ყაენს წინაშე და დავ- 15
დვით სული ჩუენი მისთვის, რომელმან დადვა სული
T 343b თვისი ჩუენთვის. პირველად ჩუენ მიქსცეთ თავნი ჩუენ-
ნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა, და მან და-
იკვას სამწყსო თვისი“.

ვითარ ესმა სპათა ვახტანგისთა, სიხარულით შეი- 20
წყნარეს ბრძანებული მისი, მყის წარემართნეს ურდო-
სა და მივიდეს ყაენს წინაშე. ხოლო ყაენი განკვრდა მის-
ლვასა მეფისასა²⁷. და მივიდეს კარსა ყაენისასა და
მუკლნი დაიდგნეს, და რქუა მეფემან კმითა მალლითა:
„ისმინე, მაღალო და ძლიერო ყაენო. მოვიდა ბრძანება, 25
რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტეოთ სჯული ჩუენი.
აწ ისმინე: ბედნიერთა პაპათა და მამათა თქუენთა კმო-
ნა და მსახურა პაპამან და მამამან ჩუენმან ამით სჯუ-
ლითა, და აროდეს გუასმიეს, თუ სჯული ქართველთა |
p 458 ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ყოფილვართ ყოველ- 30
თაგან. და სპარსთა სჯული უფროს საძაგელად შეეარაცხა
პირველთა ყაენთა. ამისთვისცა იგინი მოსწყვდნეს, რა-
მეთუ იყვნეს მწამლველ და მამათმავალ და კაცის-

1—2 ესე წარმოვლინებული... ვახტანგ]—MTm. 3 და]—Mm. 5—6 ღმრთისა]—
m. 6 ჰეშმარიტნო T. 8—9 გიხილავს Mm. 9 ტაძარსა შინა მათსა]—Mm.
9—10 ~ ურიცხვნი სასწაულნი T. 11 აღიაროს T. 11 მე]—MTm. [12 იგი]—MTm.
14 თქუენ]—m. 15 ყანს M, ყენს M, ყინს T. 16—17 სული თვისი]—Mm.³ 19 თვს M.
20 ესმათ m. 21 წარმართნეს T. 22 ყანს M, ყენს m, ყინს T. 22 წინა Mm. 22 ყანს
M, ყენი m, ყინი T. 23 ყინისასა bdp. 25 ყინო bdp. 25 მოვიდა ხს]—dp. 26
რათა ყა უ ხ ჩ., თავთა bdp, თავთა რათა s. 32 ყინთა bdp.

d 494
b 287a
მკლველ. და აწ თუ სიტყუასა სპარსთასა ისმენ, ყაენო, მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენ წინაშე არიან, და | მე მზა ვარ სიკუდილად სჯულისათვს ქრისტიანობისა, და მერმე ესე ყოველნი, შენ წინაშე მყოფნი ქრისტიანენი. აჰა, თავნი ჩუენნი წარგუჯუეთენ“. და წარუპყრაცა ქედი. და ვითარ ესჰა ყაენსა სიტყუა ესე, განკვრდა და პატივ-სცა მეფესა, და სიტყუთა ტყბილითა აღადგინა და შეინანა, და აბრალა, რომელთა აქმნევიენეს.

ხოლო იქმნა ესეცა, რომელ არღუევედეს თავრევს ეკლესიათა, არამედ ოთხსა დღესა შინა ოთხნი შვილნი ხარბანდასნი დიკოცნეს, სახელით ბასტამ და მას ზედანი. და ესრეთ წარდგომილმან მეფემან დაქსნა შური და შფოთი მომავალი საქართველოსა ზედა.

ხოლო წარმოვიდა ვახტანგ პატივეცემული, და მოვიდა მუნვე ნახჭევანს, შეედეგა საღმობა მუტელისა და მოკუდა შემკული გვრგვინითა მეფობისათა. და წარმოიყვანეს და დამარხეს დმანისს. და დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშულდე.

M 930
T 343 b
m 662

და ვითარ კელთ-უდევს მკედართმთავრობა თვთ ხუტლუშასი ჩოფანს²⁸, || წარმოემართა ჩოფან ლაშქრითა ურიცხვთა. პირველ მოვიდა კოლა-არტანს ვიდრე არსიანადმდე და აცნობა ბექას, რათა ნახოს ყაენი ანუ ჩოფან, რომელ არა თავს-იღვა ბექამან, არამედ შვილი მისი უმრწამესი თანაწარატანა, სახელით შალვა. წარვიდა და ჩავლო სომხითი, და დარჩა ქუეყანა ბექასი მშკლობით.

m 663

| ხოლო აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა²⁹, რომელი წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა, და მან მიიყვანა ყაენს წინაშე. ხოლო მან პატივითა შეიწყალა და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა. ამან ყაენმან წარმოავლინა მოციქული და სთხოვა [დავითს]

1 ყაენო bdp. 3—4 მე მზა ვარ სიკუდილად s, ~სიკუდილად მე მზა ვარ ს, სიკუდილად მე მზა ვარ სიკუდილად dp. 6 წარუპყრა bp. 7 ყაენსა bdp. 11 არამედ s, პირველად dp,—b. 12 ბასტამ bd, ბარტამ p. 12—13 ზედანი ts, ზედა dp. 15—16 მოგდა s, გარდმოვიდა; bdp. 22 ხუტლუშასი d, ხუტლუშასი ps, ხუტლუშულასი ს. 22 გარნა წარმოემართა Mm. 24—25 ანუ ჩოფან]—Mm. 26—27 და წარვიდა T. 29 ძემან] მზემან MTm. 29—30 მეფის გიორგისმან m. 32 ყანს M, ყენს m. 33—34 ყენმან m. 34 წარმოუვლინა მოციქული დავითს ბ რ ო ს ე.

- M 931 შვილი, რათა მეფე-ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი, იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს | ურდოსა³⁰, და ყაენ-მან მოსცა მეფობა და ტფილისი და უჩინა მოძღურად და საქმისა მოურავად დიდი | გიორგი, და მივიდეს ტფილისს. 5
- b 287b და ამას წელსა მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა, კაცი წარმატებული ყოველსა | შინა, სიკეთელმატებული საღმრთო-საკაცობოთა საქმეთა და უმეტეს საძარ-თლისმოქმედებითა, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებლობითა, სოფლისა კეთილად მორწმუნეობითა, გლახაკთა უზომოთა | მიცემითა. ხოლო საყუარელი მეუღლე მისი იყო გამცემელ ეპისკოპოზთა და მონაზონთა და ყოვლისა სამღდელოსა და საეკლესიოსა სოფლისა ესოდენ, რომელ საღმე ესმის კეთილი მოღუაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი, გინა მონაზონი, მის წინაშე მოუწოდის და მოიყვანის, და მრავლითა ნიჭითა და პატივითა ამყოფის. და სავსე იყო სახლი მისი მონაზონთა და ხუცითა. ამას თანა აქუნდა შეწყნარებულობა ობოლ-ქურივთა. ხოლო სახლსა მისსა არა დააკლდებოდა სამსამი ლოცვა. ამისთვისა წარუმართა ღმერთმან დღენი ცხორებისა მისისანი. მტერთა ძლევისა, მშვიდობასა და დაწყნარებასა მიიცვალა ვითარ სამეოცდაექუსისა წლისა, და დაუტევა გლოვა და მწუხარება უზომო მკვდრთა სამცხისათა. და დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის, და შედეგმან ყუარყუარე და უმრწამესმან შალვა. 20
- m 664 ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ, და დაფლეს სამარხოთა მეფეთასა | მცხეთას, და დაუტევეს ნაცვლად მისად ძე მისი მცირე გიორგი, ორ წელ მეფექმნული. 30
- M 932 შემდგომად ამისა ინება ყაენმან ამკედრება ქუეყანასა შამისასა, ციხესა, რომელსა ეწოდების რაბაშამი,

1 გიორგი]—T. 2—3 ყენან m. 3 მოძღვრად ბროსე, საზღვრად Tm, მზრდელად ვახუშტი. 7 წარმატებულ m. 7—8 სიკეთელმატებულო]—Mm. 8 ყოველსა შინა საღმრთო საკაცობოთა T. 9 და]—MT. 10 მორწმუნეობითა]—Mm, მორწმუნეობითა T. 13 სოფლისა] საქმართა ს, ყაუხჩ. 14 კეთილი]—თა MT. 16 და (მრავლათა)]—m. 17 მონაზონითა T, მონაზონითა m. 18 შემწყნარებლობა T. 18—19 ობლისა თა ქერივისა m. 20 ამისთვისა m. 21 ძლევისა]—თა m. 22 და მიიცვალა m. 22 ვითარ]—m. 25 უხუცესსა m. 25 შემდეგმან M. 25—26 უმრწამესმან T. 27 ხოლო]—T. 27 მესამე] მკურესა m. 27 და]—MT. 29 მისად] მისდა m. 31 ამის m. 31 ყენან m. 32 რაბაშამი m, რაბაშანი MT.

რომელი აქუნდა სულტანსა მისრელსა. წარვიდა ძალითა
თვსითა, და თანაწარიტანა ლაშქარი დიდი, და გარემო-
ადგა რაბაშამს ხუთ თუე, და ვერა აენო, აიყარა და წარ-
ვიდა. და ჰყვა ექუსი არწივი, დამართული სხუათა თანა
მფრინველთა და ავაზათა აქათ, ესოდენ დიდი იყო ძალი
მისი. მოვიდა ყაენი შინა და მიერთვან არლარასადა
განილაშქრა დღეთა მისთა, იყოფოდა მშვდობით და ნე-
ბიერად, ათცამეტ წელ დამპყრობელი ყაენობისა.

T 344b

ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორ-
გი მეფედ, და ზაალ მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი,
და ახრუჩი, მამისძმა ჩოფანისა, თანაწარმოიტანა, რათა
ყოველი საქართველო ერთად შეეკრიბონ მეფობასა შინა
გიორგისსა. და აჩინეს ამათ შანშე მკარგრძელი და ზაქა-
რია, ავაგის ასულის ხუაშაქის ნაშობი. მივიდეს ჭავა-
ხეთს, მიერ კოხტისთავსა, და აწუევედეს სარგისს და
ყუარყუარეს გამოსლვად, და არა ინებეს.

ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს,
და განუდგეს ოლჯათ სულტანსა ფარვანას შვილნი და
ქალაქი დიდი კონისა. მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან
სპითა მისითა საბერძნეთს და თანაწარატანა ქართველ-
ნიცა. და წარჰყვა გიორგი ჩოფანს, ხოლო გიორგი
[მცირე], ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს
თანაჲ, წარვიდეს და აიყარნეს, და ტფილისს შევიდეს.
და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ
წინააღუდგეს ფარვანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ.
და ყოველნი მას შინა მყოფი ქართველნი მოსცა მეფესა
გიორგის. იახლნეს ჭავახნი და თორელნი ოდენ ყვეს,
და სადაცა ილაშქრიან და შეიბიან ციხესა, მკნედ მბრძო-
ლად გამოჩნდის მეფე გიორგი და ყოველნი ქართველ-
ნი. ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და
ურჩნი, და მოქცევასა | წელიწადისასა მივიდა შინა.
და სთულისა ჟამსა, ვითარ მივიდა ჩოფან ყაენს წინაშე,

m 665

1 მისრელსა] მისრეთსა M. 3 რაბაშამს] რაბაშამას M, რაბაშამასა m, რაბაშანს
T. 4 თანა]—m. 6 ყენი m. 8 ყენობისა Tm. 9 სულტანი Tm. 10 ზალ მალუქ
Mm, ზალ მელიქ T. 10 ხორასნელ T. 11 თანა წარმოიტანნა m. 13 გიორგისა m, გო-
გასა T. 17 შინა]—ინებეს ამათ ჟამთა შინა T. 18 ფარვანას ჩვ. კონიექტ., ფარ-
მანის Tm. 21—22 გიორგი [მცირე], ზაალ მელიქ ჩვ. კონიექტ., გოგაზილა მალუქ
Tm. 24 მეფე გიორგი]—T, m-ში ჩამატ. წითელი მელნით. 25 ფარვანიანი ჩვ. კო-
ნიექტ., ფარმანიანი T, ფარმანიანი m. 25 მას შინა] მაშინა Tm. 27 და]—m.
28 სადაც m. 28 ციხესა]—m. 30 მოიმორჩილნის m. 31 მივიდის m. 32 ყენის m.

T 345a და მცირედლა დაყო, ვითარ თუეცა ერთ, მოკ|უდა ოლ-
ჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე, ვითარ შუდისა
წლისა, სახელით აბუსაიდ. ხოლო იგი მიასუენეს და
დაფლეს ქალაქსა, რომელსა ეწოდების ყორლოილანგი,
რომელი მან აღაშენა და განაერცო უმეტეს თავრეყისა 5
და უწოდა სახელად სულთანია³².

ესმა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ
დადგინება აბუსაიდისა, და წარვიდა ურდოსა. შეიწყნა-
რეს, და განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი,
და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი 10
საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხ-
ნი, შვილნი ბექასნი.

და იწყო მთიებმან აღმოჭკრვებად, ხოლო მე ენა ვერ
მიძრავს საკრველისა და საშინელისა თქუმაღ³³.

1.—2 ოლჯთა მ. 3 აბუსაიდ ჩვ. კონიექტ., მუსით T, მუსაით მ. 4 ყორ-
ლოილნგი T. 5 რომელი მან ყაუხჩ., რომელმან Tm. 5 თავრეზისა T. 6 სახე-
ლად] სახლად T. 6 სულთაჩია ჩვ. კონიექტ., სულ Tm. 7 ყენისა მ. 8 აბუ-
საიდისა] მუსაითისა Tm. 9 და (განიხარა)—T. 11 დავით მეფისანი მ, დავითისა T.
13 აღმოჭკრვობად Tm.

შანიშვიძე

I

1. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში აქ მოტანილია სათაური: „მესამეოცე მეფე ლაშა გიორგი, რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუეყანის მანათობელად, ძე თამარ მეფეთ მეფისა, ზაგარტოანი“ (სათაურები ყველგან მოტანილი გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ რუმინანცევისეული ნუსხის მიხედვით).

2. ამის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „ამბავი ჩინგიზ ყაენისანი, თუ ვითარ გამოჩნდეს ქუეყანასა აღმოსავლეთისასა“.

3. ჩინი ცენტრალურ ჩინეთს ნიშნავდა, მაჩინი (მანზი) სამხრეთ ჩინეთია. სპარსულ-არაბულ წყაროებში ჩინი და მაჩინი ჩრდილოეთ ჩინეთის, ანუ ხათაის აღსანიშნავად იხმარებოდა. როგორც შესაბამისი კონტექსტებიდან ჩანს, ქართველი ავტორი ჩინ-მაჩინში საკუთრივ მონღოლეთის ტერიტორიას გულისხმობდა.

4. მონღოლთა სახელმწიფოს დედაქალაქი ყარაყორუმი შედარებით უფრო გვიან, 1220 წელს დააარსა ჩინგიზ ყაენმა მდ. ორხონის ზემოწელში. მწიგნობრობა 1235 წელს დაასრულა ჩინგიზის ვაჟმა და მემკვიდრემ უგედეი (ოქოთა) ყაენმა.

5. ამჟამად გამორკვეულია, რომ ცნობები ჩინგიზ ყაენის პერიოდის მონღოლთა შესახებ ქართველ ავტორს ამოღებული აქვს XIII საუკუნის ცნობილი ირანელი ისტორიკოსის ალა ად-დინ ათა მალიქ ჭუვეინის „ქვეყნის დამყარების ისტორიიდან“ (რ. კოკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები. — კავკასიურ-აზლოაღმოსავლური კრებული, II. თბ., 1962; მისივე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I. თბ., 1962, გვ. 61—87). მასვე უნდა ესარგებლა აგრეთვე ზებირი წყაროებით (Б. Я. Владимирцов. Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке. — Известия Российской АН. VI серия, т. XI, с. 1495—1496. Г. В. Цулая. Грузинская книжная легенда о Чингис-хане. — Советская этнография. 1973, № 5, с. 120, 122).

6. Q ნუსხაში ამის გასწვრივ აწიზე მინაწერია: „(თათ)რული (ათო)რმეტის იან-ვარი ამათ მ...“.

7. ეპითაღმწერლის მონღოლური ლექსიკა შეისწავლა აკად. ბ. ელდამარტოვმა, რომელმაც აღნიშნა ქართველი ავტორის ცნობათა სიზუსტე და მათი დღი მნიშვნელობა დასავლეთში წამოსულ მონღოლთა ენის შესწავლისათვის (Б. Я. Владимирцов. Анонимный грузинский историк XIV в. о монгольском языке).

8. ან სიტყვის გასწვრივ მარიაპისეტლ ნუსხაში მიწერალია (ე. თაყაიშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის ხელით): „ყაპუხუნა მაიმუნსა ჰრქანა“.

9. ამ ტომობრივი სახელების შესახებ იხ. Г. В. Цулая. Грузинская книжная легенда о Чингис-хане, с. 118—119.

10. ონ-ხანი (ენ-ხანი) ნესტორიანული ქრისტიანი ჭერათების მონღოლური ტომის მეთაური იყო, სახელად თოდორილი. ეანის ანუ მეფის ჩინური წოდება მან ჭურ-

ჯენტა ცინის სახელმწიფოს მთავრობისგან მიიღო. ჩინგიზ ყაენის გაძლიერებამდე ონ-ხანი ყველაზე გავლენიანი გამგებელი იყო აღმოსავლეთ მონღოლეთში (История Монгольской народной республики. М., 1967, с. 111).

11. აღმოსავლური წყაროების მიხედვით მათი სახელებია ქისლიქ (ქიმლის, ყიშლიყ) და ბადაი.

12. ალთუნ-ხანებს („ოქროს ხანებს“) მონღოლები უწოდებდნენ ცინის („ოქროს“) დინასტიის იმპერატორებს.

13. გურ-ხანი ყარა-ხითაის სახელმწიფოს მბრძანებელთა ტიტული იყო. ამავე სახელს ატარებდა ონ-ხანის ბიძა (Рашид ад-Дин. Сборник летописей, I, 1, М.-Л., 1952, с. 131; I, 2, М.-Л., 1952, с. 45). აქ იგულისხმება ჩინგიზ ყაენის „ანდა“ (ძმადნაფიცო) და თანამებრძოლი, შემდეგ კი მოსისხლე მტერი, ჭაჭირათის ტომის მეთაური ჯამუყა, რომელმაც ასევე მიიღო გურ-ხანის წოდებულება (Рашид ад-Дин. Сборник летописей, I, 1, с. 165; С. А. Козин. Сокровенное сказание. М.-Л., 1941, с. 116, § 141; Книга Марко Поло. М., 1955, с. 274).

14. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში იკითხება „სარჩუყ“, ჭუვეინის მიხედვით მისი სახელი ყოფილა „ბარჩუყ“ (რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 143).

15. შესაძლებელია იგულისხმებოდეს ყარა-ხითაების სახელმწიფო შუა და ცენტრალურ აზიაში (1140—1213).

16. არსლან-ხანი თურქული მოდგმის ყარლუღთა სახელმწიფოს მუსლიმი გამგებელი იყო. ჩინგიზ ყაენს დამორჩილდა 1211 წელს (В. В. Бартольд. Сочинения, т. I. М., 1963, с. 471—472, 510; т. V. М., 1968, с. 547—548).

17. მარიაძისეულ ნუსხაში ამის შემდეგ ჩანაწერია: „ღმერთო, წარმართე ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა დედოფალი მარიამ“.

18. როგორც გამოირკვეა, ეს სათაური ეპითაღმწერელს გადმოღებული აქვს ჭუვეინის თხზულებიდან (რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 146).

19. ჩინგიზ ყაენის უფროს ცოლს სახელად ერქვა ბურთე-ფუჯინი, ჭუვეინი კი მას იესუნჯინს უწოდებს. ეპითაღმწერლის „სევიწყები“ სწორედ ჭუვეინის თხზულებიდან უნდა იყოს აღებული (რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 146—147).

20. იამა მონღოლური ჯებეს თურქული ფორმაა (ასე ხმარობს ამ სახელს ჭუვეინი), ზოლო სანჰიანი (სანჰიანი, სალჰიანი) არის დამახინჯებული სუბუღაი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იამა და სუბუღაი ეპითაღმწერლის ამჟამად ცნობილ ტექსტში „ზემოთ“ არსად იხსენიებიან (Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, I. SPb., 1849, p. 392; რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 150—151).

21. ძველი რედაქციის ნუსხებში ეს სიტყვა შერყენილია: და სრულდა, და დასრულდა, და ასრულდა. ვახტანგის კომისიამ არასწორად გაიაზრა ტექსტი: „და აღესრულა მეფე ლაშა“ (ასევეა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც, გვ. 166), რადგან მომდევნო თხრობის მიხედვით, მეფე ცოცხალია და ანდერძს უბარებს მახლობლებს. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან ირკვევა, რომ „ასწლოვანი მატინის“ თავდაპირველ ტექსტში საუბარი იყო ლაშა გიორგის დასნეულების შესახებ: „გაბდა ავად მეფეთა მეფე გიორგი, დასნეულდა“. — ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. II-2140.

ფ. 50ა (37ა). ფ. გორგიჯანიძის ისტორიული თხზულების ავტოგრაფული ნუსხა შემოხვევით ორად იყო გაყოფილი, დამოუკიდებელი პაგინაციითა და ცალკე შიფრებით (H-2492 და H-2140). ამჟამად ეს ორი ნუსხა გაერთიანებული და გადანომრილია. ჩვენ ორივე ნუმერაცია გვაქვს ნაჩვენები (ფრჩხილებში — ძველი).

22. ამის გასწვრივ Q ხელნაწერში აშიაზე მინაწერია: „(გარდაი)ცვალა ლაშა გიორგი“.

II

1. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ამის წინ მოტანილია სათაური: „მესამეოცდართე მეფე, რუსუდან, ძე თამარ მეფეთ მეფისა და დაჲ ლაშა გიორგი მეფისა, ბაგრატიანი“.

2. სიტყვები „კაცი აქამოდღე გარნა სათნობანი“ ვახტანგის კომისიამ გაუგებრად მიიჩნია და არ შეიტანა რედაქტირებულ ტექსტში. ასევე გამოტოვებულია ეს სიტყვები ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 169). ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, იგნავ იყო „კაცი აქამდისინ მგონიერი და სათნებანი“ (ფ. 51 ბ).

3. ამის შემდეგ ძველი რედაქციის ნუსხებში ტექსტი არეულია. ვახტანგმა შენიშნა ტექსტის არევა და მარიამისეულ ნუსხაში მიუთითა: „ეს“ (გვ. 746) „აქ უნდა“ (გვ. 749).

სიტყვები „ხვევ-სალმასელთა“ გადმოვიტანეთ მომდევნო თხრობიდან (M 749, Q 164a, T 257b, m 522: „განელთა და ხვევ სალმისელთა“), სადაც ეს ნაწყვეტი ფურცლების არევის გამო ჩარჩენილია. ხოი და სალმასი ირანის აზერბაიჯანის ქალაქებია.

ვახტანგისეული რედაქციის ტექსტში ამ ადგილას ჩართულია განსხვავებული თხრობა, რომლის გასწვრივ რუმინაეციისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „აქა წმიდა შალვა წამების გვირგვინით იღიდა“.

4. ამის გასწვრივ მარიამისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვახტანგის ხელით): „რუსუდანის ქმარი აქ ნახეთ თუ ვინ არის, ან ვისი შვილია“. იგივე მინაწერი გადაუღია მაჩაბლისეულ ნუსხის გადამწერს: „რუსუდანის ქმარი აქ წაიკითხეთ თუ ვინ არის, ან ვისი შვილია“.

Q ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „აქა რუსუდან (ი)ქორწინა უმსგავს და უკადრიხლად მოყუარი ძმისათვის“.

რუმინაეციისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „აქა იქორწინა მეფემან რუსუდან (ო)რტულის შ(ვი)ლთან და მის(ს)გან იშვა ნარინ დავით და თამარ ყიასდინ...“

5. ძველი რედაქციის ნუსხებში ეს ადგილი შერყენილია („იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლეულთა მიუვლინეს კაცი სულტანსა...“). ვახტანგის კომისიამ ასე აღადგინა ტექსტი: „იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ბრძოლა აჩუენეს ქართველთა. მერმე მას ღამესა მიუვლინეს კაცი სულტანსა...“ როგორც ვხედავთ, ფრაზაში ტავტოლოგიაა (ძლიერი ბრძოლა, ბრწყინვალე ბრძოლა) და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქართველებმა გაუგზავნეს კაცი სულტანს. ს. ყაუხჩიშვილმა ივარაუდა, რომ „[სპარსთა ტფილელთა] მიუვლინეს კაცი სულტანს“ (გვ. 174). ვახტანგის კომისიის აღდგენას და ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურას ადასტურებს ფ. გორგიჯანიძე: „იქნა ძრიელი ომი და კარგად იყვენენ მოქალაქენი, და იმ ღამეს ბრწყინვალე ბრძოლა აჩუენეს სპარსთა და მოქალაქეთა, მაგრამ ვერ გაუძლეს ომთა მათთა, ღონე გაუწყდა და ქალაქის მისაცემლათ სულტანს კაცი გაუგზავნეს სპარსთა“. — ფ. 55ა (42ა).

6. Q ნუსხაში ქვემო კიდებზე მიწერილია: „ესე ანბავი ვერ ვცან, უფალო ჩუენო“ (ნესტერად).

7. იმავე ნუსხაში ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე ნუსხურად მიწერილია: „იერუსალიმსა“.

8. R ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „აქა ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა და მრავალნი წამების დიდებითა იდიდნეს“.

9. Q ნუსხაში ამ სიტყვის გასწვრივ დედნისავე ხელით ნუსხურად მიწერილია: „ბერძული“.

10. იმავე ნუსხაში ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „ქ. რუსუდან გ(იო)რგის დამან დაიფიყ(ა) სიყვარული ძმისა თვ(ისისა), რ'ლი დავითს უანდერძ(ა) საქართველო, გარნა შურის ძიებით (გაუგზ)აენა თავის სიძეს (ყიასადი)ნს სასიკვდილოდ, რათა მეფობა მისცეს(ს) თავის შვილს დავით(ს). ნახეთ ღმერთი რას(ა)...“

11. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებშია „ყუთაყი“, ჭუვეინი ასახელებს „ყოზაყს“ (რ. კიკნაძე. ეპითალმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 149).

12. Q ნუსხაში ამის გასწვრივ აშიაზე მინაწერია: „საცა ადრბადაგან(ი) სწერია, აღრიბეჯანი“.

13. ვახტანგის კომისია ვერ გაერკვა შერყენილი ფრაზის შინაარსში და სულ გამოტოვა სიტყვები — „არა ყენ ჩალატას, არამედ ნოინ ჩალატას“. ასევე გამოტოვებულია ეს ფრაზა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (დაწვრ. იხ. რ. კიკნაძე. ეპითალმწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი. — ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 124—126).

14. ვახტანგის კომისიამ არასწორად გაიაზრა ეპითალმწერლის ფრაზა და წარმოიდგინა, რომ „ესე ოთხივე ნოინნი ყენის შვილები იყვნენ“, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლოა. ასევეა ეს წინადადება დაბეჭდილი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 184).

15. სიტყვები — „რა ეამს ცნა მუხას ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი და თვთ პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოჯრდა ქალაქი ტფილისისა“ — არ არის „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში და ვახტანგის კომისიის ჩანართად ითვლებოდა. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ეს წინადადება პეტრიტით არის დაბეჭდილი (გვ. 187). როგორც ირკვევა, ეს სიტყვები იყო ძველი რედაქციის ტექსტის შემცველ ნუსხაში, რომლითაც სარგებლობდა ფ. გორგიჯანიძე: „ესმა მუხიძეს წამოსვლა თათართა, აპყარა ქალაქი და ციხე ცარიელ(ი) დაუგდო, და პალატი გაუშვა აობრებული“ — ფ. 58ბ (45ბ).

16. ფრაზა — „და ქალაქი ტფილისი მათვე დაიპირეს“ — მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში გვხვდება, მაგრამ ფ. გორგიჯანიძე ადასტურებს, რომ ის ყოფილა ძველ ტექსტშიც: „და თბილისს ქალაქი თავისთვის დაიპირეს“. — ფ. 60ა (47ა).

17. თხზულების ამ ადგილმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. კერძოდ, ინტერლან იწვევს საკითხი თუ ვის ენება ნემატობა სატყეები „არაართა ნიჭთა და ზნეა: სამამაკოთა მკონებელი“. ეროზნი აუგს აქუთენებენ ამ აოცთუ საქებარ დახასიათებას, შერაენი — შოთა კუპრს. ფ. გორგიჯანიძის ჩვენების საფუძველზე გაიკვია, რომ დასაძლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსულ რუსუდანს ახვა ქართველ დიდებულლებთან ერთად შეეგება ეგარსლან ბაკურტიხელიც და სწოლედ მიატესანებ ამზობს ეპითალმწერელი, რომ ის იყო „არაართა ნიჭთა და ზნეთა სამამაკოთა მკონებელი“ (დაწვრ. იხ. რ. კიკნაძე. რამდენიმე დაკვირვება ეპითალმწერლის თხზულების ტექსტზე. — მაცნე, ისტორიის სერია, 1976,

№ 2, გვ. 145—153; რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საკითხები, I. თბ., 1982, გვ. 105—117).

18. ამგვარად, არ დასტურდება ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული შეხედულება თითქოს დავით რუსუდანის ძეს მეფედ დამტკიცების შემდეგ უწოდეს მონღოლებმა ნარინი, უფროსი დავითისგან გასარჩევად, და თითქოს ნარინი „უმეროსს“ ნიშნავდეს (ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართული ერის ისტორია, III. — თბულებანი, ტ. III. თბ., 1982, გვ. 51; ივ. ჭავჭავაძის შვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჭანაშვილი. საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1943, გვ. 208; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. თბ., 1979, გვ. 577). ეპითალომწერელი მონღოლეთში გამგზავრებამდე უწოდებს დავით რუსუდანის ძეს „ნარინს“ (ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ იხ. ჯ. გიუნაშვილი. ტერმინ ნარიყალას მნიშვნელობისათვის. — ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 316—317).

19. თბულების ამ ადგილის შესახებ იხ. ალ. გამყრელიძე. ეპითალომწერლის „ქარისოს“ || „ქარისოს“ || „ქარისოს“. — ქართული წყარომცოდნეობა, III. თბ., 1971.

20. Q ნუსხაში ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „აქა რუსუდან გარდაიკვალა“.

III

1. ვახტანგიეული რედაქციის ტექსტის მიხედვით, ეგარსლანი იყო „აკაცი ღრმად მოუბარი, მკნედ მეომარი და არას საქონლისა პატრონი“. ამ საკითხზე დაწვრი. იხ. რ. კიკნაძე. რამდენიმე დაკვირვება ეპითალომწერლის თბულების ტექსტზე. ქართველოს დღემებად დაყოფის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან. — ახლომცოდნეობის კრებული. თბ., 1983.

3. Q ნუსხაში ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „იხილეთ სასწაულნი საკვირველნი ყოვლად წმიდის ღმრთისმშობლისანი“.

4. იმავე ნუსხაში ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე წერია: „კოსტანტი“ (ნუსხურად).

5. მარიაამისეულ ნუსხაში ამის შემდეგ ჩართულია: „ღმერთო, დაიკეთე ორსავე ცხოვრებასა დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი ოტია“.

6. ვახტანგის კომისიამ არასწორად გაიზარა ტექსტი და ისე წარმოადგინა საქმე თითქოს ეგარსლანი იყო „აკაცი საკვრევი და მკვდრობის ცოდნითა აღსაკვე“. ასეთივე წაკითხვაა გაზიარებული ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 212). დაწვრი. იხ. რ. კიკნაძე. რამდენიმე დაკვირვება ეპითალომწერლის თბულების ტექსტზე.

7. მაჩაბლისეულ ნუსხაში ამის შემდეგ ჩართულია შემდეგი ტექსტი: „შანშე მანდატურთუხუცეს[ს] ქორწილი ქონდა ასულისა თვისისა მაჩაბელთანა. ქართლის ერისთავი გრიგოლ მაყრათ თან ახლდა მაჩაბელსა. იქ დაესწრნენ ვანის ომში. ხუცესმა ჭვარის დაწერა ველარ დასწრა და მღვდელს მოუწოდა, რათა გვირგვინი აეკვალა, და მას უკან თუ მოუჩრიო, მერე დამწერე ჭვარიო. მღვდელმა არ ეკლ-ყო, შეუსრულა, და მას დღესა არა ისაიღეს. ხოლო მან შანშემ მოუწოდა...“

8. ამის გასწვრივ მაჩაბლისეულ ნუსხაში აშიაზე მინაწერია: „ესე ონხან არის ძე ოთმან ანუ ოსმან სულთნისა, რომელიც შედ გაუქმებისა ხალიფობისა ბაღდადი-სასა, აქუთ სულთანად ბურასას წელსა ქრისტეს აქეთ ჩტსა წელსა, რომელმანცა იმეფა კვ წელი“. ეპითალომწერლის ტექსტში მოხსენიებული ონხანის (ორ-ხანის) დაკავშირება ოსმანის ძესთან, ორხანთან, (1324—1360), რა თქმა უნდა, ანაქრონიზ-შია.

9. ამის შემდეგ MQTin ნუსხებში სათაურის მსგავსად წერია: „აქა ომი ავნის (ვანის Mm) ვაქეს“.

10. m ნუსხაში ტექსტი შეცვლილია. ნაცვლად სიტყვებისა — „რამეთუ კაცმან ვინმე აზნაურმან კაცსა ერთსა თურქსა მუზარადსა შინა კრმლითა თავი გაუპო“, წერია: „ხოლო მაჩაბელმან უყოლა, არა არს ეამი მაქათა სუსტათ ცემისაო. ერთსა სახელოვანსა ბერძენსა გულთა ფიცართა [ქერა] და ორად განკვეთა, რამეთუ შესხი ვინმე წამოდგა და ერთსა თურქსა მუზარადსა შინა თავი გაუპო“.

11. ამ სიტყვის შემდეგ m-ში ჩართულია: „შემოსახა მაჩაბელმა, კლმის მოქნე-ვა ასე უნდაო“.

12. სინამდვილეში, როგორც ეს შემდგომი თხრობიდანაც ჩანს, პაპა ერქვა არა ივანეს, არამედ მის უმცროს ძმას სარგისს (იხ. ი. ანთელავა. შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VII. თბ., 1987, გვ. 65—66).

13. Mm ნუსხებში ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „აქა დადიანის (დადიანი m) ცოტნეს“.

14. ამის გასწვრივ Q-ში აშიაზე მინაწერია, რომელიც ცუდად იკითხება („წ... რად მოძღვართა სადაღს რესა...“).

15. ვახტანგის კომისიამ სხვაგვარად გაიზარა ტექსტი: „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ჰრცხუენოდით მთავარყოფად მათ ზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგუარანენისა კაცისა“. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში შერეული ტექსტია დაბეჭდილი: „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულეობდა მთავარ-ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგუარანენისა კაცისა“ (გვ. 217).

16. ამის შემდეგ მაჩაბლისეულ ნუსხაში ტექსტი შეცვლილია: „წარვიდეს ჩორმალონის სახლთა. ჩორმალონს ასული ყუა მაჩაბლისა, ტყუეობათა შინა ეშოვნა. ტურტა და შევნიერი იყო და დიდად უყვარდა და კიდევ უჭერებდა. იმ ქალთან მივიდნენ და ყოველივე იმ ქალს აუწყეს, თავის მამისა და ძმის პირითა მოახსენეს“.

17. m-ში ტექსტი შეცვლილია: „ვევედრებით, რათა ერთი სახელოვანი კაცი წარავლინოს და მოაყუანინოს დავით მეფე. ესე ყოველივე მამამან და ძმამან ქალს აუწყეს ამ დიდებულთ კაცთა მაგიერ, მის ქმართან შეხვეწნა. ქალი ფაცხლავ წარვიდა და, ჩორმალონს, ქმარსა თესსა, ყოველივე მოაქსენა. დიდათ განიკურვა ჩორმალონ დავითის სიცოცხლე და მეორეს დღეს მოახსმევინა იოსურა, ბიჩორა და ანგურა და ქართველნიცა“.

18. ამის გასწვრივ m ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „ესე ბათო ანუ ბატი ყან იყო შეილიშვილი ჩინგის ყაენისა და ძმისწული ოქოთასი, რომელმანც გამოგზავნა ესე ოცდა ათისა ბევრისა ლაშქრითა, 300 000, ჩსლზ წელსა ქ. აქით, აღს:ქველად ქვეყანათა, რომელმანცა დაიპყრა ყოველი რუსეთი და მოხარვე ჰყო და ქმნა სადგურად თესად სახლი მდინარესა ზედა ვოლღისასა“.

19. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში იხსენიება გამრეკელი (ასევეა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც, გვ. 220). მაგრამ ეპითაღმწერლის ტექსტიდან ცნობილია, რომ დიდი ყაენის კარზე გამგზავრებულ დავით რუსუდანის ძეს თან ახლდნენ ბეგა სურამელი, გურჯალელი და ამირეჯობი ბეშქენ (ამის შესახებ იხ. მ. ბერძენიშვილი. ეპითაღმწერლის ტექსტის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. — კრებ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976).

20. სინამდვილეში, მანგუ, ყუბილაი და ულო (ჰულაგუ) ძმები იყვნენ.

21. ამის შემდეგ M ნუსხაში ჩართულია: „ლმერთო, დაიკევ ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა დედოფალი მარიაჲ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებით იწერება წმიდა ესე წიგნი“.

22 ყველა ნუსხაშია გაუგებარი „საკადრებელისა“. ვახტანგის კომისიამ გამოტოვა გაუგებარი სიტყვები („ვითარცა ძეულ ოდესმე იონთა ქუეყანასა და რომს გააგებდეს ოთხნი იპატონის“), ს. ყაუხჩიშვილმა ტექსტში დატოვა „საკადრებელი“, რომელიც ლექსიკონში განმარტა, როგორც „გასაბელი“ (გვ. 223, 594). თხზულების ამ ადგილის შესახებ დაწერ. იხ. რ. კიკნაძე. ეპითალამწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, გვ. 289—290).

23. ხელნაწერებშია „უშან“, ამავე პიროვნების მეორედ ხსენებისას კი ხელნაწერები აწვევენ „უყანს“ (M) და „უყანს“ (Qm). „უშან“ შინ-ისა და ყარ-ის აღრევის შედეგად არის მიღებული. იგულისხმება ჩალათაის შვილიშვილის ყარა-ჰულაგუს ცოლი. ურყინე-ხათუნი, ოირათის ტომიდან, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ განაგებდა ჩალათაის ულუსს (1252—1261).

24. დასავლეთში წამოსულ ჰულაგუს სხვადასხვა ულუსების წარმომადგენლები ახლდნენ. კერძოდ, ყული, ბოლა (ბალაღა, ბალაყან) და თუთარ (ხუთარ), ჩინგიზ ყანის უფროსი ვაჟის, ჭჩის, შვილიშვილები, ჩრდილოეთის ანუ ოქროს ურდოდან იყვნენ. ისინი არ ყოფილან სხვადასხვა ულუსების წარმომადგენლები როგორც ეპითალამწერელს ჰქონია (ჭუეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1974, გვ. 56, 84; Рашид ад-Дин. Сборник летописей, II. М.-Л., 1960, с. 81; III. М.-Л., 1946, с. 40; რ. კიკნაძე. ეპითალამწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1971, № 4, გვ. 119—120).

25. ამ სიტყვის გასწვრივ III-ში აშიაზე მინაწერია: „იარლიკი ანუ იარულიყი, წყალობის წიგნი, გინა რაყაში“.

26. III ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „ესე სარგის თმოგველი იგი არს, რომელმან დილარიანი აღნაქვსა“.

27. ვახტანგის კომისიას ეს აბზაცი საერთოდ გამოუტოვებია, როგორც ძნელად აღსადგენი. ივ. ჭავჭავიძემ მრავალწერტილით აღნიშნა გაუგებარი სიტყვები (ივ. ჭავჭავიძე ვილი. ქართველი ერის ისტორია, III. თბ., 1966, გვ. 135). ს. ყაუხჩიშვილმა კი აღნიშნა, რომ ეს „სიტყვები მეტად ბუნდოვანია“ (გვ. 226, შენ. 4). დაწვრილებით ტექსტის ამ ადგილის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ეპითალამწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, გვ. 291—292.

IV

1. ამის წინ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში არის სათაური: „მესამეოცდ-ორე მეფენი დავით, ძე მეფის ლაშა გიორგისა, და დავით, ძე მეფის რუსუდანისა, ბაგრატიონნი“.

2. ამის გასწვრივ Q ნუსხაში აშიაზე დაზიანებული მინაწერია: „ორნი მეფენი ერთ... ფლსა ძეთა მაგიერ... დავით გ(იორგის ძე) და კუალად რუ(სულა)ნის ძე დავით... უმარწემეს ცხოვრება...“

3. III ნუსხაში ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „ესე აღმუთლნი ვგონებ იყვნენ მამელუქნი, რომელთაცა დაიპყრეს ეგვიპტე სრულიად და ჰქმნეს სამეფოდ. ჰყვანდათ საკუთარი ხელმწიფე სახელითა სულანისათ ყაირსათა. გარნა სელემ სულთანმან აღიღო ყაირცა და მეფობაცა მამელუქთა ახოცა წელსა ქრისტეს აქათ ჩუ“.

4. ხელნაწერებში ყველგან „ორი“ წერია, რაც აშკარა შეცდომაა, რადგან შემდეგ ჩამოთვლილია ის სამი პირი, ვინც თავიდანვე ახლდა დავით რუსუდანის ძეს: გურკლელი, ამირეჯიბი ბეშქენ და სურამელი ბეგა. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში კაეშირი: „და“ გამოტოვებულია, ხოლო ტექსტის გამოცემებში გურკლელის შემდეგ მძიმე არ არის დასმული, რის შედეგადაც გაერთიანებული აღმოჩნდა ორი პიროვნება და მივიღეთ არარსებული „გურკლელი ამირეჯიბი“. თხზულების ამ ადგილის შესახებ იხ. მ. ბერძენიშვილი. ეპოთაღმწერლის ტექსტის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, გვ. 152—153.

5. სიტყვები — „რომელი იყო გურკლელი ამირეჯიბი და სურამელი ბეგაი, რომელსა თათარნი საღინ ბეგობით უქმობდეს, ესე იგი არს კარგი ბეგაი“ — რუმინაწყვისეულ ნუსხაში სტრიქონს ზემოთ და აშიაზეა ჩამატებული.

6. ოქროს ურდოს გამგებელი ბათო, ჩინგიზ ყანის უფროსი ვაჟის, ჭუჩის, მერე შვილი, ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო (1227—1255).

7. M ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვახტანგ VI-ის ხელით): „მაში ნახეთ თორღას საქმე თუ რა უყვეს“.

8. Q ნუსხაში აშიაზე გადამოლილი მინაწერია. იკითხება მხოლოდ „...ქეშმა-რიტა“.

9. Q-ში აშიაზე მინაწერია: „ბაღდადისა ხალიფა, რომელმან განუწესა წინადაცუეთა სომხების ტერტერათ და დოღბანდი თავს“.

10. ხალხის აღწერა მონღოლთა სახელმწიფოში მანგუ ყანის განკარგულებით დაიწყო 1254 წელს (ჭუევიანის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 46—51, 80—81; Рашид ад-Дин. Сборник летописей, II, с. 140—141, 149—150).

11. Q ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „იხილე თათართა ძ(აღლ)ის კმით რა უქნია(თ), ერთი ქალაქი დაუსჯიათ“.

12. M-ში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვახტანგ VI-ის ხელით): „აქ ნახეთ ვინ მართალია, ჩაყელია თუ მხარგძელი“.

13. ამ ტოპონიმის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ეპოთაღმწერლის თხზულებაში. — ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973.

14. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ფრაზა ნაკლებია, მხოლოდ ბარათაშვილისეული (b) ნუსხა უმატებს: „მას უბრძანა ყაინმა“ (ფ. 249ბ). ასევეა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც (გვ. 244). უფრო სწორი ჩანს ფ. გორგიჯანიძის ვარიანტი, რომლის მიხედვით გვანცა დედოფალს არღუნმა დაავალა მეფესთან მოციქულის გაგზავნა: „აქა არღუნ უთქრა გუნცა დედოფალსა: შენ კაცი და წიგნი გაუგზავნე მეფესაო“. — ფ. 82ბ (65ბ).

15. რამიდ ად-დინის მიხედვით, პულაგუ-ხანის უფროსი ცოლი, დოღუზ-ხათუნი, რომელიც მას მამამისის, თულის, გარდაცვალების შემდეგ ერგო, ქერაითების ტომს ეკუთვნოდა. რამდენადაც ქერაითები ქრისტიანობას აღიარებდნენ, ილხანის ცოლი მფარველობდა ქრისტიანებს და ეს ხალხი მის დროს დიდი გავლენით სარგებლობდა (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 18).

16. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ხელნაწერშია „დასავლეთისა“. ასევეა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც (გვ. 245). ტექსტის დაზუსტება ხერხდება ფ. გორგიჯანიძის ჩვენების საფუძველზე (რ. კიკნაძე. ეპოთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, გვ. 152, შენ. 44). დვალეთის გზის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქაში. თბ., 1966, გვ. 25—26).

17. ძველი რედაქციის ნუსხებშია გაუგებარი „ყაქულობით“ (ყა ქულობით), ვახტანგისეულ რედაქციაში — ასევე გაუგებარი „ყაფულობით“ (ეს უკანასკნელი წააგავს „ყაფუჩი“||„ყაფიჩის“, რაც მეკარეს ნიშნავს). ფ. გორგიჯანიძესთან იხსენებთან „მოდარაჯენი“, საბას მიხედვით კი დარაჯა და ყარაული სინონიმებია. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რაშიდ ად-დინი დასახელებულ ეპიზოდში სწორედ ყარაულებს იხსენიებს (Р а ш и д а д-Д и н и. Джими ат-таварих, III. Баку, 1957. სპარსული ტექსტი, გვ. 103).

18. ამას გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „ათაბაგთა განდგომა“ (M), „ათაბაგი განდგა“ (m).

19. „ქალაქი“ იხსენიება როგორც ვახტანგისეული რედაქციის, ასევე QT ნუსხებში და ფ. გორგიჯანიძესთან. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აქ იფულისხმება არა თბილისი, არამედ გორი (რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, გვ. 151—152).

20. რუმინანტევისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „გუანცა დედოფალი მოკლეს“.

21. აქ ჭანაშვილისეული და ჭალაშვილისეული ნუსხები უმატებენ: „ხოლო აბათა ნოინი შივიდა წინაშე ყაენისა და ეედრებით სთხოვა სარქის, რათა იყნას კელთაგან დაეიო მეფისათა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 255). ფ. გორგიჯანიძეს უფრო მოკლედ აქვს ნათქვამი: „და მან (აბათამ — რ. კ.) ყაენს აბალქის მოახსენა მეფისაგან სარქისის დაჰორება“. ფ. 90ბ (77ბ).

22. სიტყვები „ვითარ მოეახლა ქამი მოსღვისა“ არ არის DC ნუსხებში, ამიტომ ს. ყუბხჩიშვილმაც გამოტოვა ტექსტში (გვ. 257, შენ. 1), თუმცა ყველა დანარჩენი ნუსხა აჩვენებს ამ ფრაზას, რომელიც აუცილებელია აზრის სწორად გასაგებად. ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ „დიდის ტირილითა და გლოვით, ზარითა და თავთა ცემითა სპათა საქართველ[ოსათა] აიღეს მკვდარ[ი] მცხედრითა, მისახვეწეს საღდარსა სიონისასა თბილის ქალაქს, რომე მოიცადონ მეფე დავით, ამისთვის რომ ახლო იყო ლაშქართ გაშვება“. — ფ. 92ა — 92ბ (78ა — 78ბ).

23. სპარსული წყაროებით, ამ მონღოლი უფლისწულის სახელი იყო ნიქუდარი (ნეგუდარი).

24. ქამთაღმწერლის თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში თევუდარი და მისი კუთვნილი ქვეყანა ზემოთ არსად არის ნახსენები.

25. Q ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „იხილენით სასწაულნი ნათლისმცემლისანი“.

26. ამის გასწვრივ M ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ვახტანგ VI-ის ხელით): „კოსტანტინეპოლის მეფის პალილოლისა ასული, ცოლი დავით მეფისა, რუსუდანის ძისა“.

27. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ხელნაწერში და გამოცემებში წერია „შიში-საებრ ყაენისა“, რაც აზრობრივად გაუმართლებელია. ასეთი წაკითხვა ტექსტში უთუოდ გაჩნდა დაქარაგმებულ სიტყვაში (ბ⁷ბისაებრ) ბან-ისა და შინ-ის აღრევის გამო. შდრ. აქვე ქვემოთ: „ჩუენ ბრძანებისაებრ თქუენისა გუნებავს გარეშექვევა“.

28. სიტყვები — „ხოლო მეფემან რქუა: არა არს წესი“ — მაჩაბლისეულ ნუსხაში გამოტოვებულია და შემდეგ არის მიწერილი აშიაზე სხვა მელნით.

29. ყველა ხელნაწერში და გამოცემებში არის „სხუა“ (სხუა, სხუაჲ). ტექსტის გასწორება ხერხდება ფ. გორგიჯანიძის ჩვენების საფუძველზე.

30. ტექსტის ამ ადგილის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქამთაღმწერელი. — ივ.

ჯაეხიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 295—296.

31. აქ მთავრდება Q-1219 ნუსხის (ე. წ. მცხეთური „ქართლის ცხოვრების“ პირის) ტექსტი.

32. ამის შემდეგ „ასწლოვანი მათიანის“ ტექსტი ყველა ნუსხაში ნაკლებია. გამოტოვებული ადგილი შემონახული აქვს ფ. გორგიჯანიძეს. ამასთან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნის ავტორს „ქართლას ცხოვრების“ ორი სხვადასხვა ხელნაწერით უსარგებლია და ორჯერ, რამდენადმე განსხვავებით აქვს გადმოცემული ერთი და იგივე ამბები (ე. წ. მეორე ვარიანტი თხრობისა უადგილო ადგილას არის ჩართული გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ავტოგრაფულ ნუსხაში).

ქვემოთ მოვკაქვს გორგიჯანიძის თხზულებაში დაცული ნაწყვეტის ორივე ვარიანტის ტექსტი:

I. „მას ეამს ყოველს წელს საშემოდგომოთ წაიდიან ქართველნი და თათარნიც, მათთან მეფე დავით და სპა მისი, მივიდიან ყაბალის ბოლოს, სამძლვარსა საქართველოსასა, საცა შარე[ა]შიან[ნი] ღობეს შემოაულებდნენ წყლის პირსა, რომელსაც სიბაზ იხმობდეს, და ზამთ[არ]ს იქ იქნებოდენ და გაზაფხულისას აიყრებოდენ. ამ ქირში იყვნენ მეფე და ყოველნი ქართველნი.

აწე ასტყდა სხვა შფოთვა, რომე ზემორხსენებული ყაენის შვილი[ს] თანაანი თათარნი დარჩომილიყვნენ, რომელსაც საჯელად აღნარობით იხმობდენ. ამათი თავადი იყო საკელათ იელლურ. წამოვიდა ბარგითა, დედა-წულითა, სიმდიდრითა მათითა, გარღარენს მთანი ლეხისანი და მივიდნენ არგვეთს მეფეს დავითს თანა. მეფე კარგად დახვდა, მრავალი ნიჭი უბოძა და სარჩით გაუჩინა ქვეყანა რაჰისა. სცნა აბალამ შესვლა აღნარის ლეხტ-იმერის, ეწყინა და მეფეს დაემდურა, და წაქართვა ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცა. ამისმან მცნობელმან დავით მეფემან უბრძანა იელლურსა და სპასა მისსა დარბევა ქართლისა. მათაც დაიწყეს რბევა, ხოცა და ტყვეთ წასხმა, ოხრება ცხეთამდისინ.

ქართლის მეფე, გიორგი მეფის ლაშის შერლი, დავით დაბერებულყო და თათართ ლაშქრობისაგან შეზარებულყო, ნამეტნავად სიბაზე წასვლისა აღარ აქონდა ღონე. მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ ყველანი. სურამელის გრიგოლის საქმით და მისის შვილის ბეგას რჩევით, მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუყენა წინ საომრათ იელლურსა და იმერლებსა, დაიცონ ქართლი. უწინარეს ამას მოეყენა თათარი თანდუთ, საკელათ ჯანას, მყოლებელი მკედრის ხუთასისა, იმავე ბეგას გაძრახვითა, რომე მანვე დაიცვა კარი დარალამისა და გზანი დვალეთისა და ოსეთისა, რომე ეს კეთილთა იქნა... მათ ეამად დაიცვა ქვეყანა ოსთაგან, რომელთა მთავარნი იყვნენ ძმანი ორნი, უფროსი ფარანჯენ და უმცროსი ბალათარ, ზემორე ხსენებულის ლიმაჩაის ძენი“. — ფ. 97ბ—98ა (ფ. 84ბ—85ა).

II. „ამ ეამს ყოველს წელს, შემოდგომით გაზაფხულამდისინ, თათარნი და მეფე დავით ქართველთ ჯარით შიქრანს მივიდიან მცველათ, ყაბალის ბოლოს დადგიან, სად სამძლვარია ქართლისა, სად თხრილთა და ღობით ვით ციხე სახიზრათ გაემაგრებინა ბერქაქანთ გამოსვლის შიშითა და სიბაზ ეძახდენ. ამ საქმით ვედრონებულყო მეფე დავით.

აღიძრა საქმე ესე, რომე ზემორე ხსენებული ყაენის შვილთა თანაქანი თათარნი დარჩომილ იყვნეს, რომელსა აღნარობით იხმობდენ. ამათში თავადი იყო, საკელათ ერქვა იალლურ. წამოვიდნეს ცოლ-შვილთა და ბარგითა და ყოვლითა სიმდიდრითა მათითა, გარღვიდნეს მთასა ლეხისასა, მივიდნენ არგვეთს. მივიდნენ მეფეს დავითს წინ. მეფე კარგად დახვდა, გაუჩინა სარჩოთა და სადგმურთა ქვეყანა რაჰისა. აბალ ყაენს მოახსენეს შესვლა იელლურისა იმერეთს. უწყინა ყაენმან შეშეება მისი მეფეს

დავითს და წა[ა]რთვა ატენის კეობა. მეფემანაც უბრძანა იელღურსა და თვითაც
ქარი მიაშველა, დარბევად[ღ] ქართლისა. ააობრეს ცხეთამდისინ.

და მეფე დავით შეწყენილი და მოუტლელი იყო შირვან[ს] მცველათ სიბისათა
და აღარ იყო ღონე. აცნობა ზემოხსენებულთ ოსთა, შეჰკრან ყოვლი გზანი. გაზრა-
ხვითა სურამელისათა გრიგოლისათა უბოძა გორის ციხე-ქალაქი და სამკვიდრო მის-
ნი, და დახვდნენ იელღურსა და იმერელთა, დაიცონ ქართლი და ამათც არბიონ
რაჰა და იმერეთი. და უწინ ამისას მოეყვანა თიღუნთ ნათესავი, მყოლებელი სუთა-
სის კაცისა, სახელათ ჭასან, ბეგასეე გაზრახვითა, რომე მან და ბეგამ დაიცვან კარი
ღარალამისა და გზა დასავლეთისა. და გაუჩინა საზ[ა]მთროთ სადგომათ მუქრანი
და საზაფხულოთ მთიულეთი. ეს კარგად იქნა და ამას უკან ოსთაგან დაიცვა ქვე-
ყანა. რომელიც თვადობდა, იყენენ ორნი ძმანი, უფროს[ს] ერქვა ფარეჟან და
უმცროს[ს] ბალათარ, ლიმეაზის ძენი. — ფ. 245ა—245ბ (ფ. 232ა—232ბ).

დაწვრილებით ამ ცნობათა შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის თხზუ-
ლებების ერთი ადგილის შევსებისათვის.

33. ტექსტის ამ ადგილის შესახებ იხ. გ. მამულაია. „ღიდთა სიტყვისმოქმედ-
თა პირველთა“ ვინაობისათვის. — კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები.
თბ., 1966, გვ. 244—245; თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ
ისტორიოგრაფიაში. ეპითაღმწერელი, გვ. 294.

34. ჭერ კიდეე მ. ბროსემ შენიშნა, რომ ქართველ ავტორს ადრე არაფერი აქვს
ნათქვამი მათ შესახებ (*Histoire de la Géorgie*, I, p. 585, n. 1). დაწვრილებით
ღალღურის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ეპითაღმწერლის თხზულების ერთი
ადგილის შევსებისათვის, გვ. 115—121.

V

1. ამის წინ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდასამე
შეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიანი“. იგივე სათაური არის
თეიმურაზისეულ ნუსხაშიც: „მესამეოცდასამე მეფე ქართლისა მეორე დიმიტრი, ძე
დავით მეფისა, ბაგრატიანი“. სათაურის გასწვრივ რუმინანტეისეულ ნუსხაში მიწე-
რილია: „მეორე დიმიტრი“.

2. შონ ად-დინ ფარვანა მცირე აზიის სელჩუკიან სულთანთა ვაზირი იყო. იგი
შონლოებს მიემხრო და ჰულაგუ-ხანისაგან საგამგებლოდ მიიღო რუმის მხარე
(*Рашид ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 61). ფ. გორგიჯანიძის მიხედ-
ვით, ფარვანა „ქართველის შვილი“ ყოფილა. — დასახ. ხელნაწერია, ფ. 100ა (87ა).

3. ყველა ხელნაწერშია „და თანა მოკლულ იქნა“, რაც ს. ყაუხჩიშვილის აზრით,
„შემთხვევით უნდა იყოს აქ მოხვედრილი“ (გვ. 271, შენ. 1). ფ. გორგიჯანიძის ჩე-
ნებით ირკვევა, რომ საუბარია ამირ თოდანის მოკვლაზე. — ფ. 100ბ (87ბ). ეს ეპი-
ზოდი და თოდანის ბრძოლაში დაღუპვის ამბავი მოთხრობილი აქვს რაშიდ ად-
დინსაც (*Рашид ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 88).

4. რაშიდ ად-დინის ცნობით, უფროსი ამირი ირინჯინი ქერაითების ტომიდან
იყო და მისწულად ხედებოდა ჰულაგუ-ხანის მეუღლეს დოღუზ-ხათუნს (*Рашид
ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 18, 112).

5. ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშია: „ღიდი საჰბ დივანი (სიბღევანი, სიბ-
ღივანი) ავაგ ათაბაგისა ამას აქუნდა“, რაც სრულიად გაუგებარია და ზოგჯერ არა-
სწორი დასკვნის საფუძველი ხდება.

6. რუმინანტეისეულ ნუსხაში ამიაზე მიწერილია: „ქარნუქალაქი აზრუმია“.

7. ამ სიტყვის გასწვრივ მარიამისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის ხელით): „მეფის დატრის ცოლი, ბერძენთა მეფის, კომნიონის ასული“. მაჩაბლისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „მეფის დიმიტრის ცოლი ბერძენი მეფის, კომნიონის, ასული ყვანდა“.

8. ეს აღწერა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1278 წლით იყო დათარიღებული (ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 213, 221; ივ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 248; ე. ვაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ეპითალომწერლის თხზულებაში. — კრებ.: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები. თბ., 1968, გვ. 62; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 594). ასეთი დათარიღება ეწინააღმდეგება რეალურ ისტორიულ ვითარებას. ამჟამად გამოჩნეულია, რომ აღწერა არღუნ ამირს ჩაუტარებია 5 წლით ადრე, 1273 წელს (რ. კიკნაძე. XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. — მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 146).

9. მონღოლთა მიერ გილანის დასაპყრობად მოწყობილი უშედეგო ლაშქრობის შესახებ ჩვენთვის ცნობილ აღმოსავლურ წყაროებში არაფერია ნათქვამი (იხ. რ. კიკნაძე, ყორღლანგი — სულ — სულთანზე. — კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 263, შენ. 51).

10. ეს მიწისძვრა მომხდარა 1275 წლის 10—13 აპრილს (იხ. რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 175—176).

11. ივ. ჭავჭავაძის შვილი აღნიშნავდა, რომ „ისტორიკოსის ნათქვამი ცოტა ბუნდოვანია და მკაფიოდ აღნიშნული არ არის, თუ ვინ მიჰყიდა მეფის და თამარის“ (ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221). ფ. გორგჯანიძე ადასტურებს მეცნიერის ვარაუდს, რომ არღუნ ამირის ვაჟს გაუყიდა ცოლი: „სცნა სადუნმა შეძლევათა ცოლ-ქმართ, მეფის დას შეევაჭრა ქმარსა მისასა და აბაღა ყაენს შეეხეწა, და მანც ნება დართო. მისცა ფასი მრავალი ქმარსა და იყიდა მეფის და“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 103ა (90ა).

12. ვახუშტისთან ეს ქალაქი „დარუბაკი“ ფორმით იხსენიება (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1973, გვ. 231). რამიდ აღ-დინი ასახელებს „დღიერ-ე ბირს“ და ციხე-სიმაგრე „ზალიბას“ (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 96).

13. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებსა და გამოცემებში დასახელებული „ამასია“ გაუგებრობაა, რადგან ეს ქალაქი ჩრდილო თურქეთში მდებარეობს. აქ იგულისხმება სირიის ქალაქები ჰიმსი და ჰამა (იხ. Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 96, 183. შტრ. აგრეთვე, Histoire de la Géorgie, I, p. 595, n. 3).

14. აღმოსავლური წყაროებით, მათი სახელებია ყარა-სონყურ და აღუმ აფრამ (ჰაფეზე აბრუ. ზეილ-ე ჭამი ათ-თავარის-ე რაშიდი. სპარს. ტექსტი. ხ. ბაიანის გამოც. თეირანი, 1939, გვ. 40, 54, შენ. 1; Histoire de la Géorgie, I, p. 599, n. 2).

15. რამიდ აღ-დინთან — „ქალათის ციხე“ (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 107).

16. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, „რქსა“ (ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 219). ეს კონიექტურა გაზიარებულია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 285).

17. ამის შემდეგ ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „მამის საღუნის შვილი ხუტულ-ბულა მოსცეს კვლთ მეფესა, დააბატირა. და ევედრა მეფესა ფიცით ერთგულობასა და იაჯა უენებლობასა. და უსმინა სახეწყარი მეფემან დემეტრემ, მისცა საფიცარი უენებლობისა და ქვეყანანი მისის მამის ნაქონი, საღუნისა“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 106ბ—107ა (93ბ—94ა).

18. რამიდ აღ-დინის მიხედვით, იესუ-ბულა, ურუყთო ნონის შვილი, ღურბა-ნის ტომს ეკუთვნოდა (Р а ш и д а д-Д и н. Сборник летописей, III, с. 22).

19. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, „აიღეს ციხე და დაირჩინეს თავადნი მათნი, ჩიმა-ქარ და ბან, მთავარი დარუზანდისა, დაკოცეს და ქონება და ტყვენი მათნი წამო-ღეს და ციხე დაწვეს“. — ფ. 107ბ—108ა (94ბ—95ა).

20. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამირ ბულას დასჯის ამბის გადმოცემისას ეპითაღმწერლის თხზულებაში „რამდენსაჲ ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახ-ტომები ემჩნევა . . . ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამ უნდა აკლდეს“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ერის ისტორია, III, გვ. 223). თხრობა სრულად შემოუნახავს ფ. გორგიჯანიძეს:

„რა სენა ხუტულ ბულამ მანკაბურდელმან. რომე მეფის ჯაჭვი ყაენმან გამო-ართა, იმან ყაენს სთხოვა და ყაენმან მას უბოძა ჯაჭვი იგი. იწყინა მეფემან, მივი-და ჩინქაშან ბულასთანა, შესჩივლა ხუტულ ბულას ურჩობისაგან და უმეტესობისა-გან, რომ არ დარიდა მეფის ჯაჭვის თხოვნას. რა მეფის საჩივარი გაიგონა ჩინქაშან ბულამან, მოვიდა, ყაენს მოაკსენა. ყაენმან ხუტულ ბულა მეფეს ხელთ მისცა და გაგზავნა საქართველოში პატიმრად. შემოეხვეყა მეფესა და შეშინდა და უენებ-ლობისათვის დმანისი მეფეს უძღვნა. და მეფემ შეიწირა და ფიცით უბრძანა და ნიშანიც უბოძ[ა] უენებლობისა. და სხვანი მოკვლას ურჩევდეს, და არვის დაუჭერა და შეუდრო დანაშაუები, და ტბილის გულით შეიწყალა, მისცა საფიცარი და მეო-რეთ ნიშანი უენებლობისა.

გამოიარა შვაზედ მცირედი ხანი და ერთობით ნოქიენები გაუაუდენ ჩინქაშან ბულასა, დაუწყეს ბეზღობა სიმართლისათვის. თავს არ შეიღვა ამისთვის ვითაც, რომე არც თვითონ უზემდა ძალს თემსა და ქვეყანასა, სოფლებსა და ქალაქებსა, და არც ყაენს აქნევიებდა და ვერცა ნოქიენები უზემდეს მისის შიშითა. ამისათვის გაუაუდნენ ნოქიენები, აბეზღებდეს ყაენსთანა. სენა ხუტულ ბულამან, დაივიწყა ფიცი, მით მივიდა სამცხეს, მთავარსა ბეჭასასა. მან კეთილათ შეიწყალა, ასული მისი ცოლათ მისცა და მზესიძეთ სახლსა მისასა ამყოფა.

მოაკლეს პატივი ჩინქაშან ბულასა, სენა ეს ბეჭამან და გაგზავნა კაცი არღუნ ყაენსთანა და სთხოვა ციხე-ქალაქი ხუტულ ბულასათვის მამის მისის ნაქონი მათი. მოსცეს დმანისი და თელავი, და მეფეს წა[ა]რთვეს ავაქის ნაქონი მამულნი, ისიც ხუტულ ბულას მისცეს. აბეზღ[ე]ბდეს ყაენსთან მეფესა; სთხოვა ათასი ჯორი, სამასი ათასი აქლემი, ჯოგი და ნახირი, ცხვარი; ჯაჭვი და იარაღი სხვაე მრავალი. და ამებს ჩინქაშან ბულის ჯაგრით იქმოდეს ამისთვის, რომ ეგების მეფეს დანაშაუებულობა უპოქონ რამე და საყვედური ჩინქაშან ბულას დაადენ.

**აქა მეორეთ დაბეზღება ჩინქაშან ბულისა ყაენსთანა.
მეფის მოყვრობისათვის**

ნოქიენებმან მოახსენეს არღუნ ყაენსა, შენი წახდენა უნდაო [ბულას], ყაენათ სხვა უნდა დასვასო. მარტის ათორმეტს იქნება ნავრუზობა და შორ მყოფნი თავად-ნი იმ დღეობას ყაენის კარს მოვლენ[ო]. ამ დღეს ყაენის ბძანებით ნოქიენები დაეს-ხნენ თავს ჩინქაშან ბულასა, დაიჭირეს, თვითან ყაენს მოჰკვარეს და მისი ქონება

და სახლი აუკლეს. გაუკითხავად ბრძანა ყაენშან მოკვლა ჩინქაშან ბულისა. მოკვეთეს თავი მამა-შვილთა და ყველგან აქაოკრეს ყერძი მისი“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 108ა—108ბ (95ა—95ბ). ამ ცნობების შესახებ დაწვრილებით იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. — მატენ, ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 166—169.

21. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ამ წინადადებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის და ისე გამოდის, თითქოს ბუღა ნოინი მარტის თვეში დასაწყის სიკვდილით. სინამდვილეში ახალი წლის დადგომა ბუღასა და მის თანამოაზრეთა მიერ აჯანყების დაწყების დღედ იყო დათქმული (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223). ფ. გორგიჯანიძეც აღასტურებს, რომ არღუნ-ხანის წინააღმდეგ გამოსვლა შეთქმულებს სწორედ მარტის თვეში უნდა დაეწყათ: „ნოქიწებმან მოახსენეს არღუნ ყაენსა, შენი წახდენა უნდაო [ბუღას], ყაენათ სხვა უნდა დასვასო. მარტის ათორმეტს იქნება ნავრუზობა და შორ მყოფნი თაყადნი იმ დღეობას ყაენის კარზე მოვლენო“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 108ბ (95ბ). რაშიდ ად-დინის ცნობით, ბუღა ნოინი 1289 წლის იანვარში დასაყეს სიკვდილით (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 121).

22. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებსა და გამოცემებშია „სიუქოლ“. ფ. გორგიჯანიძე აჩვენებს „თუქალს“. რაშიდ ად-დინის მიხედვით, იას-ბუღას მართლაც ჰყოლია ვაეი, სახელად თუქალი (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 22).

23. ასეც ითქვა, — უმატებს ფ. გორგიჯანიძე, — ხოჯა-აზიზ რომ მეფეს მოკვლა, მისი შვილი, იელ ხუტლე, და ხუტულ ბუღა ამისთვის იყვნენ მეფის მტერნი, იელ ხუტლე დედის ძმა იყო ხუტულ ბუღასი, მესისხლობით მტერნი იყვნენ მეფისა“. — ფ. 110ა (97ა).

24. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში და გამოცემებში წერია „ფლობილად“ („და ვითარ იხილეს ვაზირთა მეფისათა ფლობილად, რქუეს“). „ფლობილი“ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „შემძლებელი“ (ს. ყაუხჩიშვილი), „უფლებული“ (ი. აბულაძე), რაც არ იძლევა გააზრებულ წაკითხვას. ფ. გორგიჯანიძეს ეს სიტყვა არა აქვს ნახშიარი, მაგრამ სამაგიეროდ მისი თხრობა უფრო გასაგებია: „და მოიტანეს ყაენს წინ საჭურჭლე მეფისა, გაჰკვირდა ყაენს და ცოტას რასმეს დამშვილდა, გუნება დაიწყუნარა. აღარ სცევდენ მეფესა და აღარცა ელოდენ წახდენასა. ნახა ვაზირმან მეფე და ასრე მოახსენა“. — ფ. 110ა (97ა). ეპოთაღმწერლის შემდგომი თხრობიდანაც ირკვევა, რომ თავიდან შეპყრობილი მეფე ერთ სასს გაუთავისუფლებიათ და ხუტულბუღამ რომ დავით VI-ის ძის მეფედ გამოგზავნის თანხმობა მოიტანა დასავლეთ საქართველოდან, მხოლოდ მაშინ დააპატიმრეს ხელახლა.

25. ეს ოთხი სიტყვა თავიდან შეიძლება აშინაზე იყო მიწერილი და იქიდან მოხვდა ტექსტში.

26. ეს სახელი — „ტოლან“ (ტოლნა, ტონლანა) გვხვდება ყველა ნუსხაში. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში გამოტოვებულია (გვ. 290). ტოლან ნოინი რაშიდ ად-დინთანაც ხშირად იხსენიება (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 119—123 II дрг.).

27. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, დიმიტრი ბარდაცს დაუსჯიათ სიკვდილით. მის თხზულებაში გვხვდება ასეთი სათაური: „მოკვლა არღუნ ყაენისაგან მეფის დემეტრისი ბარდას“. — ფ. 110ბ (97ბ).

28. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებშია „ტაჩარა“, „ტაჩრა“, „ტაჩა“, „ტაქარა“, ფ. გორგიჯანიძესთან — „ტაჩირა“. როგორც ჩანს, იგულისხმება ტოლჩარა (თოლჩარა), რომელიც არღუნ-ხანის ერთ-ერთი გავლენიანი ამირი იყო.

29. ს. ყუხჩიშვილის აზრით, „აქ ტექსტს რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს“ (გვ. 291, შენ. 1), მაგრამ ამ ადგილს არ ემჩნევა სიტყვანაყულობა და აზრიც სასებთი გასაგებია.

30. ხელნაწერებსა და გამოცემებშია — „აუწყა მოკვლა დავითისი“, რაც არ წეფდრება სინამდვილეს. ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ მოსე „მივიდა ტაჩირ ნონის თანა და შესტირა და მოახსენა, ყაენს სიკვდილი სწადიან ყმაწვილის დავითისისაო“. — ფ. 111ა (98ა).

21. ფ. გორგიჯანიძე მის სახელსაც გვატყობინებს: „თავის ხოჯას სადრადინს მიაბარა, რომელიც უკანას საჰობ-დივანი იქნა“ (ტექსტშია — სეფე მდივანი). — ფ. 111ა (98ა). რაშიდ აღ-დინის ცნობით, სადრ აღ-დინ ზენჯანი, შემდგომში ილხანთა სახელმწიფოს საჰობ-დივანი, თოღაჩარის ნიბი იყო (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 95).

32. კონიექტურა ემაყრება ფ. გორგიჯანიძის ჩვენებას: „აღარ არის მეფე საქარ-თველოშიგ[ან]“. — ფ. 111ბ (98ბ).

VI

1. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ამის წინ სათაურია: „მესამეოცდროთხ მეფე ქართლისა ვახტანგ, ძე დავით იმერელ მეფისა, ზაგარტოანი“. რუმინანცვისეულ ნუსხაში სათაურის გასწვრივ აშიაზე მინაწერია: „მეორე ვახტანგ“.

2. ფ. გორგიჯანიძე აქ უმატებს: „და ამ ვახტანგ აიყვანა პატივსა ათაბაგობისასა [და] ამირსპასალარობა ხუტულ ბუღას უბოძა, ორიც საქელო დიდი. და არიგებდა ხუტულ ბულა საქმეთა სამეფოთა, მაგრამ იყო კაცი ამაყი და აპარტე[ა]ნი და უმეტესობას მოუყარე, დიდთა საქმეთა შემბედავი. ამისთვის სძულდა სრულ ქართველთა. ნამეტნავე აღ ამისთვის უფრო, რომ მეფის დემეტრეს მოკვლაში ერია“. — ფ. 112 (99ა).

3. რაშიდ აღ-დინის ცნობით, არლუნ-ხანი დიდ ხანს ავადმყოფობდა და 1291 წლის 10 მარტს გარდაიცვალა არანში. დასაფლავებს 12 მარტს (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 127).

4. მაჩაბლისეულ ნუსხაში აშიაზე შენიშვნაა: „რუსუდა(ნის) შვილის დ(ავით)ის შვილ(ის) იმერეთს (მე)ფობა და ცოტას ხ(ანს) მერმე მიქელ თვა...“

5. ამის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდ-ხოლე მეფე ქართლისა დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ზაგარტოანი“. R-ში აშიაზე მიწერილია: „მეოთხე დავით“.

6. ამის შემდეგ „ასწლოვან მკითხანუში“ მნიშვნელოვანი ხარვეზია. შესაბამისი ვრცელი ტექსტი, საკმაოდ შერყუწლო, რომელიც ბევრ საფულისხმოდ ცნობას შეიცავს, შემონახული აქვს ფ. გორგიჯანიძეს:

„აქა სუნბატ ბულა ნამეტნავე აღ გამდიდრებულყო, ვითაც მეფენი იქცეოდა. შრავალი სოფლები და ქვეყანანი მეფის დავითისაგან [მიელო, ყაენ]მანც მისცა. და [მეფე] უფროსიეროს ხანს კარზედ იყვის. ამისათვის სთმობდა საქმესა და ნაქმარსა ხუტულ ბუღისასა. და ურდოს მიმავალი [დავით] უქმოიქცა, მივიდა სახლსა და სამეფოსა თავისასა და გაგზავნა კაცი ყაენსთან, მისწერა თუ, „დავანებე ყოველი სამეფო ჩემი ხუტულ ბუღასა, მოველი ყაენისაგან, რომ ჩემი მეფობა მას უბოძოს და მე მას ვემსახურები“. ამისათვის, რომე ყაენის შიშით ვერა სცელოდნენ მეფენი ერისთავთა. მიაწია მოციქულმან ყაენს წინ და მოახსენა მეფის დანავედრი სიტყვანი ყაენსა. ხუტულ ბულა იქ ყოფილიყო და ყაენს საქართველოში გაეგზავნა და სამეფო ყოველი მისთვის მიებარებინა. რა მოვიდა მოციქული მეფისა, გამოგზავნეს კაცი, მოს-

წივეს შამქორსა; ხუტულ ბულა შეიპყრეს, მიიყვანეს ყაენსთანა, და მეფეც კარ იქმეს, რომ მათი საქმე გაბრკონ. მიეწილა მეფე ბილაღანს და იქ დახედა ხუტულ ბულა, რომელსაც შეეწილა ნოქინი დიდი აღბულა.

რა ნახა ყაენმან მეფე დავით, დიდი პატივნი მიაპყრო და მეფემანც მრავალ საქურქულე ძვირფასისა მიართვა: ჭურჭელნი ოქროსა და ვერცხლისანი, სარტყელ იგი ზეით თქმული ძვირფასისა, რომელსაც გაჰკვირდა ყაენი.

გაიარა ცოტა დღენი, იხმეს სამღივნოსა მეფე და ხუტულ ბულა. და აჩინეს სიტყვის მთქმელათ ბურსელი ხუტულე. მრავალს იტყოდენ ოქრნივე. სენა აღბულამ ნოქინმან, რომელი იძლეოდა მას ხუტულ ბულა. ადგა ნოქინი ღივნით, თან წაიტანა ხუტულ ბულა, დაიხსნა იქით. რა სენა ყაენმან, რომ აღბულა ხუტულ ბულას კერძია, თვით მასთან იპყრა აღბულა. აიყარნეს თავერზითა და სიანჭოს მივიდნენ, საღ იყო საღგმური დიდის პალაქუ-ხანისა, რომელიც სახლათ და პალატათ ჰქონებოდა ქიხოსროვ კემშიფესა. იქ იყვნენ ორ თვეს და ყაენი ეშურებოდა ხუტულ ბულისა და აღბულის ჭაერის ამოყრასა. ყაენმან სანადიროთ წასვლა მოინდომა; ბრძანა არ წასვლა სანადიროსა ხუტულ ბულისა ყაენსთანა.

[ხუტულ ბულამ] ჰკითხა აღბულასა, წავიდეს შორს ადგილსა ნოქინს ვისმესთანა, რათა ოქრო მოიღოს მისგან. და ერთი მისანდო კაცი გაატანა. დაიცა დრო და გაპარვით წავიდა საქართველოს ამისთვის, რომ ყაენის რისხვას ელოდა. მისიქი გაპარვა აღბულას დააბრალეს და, რასაც იმას სთხოვდეს, აღბულას დაქაბრალეს და კიდევა აზღვევინეს. გაგზავნეს კაცი ხუტულ ბულასთანა, რომ მოიღოს ოქრო, და თან გაატანეს საქელათ ყურუმში. მივიდნენ საქართველოში, რომ საღ იყო საღგმური ნოქინისა. თქვა ყმამან აღბულისამან: უგზოთ რასთვის მივიღივართო, რომე შეიპყრა ყაენმან აღბულა. ამის მოქმელს ფიცხლავ ჯელეზი შეუქრის და პირიც აუქრეს. იქნა ღამე, და მართალს გზას არ მიდიოდნენ. უთქრა კაცმან ყურუმშისამან: არ არის გზა ეს საქართველოსიო. არ ვიცი, განგებ იქთო თუ გზას დამედარჯართო. მე თქვენთვის ავი არ მინდაო. არ დაუქერეს ნათქვამი. გათენდა, ადგა ქარი მცირე და ვარდაჰყარა ნისლი, და ნახეს თავიანთ ბარგთან გამოქცეული თათარი ერთი, პყრობილთაგან გამოპარული. მივიდა თათრებსთანა, დაიწყო აღბულის კაცების დაჭირვა. და ხუტულ ბულის გაქცევა სამისი კაცითა. ასრე იქნა ხუტულ ბულის წახდენა და აოქრება მისი, მოაკვდინეს და აიღო ფასი, რაც მას დემბრულ მეფისათვის ექნა. სხვაც აქონდა, რომე ვალს გარდახდა უნდა. ამ ხუტულ ბულასაც ამას წინად ორნივე ძმანი აბულეთიძენი დაეხოცა. ახლა იხმო ყმანი და უთქრა მათ: თუ შევებმით, ყველას დაგვხოცენო, თუ არადა, მარტო მე მამკლენო. მაშ, სჯობს, მივსცე თავი ჩემიო და თქვენ შვიდობით იხსნათო. აღარ გაიძრეს ჯელი. ხუტულ ბულა და ყმანი მისნი შეიპყრნეს თათართა, მიუსხეს ქელათო ყაენსა. უბრძანა მეფესა: აჰა, რომელიც გაქადე, რომ შენ მოგცემო ხუტულ ბულასიო. მეფემ თავყანი სცა და გარეთ გამოვიდა.

შეიქნა ღამე, ადგა ყაენი და მივიდა ლაშქრით. იყო ეს ქელათ ყაენი ღივნის მოყვარული, მსუბუქი და ცრუ, მამათა ბოროტი, კაცთაგან საძულველი. ნახა კარავში სანთილი ანთებული. იკითხა, კარავი ვისი არისო? მოახსენეს: ხუტულ ბულას ყმანი არიანო. თავიანთ რჯულის წესით ილოცვიდეს; მსახურთუხუცესიქი ხუტულ ბულისა საბასი და ოთარის ხატს ეაჭებოდეს ღამისთევითა და საქმეველითა. ბრძანა გამოყვანა ოთარისა. მოიყვანეს ყაენს წინ. უბრძანა: შენ კაცოო, რათ გამაპარე ხუტულ ბულაო! ოთარმან მოახსენა: ისმინე თქმული ჩემიო, ბედნიერ ყაენოო. მე გაზდილი ვარ ხუტულ ბულისაგანო; თვით უბრალო არისო, მე გაგაპარეო. მე ვარ შემოცდილი, არათუ ისიო. რა ესმა ყაენს ნათქვამი ოთარის, ბძანა მოკვლა ოთარისა. მოკვეთეს თავი. სენა სიკვდილი ოთარისა მეფემან, და სუნბატისა, ეწყვისა და შექმნა ტირილი და მოიგონა ნამსქაქური მათი.

და ყუენმან წინ იხმო ხუტულ ბულა და უბრძანა: შენ აღბულის სიტყვით წამი-
ხველო? და მან პასუხი არ გასცა. მოსტეს მეფეს დავითს კელთა და უბრძანა მო-
კვდინება ხუტულ ბულისა. და ის შემოეხევეწა მეფესა, რომ არ მოჰკლას. მეფემან
უბრძანა: არ მინდა მოკვლა შენით, მაგრა ბრძანება გამოსულა წაენისაო, თუ არადა,
მეწყალეთ სიმხნისა და სიკბაბუისათვისო. გაუწყდა ღონე [ხუტულბულას], ილოცა
და ეზიარა[ა]. და თვითან მეფემ შემოჰკრა კმალი და ორად გაჰკვეთა. დაილია საქმე
ხუტულ ბულასი. შვილი არა ჰყვანდა, სამი ძმა დარჩნეს. უბრძანა [მეფემ] წაღება
თავიანთ სასაფლაოსა, მიიტანეს გესამქანიას და ოთარი — სამცხეს.

ცოტა ხანს უკან ყუენმან მეფე გაისტუმრა და ყოველი ნაქონი ხუტულ ბულასი
მეფეს მისცა, და მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა.

ამ ეამს მოვიდნენ ქართლსა დიდნი ნოქონებნი თუქალ და ყონჩიბალი, რომ
დასთვალოს საქართველო. სცნა მეფემ მოსვლა მათი ჰერეთს, წინ მიეგება, რომლი-
სათვის დიდად მადრიელნი იყუნენ ნოქონები. და მოვიდნენ ქართლსა, რომე დას-
თვალონ ქვეყანანი საქართველოსანი. ამ დროს იმერეთით ანბავი მოუვიდა, რომ
წამოვიდა ლაშქარი აფხაზეთისა თქვენად საბრძოლოთო. სწრაფათ აიყარნენ და
თრიალეთს[ა] ავიდნეს [ამ] აქმებით. დმერთმან დაიხსნა ქვეყანა.

და შემდგომად მეფე წავიდა ურლოსა, ყაენს წინ მივიდა ბილანს. იხილა ყაენ-
მან მეფე, იამა და გაიკარა და დიდი პატივი სცა. მოახსენეს: უკუგიდგა თუქალიო,
დაღატით მოკვლა სწადიან თქვენიო, რომ ყაენათ მოიყვანოს ბიძაშენი ბაილუქ.
მამინ უბრძანა ყუენმან მეფეს დავითს: ვიცით, რომ გაქვს ჩემი სიყვარულიო, ვითაც
რომე მიყვარხარო და ამოვადე მტერი შენით, საცა იყუნენო. აწე შენც სწრაფად
მიდი სამეფოსა თქვენსაო, თქვენის ლაშქრით ადრე მამეშველეო, რომ მინდა მივიდე
ორგულსა და უკუდგომილს თუქალს ზედანო. ფიცხლავ რა მოვიდა, ლაშქარი შემო-
იყარა [დავითმა] და ადრე მოვიდა ქულათს ყაენს წინაშე. მაგრამ თუქალმან დაასწრო,
დაესხა ქულათოს ყაენს თავსა და დაიჭირა, თავსაკრავით დაქარჩო. ნოქონი იგი დი-
დიც მოაქედინა აღბულა ყონჩიბალმა და აღინაყის შვილი ბულაც. გაგზავნეს კაცი
ბაილუქს წინ, რომელიც იყო ჰალაქუ-ხანის შვილი, აბაღას ძმა უმცროსი, რომელიც
ქრისტიან შექმნილიყო, ნექსტორიანთ რჯული დაევიტრა.

**ქა თუქალი დაესხა ქულათოს ყაენსა, დაიჭირა, დაქარჩო და
ბიძამისი ბაილუქან ყაენათ დასვა**

მიართვეს ტახტი და საყაენო მორთულობა და ქონება, გაუგზავნეს ელჩი მეფეს
დავითს და დაუმადლეს, რომ არ დახვდა ქულათოს სიკვდილსა. მღთის წყალობით
დაფარული იქნა მეფე და სპანი მეფისანი. თუ დასწრებოდენ, ქართველთ საქმე
წამხდარი იყო.

მოვიდა მაწვეველი თუქალისა. წავიდა მეფე თუქალსთანა, რომელიც ართაჰნის
მთას იდგა. იხილა თუქალმან მეფე დავითი, დიდი პატივი სცა, შეჰფიცეს ერთმა-
ნერთსა სიყვარულისათვის, დაქამტკიცეს ფიცი ერთობისა; თავისი და მოსცა, რო-
მელიც ედგა ხუტულ ბულასა ძმასა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და
წამოვიდა შინ“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 114ა—116ა (101ა—103ა).

ამ ცნობათა შესახებ დაწერილებით იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII
საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის.

7. ყველა ნუსხაში და გამოცემაში „ყაენ (ყან, ყანი) თუქალისი“, რაც აშქარა
შეცდომაა. თუქალი ერთ-ერთი მონღოლი ნოინი იყო, არღუნ-ხანის სიძე. ყაენი
ჰქონია თუქალი ვახუშტისაც.

8. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თუქალი „ართანის მთას იღგა“. — ფ. 116ა (103ა).

9. ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ დავითმა და თუქალმა „შემფიცეს ერთმანერთსა სიყვარულისათვის, და[ა]მტკიცეს ფიცი ერთობისა; თაყასა და მოსცა, რომელიც ეღგა ხუტულ ბუღასა ძმასა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და წამოვიდა შინ“. — ფ. 116ა (103ა).

10. ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშია „ხუტულბუღა“, რაც შეეცდომაა. იგულისხმება ყუთლულშაპ ნოინი, ყაზან-ხანის ერთ-ერთი გავლენიანი ამირი.

11. მარამისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის განსაზღვრით, ვახტანგ VI-ის ხელით): „აიდარბავანი თავრეზი არისო“. მაჩაბლისეულ ნუსხაში: „აიდარბავანი თავრეზია“.

12. ხელნაწერებშია „ბუღლის“, „ბულდის“, „ბაიდოსა“. ტექსტის გამომცემლებმა ამჯობინეს მცდარი „ბაიდოსა“, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ეამთაღმწერლისავე ცნობით, ბაიდუ ყაზანმა მოაკვლევინა, თუქალმა კი მოკლა ყურუმჩის ძმა ბუღა. ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ თუქალი „მოკლეს ბუღას (ხელნაწერში: ბუღათა — რ. კ.), მისის (ე. ი. ყურუმჩის — რ. კ.) ძმის სიკვდილის მაგიერათ“. — ფ. 116ბ (103ბ).

13. ფ. გორგიჯანიძე აქ უმატებს: „ფარეჯან ოსი მამკვდარიყო და ატენი მეღეს დავითს ეკირა“. — ფ. 117ა (104ა).

14. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, სამადავლა შაქისის ერისთავი იყო. — ფ. 117ბ (104ბ).

15. „პილასი“ (როგორც ვარაუდობენ, პეგასი, ფროთსანი რაში) ამ კონტექსტში უადგილო და გაუგებარია. სწორი ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიძლება იგულისხმებოდეს პიროსი, აქილევსის ვაჟის, ნეოპტოლემოსის, მეორე სახელი (ო. ნიშნისა დიძე. ანტიკური სამყარო ქართულ შეაზრუქნოვან ისტორიოგრაფიაში. საკანდ. დისერტაცია. თბ., 1987, გვ. 131—132).

16. ფ. გორგიჯანიძეს ამის შემდეგ აქვს დამატებითი თხრობა, სადაც საყურადღებო ცნობები მოიპოვება ერისთავ სამადავლას შესახებ (ტექსტი მოგვაქვს უცვლელად, ავტორგაფული ხელნაწერის მიხედვით): „დაუტევა ტალიმანიძე ვაჩინ და ვაჩინაძე ივანე, ჰიაურელის შვილი. სამადავე უკანის მივიდა მეფეს წინ ეჭვისს კაცითა, დააყენა ჟინონის მცველათ. სენა ტალიმანიძემ ვაჩინ ახლოს დგომა სამადავლესი, დაუწყო ვაჩინაძეს ივანეს, რომე ძველითვან მტერნი იყენენ სამადაველ და ვაჩინაძე. წავიდა სამადაველს საღალატოთ, ეწადა მოკვლა მისი. თან წაიტანა ტალიმანის ძე ვაჩინ, რომ ის იყო გაძრახებული სამადაველს მოსაკლავათ. დაესხნეს ღამით მძინარესა, სამლოთ-სამამაცო კარგის ზნითა გათავეებული [სამადაველ] მოკლეს და ვაჩინაძე გარდისხეწეს (ხელნაწერში: ვაჩინაძე მოკლეს და გარდისხეწეს — რ. კ.) და ტალიმანიძე იქვე დაღგა. მოახსენეს მეფესა მოკვლა სამადავლესი, ნამეტნავად ეწყინა, ასტირდა, წვერ-ულვაშნი გაიგლიჯა. მოვიდა, ნახა უპატიოთ შევნიარება მისი მიწაზე მღებარი, ეძება ვაჩინაძე და ვერ იპოვნა, გაპარულიყო. შესთვალა ტალიმანიძესა მოთრევა კარსა მისასა, რომ მისის ქნილობით მოეკლათ. მისცეს ტალიმანისძე (ხელნაწერში: ტალიმანის ძესა. — რ. კ.) კელთა მესისსლეთა, წაიყვანეს ადგილსა მასა, საცა სამადაველ მოეკლათ, ისიც იქ მოკლეს. ნაქმნარნი მისნი გარდაცა ქელსა მათსა.“

**უაღლა მეფე დავით მთიულეთს, გაქმავრა გულამაყარი
და გველეთი**

საცა რამე იყო სამეფო, ყველა ხევისა და ხადას აზიდეს, და არაგვი და ქს[ან]ნი ჩახერგეს, გაქმავრა გულამაყარი“. — ფ. 117ბ (104ბ).

17. ხელნაწერებსა და გამოცემებშია გაუგებარი გამოთქმა — „მისციეს სამეფო მისი“. ჩვენი კონიექტურა („ლაიცესა“) ემყარება ფ. გორგიჯანიძის ჩვენებას: „მეფე შინ იყოს და სცოს სამეფო მისი“. — ფ. 118ბ (105ბ).

18. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ამის შემდეგ სათაურია: „მესამეოც-დაექუსე მეფე ქართლისა გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგ-რატონი“.

19. ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „და გველეთ[ი] მტერთაგან უძლველია“. — ფ. 119ა (106ა).

20. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები უმატებენ — „მუნ“, ფ. გორგიჯანიძე კი განმარტავს: „და შანშე პირველვე იყო ვახტანგის მეფობის მდომელი“. — ფ. 120ბ (107ბ)

21. ამის წინ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდაშვიდე მეფე ქართლისა ვახტანგ, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა და გიორგი მე-ფისა, ბაგრატონი“.

22. ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „ხუთს წლამდისინ, ვინც მიაღდა კარსა, ყველას საყოფი საკმელი მისცა. ხუთს წელს არც მოვიდა წვიმა და არცა თოვლი, ქვენი და ფრონი და დიდრონი წყალნი დაშრნეს, ხენი დახმნენ, ბალახი აღარ ამოვიდა, სი-დამდისინ კუდიანი მასკელავი იხილებოდა ჩრდილოეთისაკენ. რა მასკელავი გაქრა, მაწყინარი ყოველთა, მოვიდა თოვლი და წვიმა, ამოიზიდნა იძვრისძმან, ღონეს მო-ვიდნენ სულიერნი, ფეკით მავალნი და ფრინავნი. ახსნა ღმერთმან გაჩენილნი მისნი ამ რისხვისაგან“. — ფ. 121ბ (108ბ).

23. ამის შემდეგ MTm (აგრეთვე ჩანაწილისეულ და ქალაშვილისეულ) ნუს-ხებში ტექსტი ნაკლულია. შესაბამისი ნაწყვეტი დაცულია ბარათაშვილისეულ, ფა-ლავანდიშვილისეულ, დადიანისეულ და სხვიტორულ (bdps) ნუსხებში.

24. სამწუხაროდ, ტექსტიდან არ ჩანს, კერძოდ ვინ გამოგზავნა სპერიდან მოცი-ქული და ვინ მოიხსენიებს თავისი ოქის პირველ პირში.

25. აქ მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი რუმინანციეისეულ ნუსხაში.

26. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება ტექსტი MTm ნუსხებში (იხ. შენიშვნა 23).

27. ამის შემდეგ ტექსტი ნაკლულია MTm, აგრეთვე Dc ნუსხებში.

28. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება ტექსტი MTm ნუსხებში.

29. ეს წინადადება სათაურის მსგავსად არის გამოყოფილი ყველა ნუსხაში. ამის შემდეგ მარიამისეულ ნუსხაში ჩართულია: „ღმერთო, დაიციე ორსავე ცხოვრებასა შინა ღედოფალთა ღედოფალი მარიამ და ძე მისი პირშმო ოტია“.

30. მარიამისეული ნუსხის ბოლო ფურცელი ძლიერ დაზიანებულია და ტექსტის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

31. ტექსტის ამ ადგილის შესახებ დაწერილებით იხ. რ. კიკნაძე. ეპოთაღ-მწერლის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. — მაცნე, ისტორიის ხე-რია, 1977, № 4.

32. ყველა ხელნაწერშია „სულ“. ამ ქალაქის სახელწოდების აღდგენის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ყორღოილანგი — სულ — სულთანოე.

33. თეიმურაზისეულ ნუსხაში ამის შემდეგ წერია: „არსებთათა და დაუსაბამოსა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და“.

ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვის განმარტება*

არქუანი („არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქართველთასა, თვნიერ არქუანთა“. — გვ. 105. „ქართველთასა“ ძველი რედაქციის წესხების ჩვენებაა. ვახტანგისეული რედაქციის წესხებში და გამოცემებშია „ნათესავსა ქრისტიანეთასა“, რაც, ჩვენი აზრით, მთლად გასაგები არ არის. „ნათესავი“ ჩამომავლობის, მოღვმის, გვარ-ტომობის აღმნიშვნელია, ხოლო „სჯული“ სარწმუნოებისა. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, ჰულაგუ-ხანი „უმეცარი იყო ქრისტიანთა“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 73ა (60ა). „არქუანი“ (არხუანი) ქრისტიანების მონღოლური სახელწოდებაა (B. B. Б a p-т o.п ь д. Сочинения, т. IV. М.-Л., 1966, с. 371—372).

ბაღური („აჩინა მკედართმთავრად თოდან ვინმე ბაღური“. — გვ. 159; „აჩინა სპათა უხუცესად სირმონ-ბაღური“. — გვ. 165). „ბაღური“ ან „ბაჰღური“ (მამაცი, გულადი, გაბედული, გმირი) მონღოლ დიდებულთა საპატიო წოდება იყო. ეჯანი („უმცირესი ულო, რომელსა ეჯანობითცა უწოდდეს“. — გვ. 102). მ. ბროსემ ეს ტერმინი, რომელიც დამახინჯებულად არის მოტანილი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში და, შესაბამისად, გამოცემებსა და თარგმანებში, უმართებულად ირანის მონღოლ გამგებულთა ტიტულს „ილხანს“ დაუკავშირა (Histoire de la Géorgie, I, p. 539, n. 1). როგორც ვნახეთ, ეპითაღმწერელს ჰულაგუ მანგუ ყენის უმცროს შვილად მიაჩნია, რაც იძლევა გასაღებს ამ ტერმინის ასახსნელად (უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მანგუ, ყუბილაი და ჰულაგუ ძმები იყვნენ, ჩინგიზ-ხანის უმცროსი ვაჟის, თუღის შვილები. თანაც ჰულაგუ არ ყოფილა უმცროსი ვაჟი, თუმცა ჩამოთვლილ სამ ძმაში კი უმცროსი იყო). ძველი მონღოლური ადათ-წესების მიხედვით, უმცროსი ვაჟი მამის ძირითადი ქონების მემკვიდრე იყო, მას ოჯახის კერის დაცვა ევალებოდა და ამის გამო ეწოდებოდა „ოდჩიგინ“ — ცეცხლის მცველი, ან „ეეჩენ“ — პატრონი, მეფე (В л а д и м и р ц о в. Общественный строй монголов. Л., 1934, с. 49, 54—აა; კიკნაძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ეპითაღმწერლის თხზულებაში. — აღმოსავლური ფილოლოგია, III. თბ., 1973, გვ. 84—86).

თამაჩი („რამეთუ პირველ ამთ თამაჩთა ნოინთა ოთხთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელის მათისა“. — გვ. 104; „და შეკრებს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულნი, რომელთა თამაჩობით უწოდდეს, და ულო ყენს თანა მოსრულნი“. — გვ. 103). ეს ტერმინი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში და გამოცემებში

* შესავალში აღნიშნული გვქონდა, რომ მონღოლთა ბატონობის დამყარებას თან მოჰყვა არაერთი უცნობი ცნება-ტერმინის შემოსვლა, რამაც ეპითაღმწერლის ლექსიკაშიც ჰპოვა ასახვა. ქართველი ისტორიკოსი გრძნობს, რომ აუცილებელია ამ ახალი ტერმინების მკითხველისათვის ახსნა და მათ დიდ ნაწილს თვითონვე განმარტავს საკმაოდ მარჯვედ. ჩვენ საჭიროდ არ ჩაეთვალეთ ისეთი ტერმინების ხელახლა განმარტება, რომლებიც ეპითაღმწერელს აქვს ახსნილი, აგრეთვე ისეთებისაც, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია შესული.

დამახინჯებულა. მ. ბროსემ წენიშნა კავშირი ზღნაწერებნი მონსენიებულ „თამბ“-სა და „თამჩა“-ს შორის, მაგრამ მანვე შერყენილი „თუმჩიანი“ დაუკავშირა „თუმანის“ — ათიათასისთავს (Histoire de la Géorgie, I, p. 540, n. 2) ივ. ჭავჭავაძემა გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ იგულისხმებოდა „თაიჩუთა ნონი“ (ივ. ჭავჭავაძე ილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 94—95). მაგრამ მონღოლთა შორის „თაიჩის“ წოდებულებას მხოლოდ ჩინგიზ-ხანის სავა-რეულოს წევრები ატარებდნენ (Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов, с. 143). უგადეო ყუანის მიერ დასაყვლეთში სალაშქროდ გამოგზავნილ რაზმებს წყაროებში „თამა“ ეწოდებათ. ვ. ბარტოლდის აზრით, „თამა“ ახმარებო-და იმ რაზმების მიმართ, რომლებიც ადრევე გაიგზავნენ დასავლეთში დამორჩილე-ბული ქვეყნების დასაპყრობად და დასაცავად, ხოლო „თამაჩი“ აღნიშნავდა იმ მეორებს, ვისაც თამას სამსახური, ე. ი. დაცვა, ევალებოდა. იგივე სახელწოდება ვრცელდებოდა მალაი არაგის მოხელეებზეც (В. В. Бартольд. Сочинения, т. I. М.-Л., 1963, с. 534; რ. კიკნაძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ეამთაღმწერლის თხზულებაში, გვ. 86—89).

თებ-თენჯრა (გამოჩნდა კაცი ვინმე სავკრეელი, რომელსა თებ-თენჯრობით უქმობდეს. — გვ. 48). „თებ-თენჯრი“ (უმადლესი დეტაბა) წოდება იყო შამანისა, რომელსაც სახელად ქოქეჩუ ეწვეა. ჭუვეინის ცნობით, „ამ ღრის გამოჩნდა კაცი ერთი ... [რომელიც] ამბობდა: „ღმერთი მგსაუბრა და მათხრა, მთელი ქვეყანა შემურჯინისა და მისი შვილებისათვის მიმიცია, და სახელად ჩინგიზ-ხანი უწოდა. უთხარი მას, როგორ იმბრძანებლის სამართლანად“. იმ დაცს თებ-თენჯრი ეწვეა“ (რ. კიკნაძე. ეამთაღმწერლის სპარსული წყაროები. ჭუვეინი. — კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 78; Рашид ад-Дин. Сборник летописей. I. 1. с. 167—168; I, 2, с. 150).

მულიდი („შედ წელ განგრძელდა ბრძოლა აღმუთისა, რომელნი არიან კაცისმკლველნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდან“. — გვ. 91). არაბ. „მულიდი“ (მრ. რ. მალჰიდა) — ურწმუნო, ერეტოსი. ეს ტერმინი მეტწილად იხმარებოდა სპაილიტთა სექტის წევრების მიმართ, რომელთაც ირანში შექმნილი პქროდის თავანთი სახელმწიფო (1090—1256), ცენტრით აღმუთის ციხეში. მათი ბრძოლის მთავარი იარაღი იყო პოლიტიკური შველობა (И. П. Петрушевский. Ислам в Иране в VII—XV веках. Л., 1966, с. 298).

ნასრანი („ეპისკოპოზი მარადისა ქალაქისა, ნათესავით და სარწმუნოებით ნასრანი“. — გვ. 193). „ნასრანი“ (არაბ.) — ქრისტიანი.

რინდი („წარიყუანეს რინდთა თანა, რათა მუნ განძღონ სიბილწე თვის. ხოლო რინდნი, შეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვწით უცნობოქმნილნი, ზედა-მოეტევენს მგულმელნი ძლიერად“. — გვ. 41). სპარს. „რინდ“ (მრ. რ. რინედ) — მოქეიფე, ღოთი, თაღლითი. შუა საუკუნეებში რინდებს უწოდებდნენ თავის თავს ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ დაპირისპირ-რებოდათ ოფიციალური სუფიზმის დოგმებს (Х а ф и з. Сто семнадцати газе-лей. М., 1981, с. 177). არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ რინდები სუფიური მოძღვრების მამდევრები იყვნენ, და ხაზგასმულია ამ ტერმინის სოციალური შინა-არსი და მნიშვნელობა (ივ. ჭავჭავაძე ილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 33—34; ვ. გაბაშვილი. ქალაქ თბილისის სოციალური ისტო-რიიდან (ეამთაღმწერლის ერთი ცნობის განმარტება). — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 134—141; მისივე. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ეამთა-

აღმწერლის თხზულებაში. — მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები. თბ., 1968, გვ. 35—37).

საკიბ-დივანი („ღიდისა საკიბ-დივანისა ხოჯა მამსადინისა ძმა“. — გვ. 66). — სახელმწიფო ფინანსების გამგებელი მოხელე, ფინანსთა მინისტრი. ცნობაში იგულისხმებიან ილხანთა სახელმწიფოს ვაზირი შამს ად-დინ ჭუვეინი და მისი ძმა, ისტორიკოსი ათა მალიქი. ჭუვეინიების გვარის წარმომადგენლები კარგი ფინანსისტები იყვნენ და ზნირად ასრულებდნენ საკიბ-დივანის მოვალეობას (რ. კიკნაძე. ეპოქალური წიგნების სპარსული წყაროები, გვ. 131).

ტამლა („თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხოვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედანცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა-იგი ტამლად უწოდდეს“. — გვ. 121). „თამლა“, „ტამლა“ (ღალი, დამლა, ბეკედი) მონღოლთა მიერ შემოღებული ვაჭრობაზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადი იყო, რომელიც დამპყრობელთა ხაზინის ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენდა. თბილისში თამლა, როგორც ეპოქალური აღმწერლის ცნობიდან ჩანს, გაყიდული საქონლის ღირებულების 3%-ს შეადგენდა (დაწერ. იხ. რ. კიკნაძე. თამლა ილხანთა სახელმწიფოში. — აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960).

ყურულთა („წელიწადსა შინა ერთხელ ოქოთასას მივიდოდენ ძმანი მისნი ყურულთისა საქნელად“. — გვ. 66). მონღ. „ყურულთაი“, „ხურულთაი“ (ხურილ-თი) — მონღოლთა მომთაბარე არისტოკრატის საკრებულო საბჭო, რომელშიც მონაწილეობდნენ გვარების მეთაურები და წარჩინებული პირები (Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов, с. 79; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. — თხზულებანი, III, თბ., 1982, გვ. 32—33).

შანა („მცველნი ქალაქისანი დაუდგინეს, რომელთა შანად უწოდდეს სიტყვა მათითა“. — გვ. 73). შანე — მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და ოლქებში დანიშნული სამხედრო გამგებელი, რომელსაც მცირე რაზმით რაზმი ახლდა თან (იხ. რ. კიკნაძე. ქალაქები ილხანთა ირანში. — წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 196). შანეს ინსტიტუტი მონღოლთა შემოსევების წინაშე ხანაშიც არსებობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჩალიში („ყოველთა ღღეთა გამოვიდიან ქალაქის ქარსა ბრძოლად ჩალიშად“. — გვ. 39; „უმრავლესთა ღღეთა გამოვიდიან ჩალიშობა გარდაიკადეს“. — გვ. 77—78). ეს ტერმინი დამახინჯებულია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებსა და გამოცემებში (ჩალიბი, ჩალისი, ჩლისი, ჩალიბობა...). ამის გამო ზოგჯერ მას უმართებულოდ უკავშირებენ თურქულ „ჩელების“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 11; ვ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XI—XII საუკუნეებში. — აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, გვ. 95—96). თურქ. „ჩალიში“ ნიშნავს ხელჩართულ ბრძოლას, ხმალდახმალ შეტაკებას (იხ. ჯ. სტეფნაძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971).

ჩინქიშანი (ღმიტრი მეფეს „თანაშეწყოდა ნოინი დიდი ბულა, რომელსა პატივად ჩინქიშანობა მისცა ყაენმან, რომელი ყოველთა პატივთა უმეტეს არს“. — გვ. 177). ეს ტერმინი ხელნაწერებსა და გამოცემებში დამახინჯებულია და სრულიად გაუგებარია (ჩინგი ყაენობა). იგულისხმება „ჩინგსანგის“ ტიტული, რომელიც უმაღლესი სამოხელეო წოდება იყო მონღოლთა სახელმწიფოში. ეს ტიტული ბულა ნოინს 1286 წელს მიანიჭა ყუბილაი ყაენმა (რ. კიკნაძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ეპოქალური აღმწერლის თხზულებაში, გვ. 89—91).

ჯიმრი („უღმრთო იგი კრებული ჯიმრთა შეკრბა და, ხადაცა პოებდეს ქართველსა, ერთსა გინა ორსა, მოკლვიდიან“. — გვ. 175). „ჯიმრი“ (მრ. რ. აჯამირე) ნიშნავს მდაბიოს, დაბალი წრის ადამიანს. 1277 წელს მცირე აზიაში მოხდა მომთაბარეთა და გლეხების დიდი აჯანყება ჯიმრის მეთაურობით (ზოგჯერ ეს ტერმინი საკუთარ სახელად მიაჩნიათ). როგორც ჩანს, უამთააღმწერელს მხედველობაში აქვს აჯანყებულთა რაზმი, რომელიც ხორასანში მოქმედებდა და მიუვალ ადგილებს აფარებდა თავს (იხ. ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები უამთააღმწერლის თხზულებაში, გვ. 44).

«СТОЛЕТНЯЯ ЛЕТОПИСЬ» ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Резюме

Древнюю часть грузинского средневекового летописного свода «Картлис цховреба» завершает сочинение анонимного автора, повествующее о событиях истории Грузии и соседних стран со времени восшествия на престол Георгия IV Лаши (1207—1222) до 1317 года.

Автор указанной части свода, как полагают, был духовным лицом, родом из провинции Месхети (Юго-западная Грузия), и современником Георгия V Блгстательного (1314—1346), по поручению которого, видимо, и составил свое сочинение во второй четверти XIV в. специально для «Картлис цховреба», в виде продолжения «Истории и восхваления вшценосцев» первого историка царицы Тамар.

Сочинение анонимного автора, так же как и подавляющая часть произведений «Картлис цховреба», не озаглавлено в списках свода. В качестве условного его названия в современной грузинской историографии принято предложенное Ф. Д. Жордания название «Столетняя летопись».

Нашествие многочисленных орд кочевых монголов в начале XIII века произвело сильное впечатление во всем тогдашнем мире, и уже во второй пол. XIII—XIV вв. в разных странах, на арабском, персидском, армянском, грузинском, русском, латинском языках были созданы труды, описывающие тяжелые последствия этого ужасного события. Монгольское владычество отрицательно отразилось на культурном развитии многих передовых народов средневекового мира, но не смогло остановить его. Наоборот, как раз в этот тяжелый период на разных языках созданы замечательные исторические произведения, правдиво отобразившие трагические последствия монгольского ига. В этой обширной историографии почетное место занимает «Столетняя летопись» грузинского анонимного историка. Его интересует история не только своей родной страны, но и других ближних и дальних народов, о которых он сообщает заслуживающие внимания сведения.

Анонимный историк XIV в. образованный человек. Он владеет греческим и восточными языками, хорошо знаком с древнегреческой и византийской письменностью, с восточной, в частности, персидской и арабской историографией, разбирается в истории древнего мира и современных ему народов.

Основой мировоззрения анонимного историка является христианская религия, его мышление характеризует провиденциализм, он верит в чудеса. Но вместе с этим аноним владеет определенными навыками в области теории исторического знания, использует традиционный опыт своих предшественников и летописцев соседних народов. На основе обобщения этого опыта у него выработалось мнение, согласно которому история должна служить истине. Он же призывал к объективности и беспристрастности в описании и оценке исторических событий (другое дело, что ему, конечно, не всегда удавалось строго придерживаться своих же теоретических взглядов).

